საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

მეცნიერულ-პოპულარული სერია

K 1586
1a

დევან მარუაშვილი

საქართველოს გეოგრაფიული შესწავლის ფუძემდებელი ვახუშტი ბაგრატიონი

(1696—1772 წწ.)

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა

თბილისი—1956

91(47.922)(092 ვახუშტი ბაგრატიონი)

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

მეცნიერულ-პოპულარული სერია

ლევან მარუაშვილი

საქართველოს გეოგრაფიული შესწავლის ფუძემდებელი

ვახუშტი ბაგრატიონი

(1696—1772 წწ.)

К/1586
1а



Ш3. 2019-19638

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა

თბილისი—1956

შესავალი

ქართული კულტურის თავისებურ საგანძურში ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიულსა და კარტოგრაფიულ ნაშრომებს განსაკუთრებული ადგილი უკავია.

ვახუშტი პირველი ქართველია, რომელმაც მიზნად დაისახა და კიდევაც გადაწყვიტა, თავისი ეპოქის მეცნიერულ მოთხოვნათა შესაბამისად, საქართველოს ტერიტორიის გეოგრაფიული აღწერისა და კარტოგრაფიული გამოსახვის ამოცანა. ამ კეთილშობილი მიზნის მიღწევით მან სამუდამოდ დაიმკვიდრა თვალსაჩინო ადგილი გამოჩენილ ქართველთა შორის, ურყევი ძეგლი აუგო თავის ნიჭსა და პატრიოტიზმს.

მაგრამ მარტო ქართული კულტურის ისტორიის თვალსაზრისით კი არ არის ჩვენთვის საყურადღებო ვახუშტი ბაგრატიონის პიროვნება. მისი ნაშრომები გარკვეულ საფეხურს ჰქმნიან კავკასიის გეოგრაფიული შესწავლის აღმავლობაში. მისი გეოგრაფიული თხზულება წარმოადგენს პირველს, მეტად თუ ნაკლებად სრულსა და დეტალურს, ზუსტ მასალებზე დამყარებულ აღწერილობას საქართველოსა და მასთან მოსაზღვრე მხარეების მიწა-წყლისა. მანვე მოგვცა კავკასიის ყელის მნიშვნელოვანი ნაწილის მსხვილმასშტაბიანი რუკები. ვახუშტის ნაშრომებმა მნიშვნელოვნად შეუწყვეს ხელი კავკასიის გეოგრაფიულ შეცნობას ევროპელ მეცნიერთა მიერ.

დასასრულ, ვახუშტის გეოგრაფიული და კარტოგრაფიული ნაწარმოებები შესანიშნავია ქვეყნათმცოდნეობითი ლიტერატურის ზოგადი განვითარების თვალსაზრისითაც. ქართველმა მეცნიერმა მოგვცა რთული ბუნებრივი პირობებისა და მჭიდრო მოსახლეობის მქონე მთიანი ქვეყნის დეტალური

აღწერილობა და გამოსახულება, რაც იმდროინდელ სამეცნიერო ლიტერატურასა და კარტოგრაფიაში იშვიათ მოვლენას წარმოადგენდა. ვახუშტის ეს ღვაწლი სათანადოდ იქნა შეფასებული მის თანამედროვეთა მიერ, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში ქართველი ავტორის ვინაობა უგულვებელყოფილი იყო ხოლმე მის ნაშრომთა გამომყენებლების მიერ.

ვახუშტის მუშაობა საქართველოს გეოგრაფიული აღწერილობისა და რუკების შედგენის ხაზით ერთ-ერთი შემადგენელი რგოლია რუს-ქართველთა ისტორიული მეგობრობისა და კულტურული თანამშრომლობისა. XVIII საუკუნის რუსეთის კულტურულმა ვითარებამ დიდად შეუწყო ხელი ვახუშტის შემოქმედებითს გაფურჩქვნას. მან მოამარაგა ქართველი მეცნიერი როგორც ზოგადი მეთოდიკური ხერხებით, ისევე სათარგმნელი ლიტერატურითა და ორიგინალური ნაშრომებისათვის საჭირო მასალის ნაწილით. თავის მხრივ ვახუშტიმაც მნიშვნელოვანი სარგებლობა მოუტანა რუსეთის მეცნიერებას თავისი მაღალხარისხოვანი კარტოგრაფიული ნაშრომებით — მისი დეტალური რუკები, როგორც ქვემოთ ვნახავთ, დიდი ხნის განმავლობაში გამოიყენებოდა როგორც სამოქალაქო, ისევე სამხედრო კარტოგრაფების მიერ. ვახუშტის რუკები ერთ-ერთი დამაკავშირებელი ხიდი იყო რუსეთის საზოგადოებრიობასა და რუსეთში მყოფ ქართველ ლტოლვილთა შორის.

როდესაც ჩვენ ვეხებით ვახუშტი ბაგრატიონის მოღვაწეობას გეოგრაფიისა და კარტოგრაფიის დარგში, საჭიროა მხედველობაში ვიქონიოთ ის გარემოება, რომ ეს მოღვაწეობა მხოლოდ ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია ვახუშტის სამეცნიერო პროფილისა. იმდროინდელი მეცნიერების უმრავლესობის მსგავსად, ვახუშტიც ერთდროულად მეცნიერების სხვადასხვა დარგებში მუშაობდა. მის ძირითად თხზულებაში გეოგრაფიული მასალა მჭიდროდ არის გადაჯაჭვული ისტორიულ ცნობებთან; ისტორიული განხრა თან სდევს ვახუშტის რუკებსაც. მიუხედავად ამისა, ვახუშტის გეოგრაფიული ნაშრომების განხილვას დამოუკიდებელი ინტერესი აქვს.

პირველი ქართველი გეოგრაფი ქართლის მეფის ვახტანგ მეექვსის უკანონო შვილი იყო. იგი დაიბადა 1696 წელს და იზრდებოდა ძირითადად თბილისში, თავისი მამის სამეფო კარზე.

ვახუშტის ბავშვობის შესახებ ცოტა რამ არის ცნობილი. მისი უშუალო აღმზრდელი დეკანოზი იესე გარსევანიშვილი ყოფილა (მას უკვე მოწიფულმა ვახუშტიმ, გაწეული ამაგის აღსანიშნავად, 1723 წელს უბოძა ქვემო ქართლში მდებარე ნასოფლარი ნადარბაზევი). იმ პირებს შორის, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს მომავალი მეცნიერის აღზრდაში, უნდა დასახელებულ იქნენ მამა მისი, ქართული კულტურისა და სახელმწიფოებრივი ცხოვრების მთელი რიგი დარგების გამოჩენილი მოღვაწე მეფე ვახტანგ VI და ასევეთვე სახელგანთქმული მწერალი, დიპლომატი და მოგზაური სულხან-საბა ორბელიანი. შენახულია აგრეთვე მითითებანი ვახუშტის კავშირზე იმჟამად თბილისში მცხოვრებ კათოლიკე მისიონერებთან.

ვახუშტი სიჭაბუკიდანვე ჩაება ქართლის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. დაახლოებით 1717-19 წლებიდან მოკიდებული, ჩვენ მას ვხედავთ მთელ რიგ სახელმწიფოებრივ ღონისძიებათა ხელმძღვანელად და მონაწილედ. იგი მდივანბეგ გივი თუმანიშვილთან ერთად ატარებს ქვემო ქართლის სტატისტიკურ აღწერას, თაოსნობს ქსნის ერისთავის საწინააღმდეგოდ გაგზავნილ დამსჯელ ექსპედიციას და სხვა სამხედრო ლაშქრობებს; ერთხანს იგი დროებით მეფის მოვალეობებსაც ასრულებს, ნაცვლად ირანის საწინააღმდეგო ლაშქრობაში გამგზავრებული ვახტანგისა.

XVIII საუკუნის პირველი მეოთხედი ქართველი ხალხის ისტორიული წარსულის ფრიად მძიმე და მოუსვენარ პერიოდს წარმოადგენდა. წვრილ სამეფო-სამთავროებად დანაწილებული საქართველო აუტანელ შევიწროებას განიცდიდა მრავალრიცხოვანი მტრებისაგან. სამხრეთიდან მას არბევენ თურქები და ირანელები, ჩრდილოეთიდან კი ლეკები და ოსე-

ბი. ილაჯგაწყვეტილი ქართველები დახმარებისათვის შემზერენ ევროპის სახელმწიფოებს და მათ შორის პირველ რიგშრუსეთს, რომელთანაც ქართველმა მეფეებმა და მთავრებმა ჯერ კიდევ XVI საუკუნიდან დაამყარეს დიპლომატიური ურთიერთობა. ვახტანგ VI-ს მძიმე პოლიტიკურ ვითარებაში უხდებოდა მოღვაწეობა. მიუხედავად ამისა, მან თავისი ნიჭისა და პატრიოტული სულისკვეთების მეოხებით მოახერხა განეხორციელებინა რიგი მნიშვნელოვანი პროგრესული ნაბიჯები ქართლის საზოგადოებრივი ყოფის სხვადასხვა დარგებში, დაწყებული სამხედრო და დიპლომატიური მოქმედებით და დამთავრებული სამეურნეო და კულტურული მშენებლობით. ვახტანგის ხელმძღვანელობით აღდგენილ იქნა დანგრეული ნაგებობანი, მოეწყო სარწყავი სისტემები; თბილისში დაარსდა სტამბა, სადაც საეკლესიო წიგნებთან ერთად პირველად დაიბეჭდა შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანი“; ვახტანგისვე ინიციატივით აღდგენილ და შევსებულ იქნა ქართველი ხალხის ისტორიის მატიანე; ვახტანგმა დიდი მუშაობა გასწია სამართლის დარგშიც; იგი პოეტი და მთარგმნელიც იყო. სამწუხაროდ, მისი ნაყოფიერი მოღვაწეობა შეწყვეტილ იქნა ნაადრევად, საგარეო-პოლიტიკური ფაქტორების გავლენით.

ევროპის სახელმწიფოებსა და, განსაკუთრებით, რუსეთთან კავშირის გეზმა, რომლითაც ხელმძღვანელობდა ვახტანგი, აამხედრა ქართლის წინააღმდეგ ირან-თურქეთი. ამ უკანასკნელებთან ურთიერთობის გამწვავების შედეგად მეფე და მასთან ერთად მისი ოჯახის წევრები და დაახლოებული პირები იძულებულნი შეიქნენ ქართლი მიეტოვებინათ და თავშესაფარის საძებნელად შორეულ გზას გასდგომოდნენ.

1724 წელს ვახტანგ VI მრავალრიცხოვანი ამალის თანხლებით, რომლის შემადგენლობაში მომავალი გეოგრაფიც იყო, გაემგზავრა რუსეთში, სადაც ქართველ ემიგრანტებს ელოდა რუსეთის იმპერატორის პეტრე დიდის მიერ აღთქმული თავშესაფარი. ცხინვალიდან ემიგრაცია გადავიდა რაჭაში და აჰყვა რიონის ხეობას სათავისაკენ. გადალახეს რა თოვლყინულოვანი გურძიევცეკის უღელტეხილი, სადაც თითქმის თი-

თოეული. ნაბიჯი სიძნელესა და ხიფათთან იყო დაკავშირებული, ლტოლვილები ჩავიდნენ დიგორში[1] და იქიდან ჩრდილო კავკასიის ვაკეზე. გაიარეს რა აღნიშნული ვაკე, ისინი მიადგნენ კასპიის ზღვას მდ. სოლაღის (სულაკის) შესართავთან, ჩასხდნენ ხომალდებში და საზღვაო გზით მივიდნენ ქ. ასტრახანში. აქედან ემიგრაციამ მდ. ვოლგას ხეობის აღმა ხანგრძლივი მგზავრობის შედეგად 1725 წ. დასაწყისისათვის მიაღწია ქ. მოსკოვს.

ვახუშტის შემდგომი ცხოვრება და მოღვაწეობა მიმდინარეობდა მოსკოვში (ე. წ. Пресня-ში), სადაც ქართველმა ლტოლვილებმა გულთბილი მასპინძლობა პოვეს პეტრე დიდის მემკვიდრეთა მხრივ. იყო ისეთი პერიოდები, როდესაც ქართველი მეცნიერი ეკონომიურ გაჭირვებას განიცდიდა, — ამას მოწმობს თუნდაც ჩვენამდე მოღწეული 1740 წ. თხოვნა ვახუშტისა რუსეთის დედოფლის ელისაბედის სახელზე, რომლითაც იგი თხოულობს ებოძოს მას მიხეილ გოლოვკინის ცოლისაგან წართმეული სოფლები. მოსკოვში ვახუშტი ენერგიულად მონაწილეობს ქართველ ემიგრანტთა მოწინავე წარმომადგენლების მიერ გაჩაღებულ ლიტერატურულ-საგამომცემლო მუშაობაში და ჰქმნის თავის ორიგინალურ სამეცნიერო ნაშრომებს.

რუსეთში ცხოვრების პერიოდში ვახუშტი დაუახლოვდა რუსეთის ინტელიგენციის განსაზღვრულ წრეებს. მისი პირადი ნაცნობობა პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიული დეპარტამენტის დირექტორ ასტრონომ იოსებ დელილთან, რუსეთის არმიის შტაბის თანამშრომლებთან და ცნობილ რუს მოღვაწე ვ. ნ. ტატიშჩევთან დადგენილად ჩაითვლება. ვახუშტის ურთიერთობა უნდა ჰქონოდა გენიალურ რუს მეცნიერ მ. ვ. ლომონოსოვთანაც, რამდენადაც ისინი ორივენი 1755 წელს მონაწილეობდნენ მოსკოვის უნივერსიტეტის დაარსებაში. ვახუშტის უშუალო დახმარებით მისი რუკები რუსულად და ფრანგულად გადაითარგმნა გეოგრაფიულ დეპარტამენტსა და სამხედრო შტაბში. თვით ვახუშტის

[1] დიგორი ჩრდილო ოსეთის ნაწილია.

მიერ რუსულიდან გადმოქართულებულ იქნა რამდენიმე წიგნი ისტორიული, გეოგრაფიული და რელიგიური ხასიათისა.

ვახუშტი გარდაიცვალა 1772 წელს და დასაფლავებულ იქნა დონის მონასტერში (მოსკოვში), რომელიც ჯერ კიდევ არჩილ მეფის დროიდან წარმოადგენდა ბაგრატიონთა გვარის რუსეთში შეხიზნულ წარმომადგენელთა ტრადიციულ სამარხავს.

ვახუშტის გეოგრაფიული და კარტოგრაფიული ნაშრომები და მათი შესწავლილობა

როგორც შესავალშივე იქნა აღნიშნული, ვახუშტი მხოლოდ გეოგრაფი და კარტოგრაფი როდი იყო, იგი ისტორიოგრაფიის დარგშიც წარმატებით მუშაობდა. წინამდებარე წიგნში ჩვენ ვეხებით ქართველი მეცნიერის მხოლოდ იმ ნაშრომებს, რომლებიც დაკავშირებულია გეოგრაფიასა და რუკათმხაზველობასთან.

ეს ნაშრომები შემდეგია:

1. ვახუშტის ძირითადი თხზულება (1745 წ.) „საქართველოს ცხოვრება“ (საქართველოს ისტორია) შეიცავს გეოგრაფიული შინაარსის მქონე თავებსაც, რომელთა ერთობლიობაც ჰქმნის საქართველოს ტერიტორიის გეოგრაფიულ აღწერილობას, გამიზნულს ისტორიული ამბების გაგების გასაადვილებლად[1]. მ. ბროსე, რომელმაც პირველად აღნიშნა ვახუშტის თხზულების გეოგრაფიული ნაწილის დამოუკიდებელი მნიშვნელობა, ამ ნაწილს უწოდებს „ღეოღრაფიული აღწერა საქართველოისა-“ს, ხოლო თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით გამოცემულ ტექსტს „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ ეწოდება. წინამდებარე მონოგრაფიაში ჩვენ ვახუშტის გეოგრაფიულ ნაშრომს აღვნიშნავთ „საქართველოს გეოგრაფიული აღწერის“ სახელწოდებით.

2. საქართველოს რუკები ვახუშტიმ ორჯერ შეადგინა:

ა) 1735 წელს შედგენილი ატლასი, რომელიც ერთ ხანს ყაზანის უნივერსიტეტს ეკუთვნოდა, ამჟამად დაცულია საჭარ-

[1] ანალოგიურ პრინციპზეა დამყარებული, მაგალითად, ვ. ნ. ტატიშჩევის და პ. ი. რიჩკოვის ნაშრომებიც.

თველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში;

ბ) 1742-43 წლებში შედგენილი მეორე ატლასი წინათ პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის აზიური მუზეუმში ინახებოდა, ხოლო ამჟამად საქართველოს ცენტრალურ არქივშია.

3. 1752 წელს ვახუშტიმ რუსულიდან გადმოაქართულა მსოფლიო გეოგრაფიის სახელმძღვანელო („მოკლე პოლიტიკური გეოგრაფია“ ანუ, როგორც თვით ვახუშტი უწოდებს, „მოკლედ ქცეულების ღეოღრაფია“). ეს არ არის პირდაპირი თარგმანი: ტექსტის ზოგიერთი ნაწილი შემოკლებულია, ხოლო ირან-თურქეთის აღწერილობები, პირიქით, შევსებულია. თარგმანს ახლავს მსოფლიოსა და მისი ნაწილების 27 რუკა.

ვახუშტის ხსენებული ნაშრომები უკვე XVIII საუკუნეებშივე იპყრობდნენ ქართველი, რუსი და უცხოელი მკვლევრების ყურადღებას, მაგრამ მათი სპეციალური შესწავლა და პოპულარიზაცია მხოლოდ XIX საუკუნის შუაგულიდან იწყება.

XVIII საუკუნეში ვახუშტის თხზულება „საქართველოს ცხოვრება“ მასში შემავალი გეოგრაფიული თავებითურთ გადანაწერების სახით ვრცელდებოდა ქართველი საზოგადოებრიობის მოწინავე წრეებში. ვახუშტის, როგორც მეცნიერის, დამსახურებას აღნიშნავდნენ თავიანთ ნაწერებში ანტონ კათოლიკოსი, „ქალმასობის“ ავტორი იოანე ბატონიშვილი, დავით რექტორი და სხვა მოღვაწენი, რომლებიც იცნობდნენ მისი ნაწარმოების ხელნაწერებს. ვახუშტის რუკები XVIII საუკუნეშივე ღირსეულად იქნა შეფასებული რუსეთის, საფრანგეთისა და ევროპის სხვა ქვეყნების კარტოგრაფების მიერ; ამ უკანასკნელებს შორის პირველ რიგში უნდა დავასახელოთ იოსებ დელილი, რომელიც განაგებდა რუსეთის გეოგრაფიულ დეპარტამენტს. XIX საუკ. პირველ ნახევარში ქართველი მეცნიერის ნაშრომები გამოყენებულ იქნა ლეგკობიტოვისა და ევეცკის მიერ რუსულად შედგენილ კავკასიის გეოგრაფიულ ნარკვევებში.

ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომთა პირველი ნამდვილი მკვლევარი და გამომცემელი იყო ქართული და სომხური კულ-

ტურის დიდი მცოდნე, რუსეთის აკადემიის ნამდვილი წევრი მარი ფელისიტე ბროსე. მან 1842 წელს პირველად დაბეჭდა ვახუშტის თხზულების გეოგრაფიული ნაწილი ფრანგული თარგმანისა და რუკათა პირების დართვით. ბროსეს მეოხებით ვახუშტი, რომელიც თითქმის მივიწყებული იყო ევროპელი მეცნიერების მიერ, ხელახლად ცნობილი და ხელმისაწვდომი გახდა ფართო მეცნიერული საზოგადოებრიობისათვის. ბროსეს დამსახურებაა აგრეთვე ვახუშტის ბიოგრაფიის დადგენა, რაც მან საარქივო და ზეპირი ცნობების სისტემატური გროვების საშუალებით შესძლო.

ბროსეს შემდეგ, XIX საუკ. მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში (ოქტომბრის რევოლუციამდე) ვახუშტის გეოგრაფიული და კარტოგრაფიული ნაწარმოებების შესწავლით დაინტერესებულნი არიან მთელი რიგი მკვლევრები: ალექსანდრე ხახანაშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, მოსე ჯანაშვილი, დიმიტრი ბაქრაძე; რუკებს ეხება რუსი გეოდეზისტი ი. ი. სტებნიცკიც კავკასიის კარტოგრაფიული შესწავლილობის მიმოხილვაში.

მ. ჯანაშვილის მიერ 1904 წელს ვახუშტის გეოგრაფიული თხზულება ორჯერ იქნა გამოცემული. რუსული თარგმანი, შესრულებული ამ უკანასკნელის მიერ, მისივე შესავლითა და შენიშვნებით, დაიბეჭდა რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების შრომათა XXIV ტომში. სამწუხაროდ, თარგმანი სავსებით ზუსტი არ არის.

საბჭოთა ხელისუფლების დროს ვახუშტი და მისი ნაშრომები ინტენსიური მეცნიერული კვლევის საგანს წარმოადგენენ. დიდი ღვაწლი გასწია ამ მიმართულებით საქართველოს ისტორიოგრაფიის უდიდესმა სპეციალისტმა, განსვენებულმა აკადემიკოსმა ივანე ჯავახიშვილმა. აღსანიშნავია, რომ მისი კვლევა შეეხო არა მარტო ისტორიოგრაფიულ საკითხებს, არამედ გეოგრაფიულსაც. ფართოდაა ცნობილი, მაგალითად, ვახუშტის ბოტანიკურ-გეოგრაფიული ცნობების მეცნიერული ანალიზი, რომელიც მოგვცა ივ. ჯავახიშვილმა „საქართველოს ეკონომიური ისტორიის“ პირველ ტომში (1928 წ.);

მასვე ეკუთვნის ვახუშტის გეოგრაფიულ წარმოდგენათა კარტოგრაფიული ასახვის პირველი ცდა.

1945 წელს საქართველოს საზოგადოებრიობის მიერ ზეიმით იქნა აღნიშნული ვახუშტის თხზულების „საქართველოს ცხოვრების“ დაწერის 200 წლისთავი. 1947 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიის ინსტიტუტმა, რომელსაც იუბილესთან დაკავშირებით პირველი ქართველი გეოგრაფის სახელი ეწოდა, გამოსცა ვახუშტის გეოგრაფიული თხზულებისა და რუკებისადმი მიძღვნილი სტატიების კრებული „ვახუშტი როგორც გეოგრაფი“. კრებულში, რომლის რედაქტორი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი ალექსანდრე ჯავახიშვილი არის, მოთავსებულია მთელი რიგი სტატიები, მიძღვნილი ვახუშტის გეოგრაფიული მოღვაწეობის დარგობლივი განხილვისადმი. ალ. ჯავახიშვილის სტატია შეეხება ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიული და კარტოგრაფიული ნაშრომების ზოგად შეფასებას სამეცნიერო თვალსაზრისით, ი. ჯიბლაძე ეხება ვახუშტის გეომორფოგრაფიულ წარმოდგენებს, მ. კორძახია და გ. ჭირაქაძე კლიმატოლოგიურს, ი. შაქარიშვილი ჰიდროგრაფიულს, ნ. კეცხოველი ფიტოგეოგრაფიულს, ა. ჯანაშვილი ზოოგეოგრაფიულს, დ. დონდუა სამეურნეო ცნობების გეოგრაფიულობის საკითხს, ნ. ნიჟარაძე მასალას მოსახლეობის შესახებ, ს. ცხაკაია რუკებს. გ. გეხტმანის სტატიაში გატარებულია პარალელი XVIII საუკუნის გამოჩენილ რუს და ქართველ გეოგრაფებს შორის (მ. ლომონოსოვი, ვ. ტატიშჩევი, ვახუშტი ბაგრატიონი, სულხან საბა ორბელიანი).

მიუხედავად სადღეისოდ ჩატარებული ნაყოფიერი კვლევისა, ვახუშტის გეოგრაფიული და კარტოგრაფიული ნაშრომების შესწავლისა და პოპულარიზაციის ხაზით ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი: გამოსარკვევია რუკების ტოპოგრაფიული მასალის წარმოშობა, გამოცემას მოელის ქართულსა და რუსულ ენაზე ვახუშტის ორივე გეოგრაფიული ატლასი, შესასწორებელია „საქართველოს გეოგრაფიული აღწერის“ რუსული თარგმანი, საჭიროა მისი ტექსტის გეოგრაფიული თვალსაზრისით კომენტირება და სხვ.

„საქართველოს გეოგრაფიული აღწერა“

ვახუშტის ძირითადი თხზულების („საქართველოს ცხოვრების“) გეოგრაფიული ნაწილი წარმოადგენს 6 თავის ერთობლიობას, რომლებიც ორიგინალის ტექსტში მორიგეობენ ისტორიული შინაარსის მქონე თავებთან. გეოგრაფიული ნაწილის სტრუქტურა შემდეგია:

1. „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ — შესავალი ნაწილი, რომელიც შეიცავს საქართველოს ტერიტორიისა და მოსახლეობის ზოგად დახასიათებას.

2. „აღწერა აწინდელისა ქართლისა“—ქართლის სამეფოს ტერიტორიის აღწერილობა XVIII საუკ. პირველი მეოთხედის პოლიტიკურ საზღვრებში.

3. „აღწერა ჰერეთისა, კახეთისა და კუხეთისა, კვალად თუშეთისა და დიდოეთისა“—კახეთის სამეფოს აღწერილობა.

4. „აღწერა აწინდელისა ოვსეთისა ანუ კავკასიათა შინათა“ — კავკასიონის ჩრდილო ფერდობის აღწერილობა.

5. „აღწერა საჩინოთა ადგილებთა სამცხე-საათაბაგოსი“— სამხრეთ საქართველოს აღწერილობა იმ ტერიტორიის ფარგლებში, რომელიც XVIII საუკ. პირველ მეოთხედში თურქეთს ეკუთვნოდა.

6. „აღწერა ეგრისის ქვეყნისა, ანუ აფხაზეთისა, ანუ იმერეთისა“ — დასავლეთ საქართველოს აღწერილობა (აჭარის გამოკლებით, რომელიც სამცხე-საათაბაგოსთან არის აღწერილი).

ამგვარად, ვახუშტის გეოგრაფიულ თხზულებაში აღწერილია კავკასიის ყელის მნიშვნელოვანი სივრცე, რომელიც საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დღევანდელ ტერიტორიასთან ერთად მოიცავს აგრეთვე ნაწილებს ჩრდილო კავკასიის მაღალმთიანი ზოლისას (ბალყარეთიდან ლეკეთამდე), სომხეთისას (აბოც-ტაშირი, ბამბაკი და სხვ.), აზერბაიჯანისას (საინგილო) და თურქეთისას (ჰანეთი, ტაოკლარჯეთი, ერუშეთი და სხვ.). თხზულებაში აღწერილი ტერიტორია ასახავს ვახუშტის შეხედულებას საქართველოს ისტო-

რიულ საზღვრებზე, შეხედულებას, რომელიც დამაჯერებლად არის თხზულების ტექსტში დასაბუთებული.

როგორც ზემონათქვამიდან ჩანს, ვახუშტის თხზულებაში აღწერილი სივრცის საერთო შემოსაზღვრულობა და აღწერილობითი მასალის დანაწილება ძირითად თავებად ექვემდებარება პოლიტიკურ პრინციპს. ცალკეული თავების ანუ რეგიონული აღწერილობების შიგნით მასალა დანაწილებულია, უწინარეს ყოვლისა, საადმინისტრაციო ერთეულების (სამთავროების, საერისთაოების, სასპასპეტოების) მიხედვით, ხოლო ამ უკანასკნელთა ფარგლებში გამოყოფილია ოროგრაფიულად მკვეთრად შემოზღუდული ბუნებრივი რაიონები — მთის მდინარეთა აუზები (ხეობები), რომლებიც აღწერილია ადგილთა ტოპოგრაფიული თანამიმდევრობის ზუსტად დაცვით, მთავარი მდინარის დინების აყოლებით ან დაყოლებით.

თითქმის ყოველი ტერიტორიული ერთეული, განურჩევლად მისი სიდიდისა, ორგვარი წესით არის აღწერილი: ა) ზოგადი დახასიათება იძლევა ერთობლივ წარმოდგენას აღსაწერი რაიონის ბუნებრივ პირობებსა და მოსახლეობაზე და ბ) ადგილთა აღწერა შეიცავს რაიონის დეტალურ განხილვას მისი ნაწილებისა და ცალკეული პუნქტების ბუნებრივი თანამიმდევრობით.

მაგალითისათვის შეიძლება განვიხილოთ თრიალეთის (ეხლანდელი წალკის რაიონის) აღწერილობა, რომელშიც ჯერ მოცემულია რაიონის საზღვრები, შემდეგ მთავარი მდინარის დახასიათება, რაიონის ბუნებრივი პირობების ზოგადი დახასიათება და ბოლოს დეტალური აღწერილობა მთავარი მდინარის შემდინარეთა აუზების მიხედვით.

თრიალეთის ზოგადი დახასიათება:

„ხოლო ზურტაკეტის[1] ჩრდილოთ კერძოთ არს თრიალეთი. და განჰყოფს თრიალეთს აღმოსავლით კლდე-კრიდამ გამოკიდებული მცირე მთა ლაკვისა და მიდგომით ბენდერის მთისა;[2] სამხრით მთა

[1] ზურტაკეტი ეწოდებოდა ეხლ. დმანისის რაიონის ჩრდილო ნაწილს, რომელშიც მდებარეობს ს. გომარეთი;

[2] ეხლ. ბედენი.

ბენდერი და გამოკიდებული მის მთისა, რომელი მოადგების ქციის მდინარეს კლდეისის დასავლით, გამომართებით კვირაკეთის მთისა, ვიდრე ქარვასლის-ხევის მთამდე; ჩრდილოთ მთა კლდეკრისა და ერჯევნისა, ვიდრე თორის მთამდე და ბაკურიანამდე;[1] დასავლით მთა შარავეთი და ტბის-ყურის გამჭრელი ხაზი, მთა ბარძიმისა[2] და ფარავნის გამჭრელი ხაზი ბოლოლის მთამდე.

ხოლო ამ თრიალეთის საშუალსა დის მდინარე ქციაა,[3] წოდებული ანუ დაბის გამო, ანუ ვინადან აქცევს ხიდთა, რაოდენცა მტკიცე ქვიტკირისა იყოს, მის გამო იწოდა. ესე გამოსდის შავრაშეთის მთასა, გამოვლის ნარიანს, თრიალეთს, ქციის ხრამსა და მიერთვის ხუნანს მტკვარსა, და მარადის დის აღმოსავლეთად და თრიალეთს მოდის მდორედ, ხოლო ეძანს[4] დახრამდების. და არს იმიერ და ამიერ კლდე ქარაფი და მაღალი, მხარი რ მეტი, სიგანით რჳ მხარი[5] და მეტიცა. ეძანს ქვევით და ახალქალაქს[6] ზეით გარდმოდის ქცია მაღლის კლდიდან, ვითარცა ღარიდამ. ძირს აქვს ტბა დიდი. ამას ზემორ ვერ აღვალს ორაგული და დიდნი თევზნი, არამედ არს მას ზემორ კალმახი დიდნი და მცირენი, მრავალნი და გემოიანნი...

ხოლო ესე თრიალეთი არს ზაფხულ ფრიად შვენიერი, ბალახოვანი, ყვავილოვანი, წყაროიანი, სანადირონი მრავალნი დიდთა ნადირთა, მფრინველთა და თევზთა. არა არს აქა ტყე, არამედ ზიდვენ ერჯევნიდამ და ხმარობენ უმეტეს წივასა. თვინიერ აქლემისა, პირუტყვნი მრავალნი. ვენახი, ხილნი და მტილოვანნი არარაი არს აქა, და მთის ხილნი მრავალნი. ტკბილს მოიტანენ ბარიდამ, ჩაასხმენ აქა, და დადგების ღვინო კეთილი და გემოიანი.“

თრიალეთის ამ ზოგად დახასიათებას მოჰყვება დეტალური ტოპოგრაფიული აღწერილობა:

„ეძანს ზეით ერთვის ქციას ბეშკენაშენის ხევი[7] ჩრდილოდამ. გამოსდის ერჯევნისა და კლდე-კრის მთასა. აღმოსავლით ბეშკენაშენისა არს ტბა ბარეთისა[8], მცირე, უთევზო. გარემო მისა დაბნები ლაკვის მთამდე. მას ზეით ერთვის ქციას ხევი ერან-თორანისაჲ, გამოსდის ერჯევნის მთას, მოერთვის ჩრდილოდამ საბატეს[10], ქციას. მას ზეით ქციის კიდეზე არს ეკლესია გუნბათიანი, წალკას-დიდი, კეთილნაშენი, ზის ეპისკოპოზი, წყემსი თრიალეთისა. მას ზეით კოხტა-

---

[1] ბაკურიანი; [2] მთა; სამსარი; [3] ეწლ. მდ. ხრამი; [4] ეწლ. რაიონული ცენტრი სოფ. წალკა; [5] მხარი = საჟენს რ—100, რჳ—180; [6] ეწლ. სოფ. ტაშბაში წალკასთან.

[7] ბეშტაშენ-ჩაი; [8] ბაშკოვის ტბა; [9] ეწლ. მდ. ქიარაკ-სუ; [10] ს. ქიარაკი.

ცრიცის ხევი[1], სდისვე ერჯევანსა და თორის მთასა, მიერთვის ქციას არწივანს[2]. თეზის[3] ხრამსა შინა არს მონასტერი კლდესა შინა, წმიდის აბიბოს ნეკრესელის ქმნული, და აწ არს ცარიელი. მას ზემორ საპონაურისა და ცხვრისის ხევი, გამოსდის თორის მთას, მოერთვის ქციას თეზის ხრამსა შინა. პირისპირ კოხაჯის ხევს, ქვემორ, სამხრიდან ერთვის ქციას ავლადის ხევი[4] გამოსდის ხევ-ღრმის ხრამსა. ესე არს ციცი ანუ მყინვარი. მას ქვემორ ერთვის ქციას ხევ-ღრმისა და ანდრაპ-ილთისის ხევი[5]. ხოლო ახალქაქს ქვეით ერთვის ქციას ხევი აბანოს[6] ჩრდილოდამ. მას ქვეით ერთვის ქციას ხევს კარწახისა[7], გამოსდის უზნარიანს[8], მოდის აღმოსავლეთად. კარწახის-ხევის შესართავს ქვეით არს ციხე მოდამნახისა[9], კვირიკეთის მთის[10] ძირში, ჩრდილოთკერძ, ქციის მდინარის პირს. ამას ზეითი არს თრიალეთი მოსავლით, გითარცა ტაშირი[11] და დბანის-ხევი დავსწერეთ თაფლითურთ. ხდიან ესენიცა სელისაგან ზეთსა...“

ანალოგიურად არის აგებული სხვა ტერიტორიული ერთეულების აღწერილობებიც, მათ შორის არა მარტო ისეთი ვრცელი ტერიტორიებისა, როგორიცაა, მაგალითად, სამცხე-საათაბაგო, დასავლეთ საქართველო (ეგრისი ანუ აფხაზეთი ანუ იმერეთი), ოვსეთი ანუ კავკასიათა შინანი, ოდიში, კახეთი და ა. შ., არამედ მცირე რაიონებისაც (მაგალითად, რაჭის, არგვეთის, ცაკის, ოკრიბის, გურიის, ლეჩხუმის, ჯანეთის, ჯავახეთის, კაკ-ელისენის, ხევისა და სხვ.). გეოგრაფიული ერთეულების ამ ორგვარად აღწერის მეთოდს ვახუშტი ღალატობს მხოლოდ ისეთ შემთხვევებში, როდესაც იგი იძულებულია ასე მოიქცეს აღწერილობითი მასალის სიმცირის გამო (იხ. ქვემოთ).

გეოგრაფიული აღწერის ხერხების მიხედვით ვახუშტის თხზულება მიეკუთვნება ე. წ. ტოპოგრაფიული აღწერილობების ტიპს, ე. ი. გეოგრაფიულ ნაწარმოებთა იმ ტიპს, რომელიც ევროპულ ლიტერატურაში გაბატონებული იყო XVIII საუკ. დასასრულამდე.

---

[1] ეხლ. მდ. ტუსრები ანუ კუსრეთის-წყალი; [2] ეხლ. სოფ. რეხას მიდამოებში; [3] ნასოფლარი ეხლ. ხანდოსთან; [4] ბურნაშეთის ხევი; [5] ნარდევანის ხევი; [6] მდ. შიფიაქს-სუ; [7] მდ. ჭოჭიანი; [8] ქაჩალგორის ანუ კეჩუთის ქედის ჩრდილო ნაწილი; [9] ტყემლიანის-ციხე; [10] მაღლობი სოფ. გომარეთის ჩრდილოეთით; [11] ლორი (ამჟამად სომხეთშია).

მეორე არსებითი მსგავსება ვახუშტის თხზულებასა და ევროპული გეოგრაფიული ლიტერატურის იმ ნაწარმოებთა შორის, რომლებიც იწერებოდა ალ. ჰუმბოლდტის მიერ გეოგრაფიულ მეცნიერებაში მოხდენილ გადატრიალებამდე, მდგომარეობს მათს ენციკლოპედიურ შინაარსში. „საქართველოს გეოგრაფიული აღწერა“ შეიცავს მრავალგვარ აღწერილობით მასალას, რომელიც დალაგებულია განსაზღვრული, XVIII საუკ. გეოგრაფიულ ლიტერატურაში მიღებული სისტემის მიხედვით. ეს მასალა შედგება მონაცემებისაგან რელიეფის, მინერალების, ჰავის, ჰიდროგრაფიული ქსელის, მცენარეულობის, ფაუნის, ისტორიული ნაგებობების, მოსახლეობის ეთნოლოგიური შემადგენლობის, მისი სამეურნეო საქმიანობის, ენის, ზნე-ჩვეულებების, სარწმუნოების, ჩაცმულობისა და სხვათა შესახებ. ბუნებრივი პირობების დახასიათება თითქმის ყველგან გარკვეულად არის გამოყოფილი მოსახლეობის დახასიათებისაგან. აღსანიშნავია, რომ იმ ეპოქაში მიღებული წესის თანახმად ვახუშტი კულტურულ მცენარეულობას და შინაურ ცხოველებს განიხილავს ტერიტორიის ბუნებრივ პირობებთან ერთად, როგორც გამომხატველს ამ ტერიტორიის თანდაყოლილი ნაყოფიერებისას.

ამრიგად, აღწერის მეთოდისა და შინაარსის მიხედვით ვახუშტის გეოგრაფიული თხზულება ახლოს დგას იმდროინდელ ევროპულ გეოგრაფიულ ნაწარმოებთან და ამყოფავნებს მათი გავლენის კვალს.

მაგრამ თუ მეთოდური ხერხების მხრივ ჩვენი გეოგრაფის ნაწარმოები უკავშირდება მის თანამედროვე ევროპელ გეოგრაფთა ნაწარმოებებს, ამავე დროს იგი განცალკევებულად დგას კავკასიისმცოდნეობის ლიტერატურაში თავისი ფაქტობრივი მასალის ორიგინალობით. „საქართველოს გეოგრაფიული აღწერა“ არამცთუ არ წარმოადგენს ლიტერატურულ კომპილაციას, არამედ არც კი სესხულობს სხვა ავტორებისაგან ფაქტობრივ მონაცემთა მნიშვნელოვან რაოდენობას. როგორც შემდეგში ვნახავთ, ეს თხზულება დამყარებულია

უმთავრესად ვახუშტისვე რუკებზე და მის მიერ დაკვირვებისა და გამოკითხვის გზით შეგროვებულ ცნობებზე.

ვახუშტის გეოგრაფიული თხზულების ერთ-ერთ ძირითად ღირსებას მის ორიგინალურობასთან ერთად შეადგენს მასში თავმოყრილი აღწერილობითი მასალის სიუხვე, დეტალურობა და სიზუსტე, რითაც ეს ნაწარმოები განსხვავდება კავკასიისადმი მიძღვნილი, XVIII საუკუნეში და უფრო ადრე დაწერილი თხზულებების უმრავლესობისაგან. ეს დებულება შეიძლება დასაბუთებულ იქნეს „საქართველოს გეოგრაფიულ აღწერაში“ მოხსენებული გეოგრაფიული ობიექტების რაოდენობით: ვახუშტი აღწერს 800 ოროგრაფიულ ერთეულს (ქედებს, მასივებს, მწვერვალებს, ხეობებს, ვაკეებს), 440 მდინარეს, 22 ტბას და ა. შ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ ქართველი გეოგრაფის ნაშრომი უფრო მაღლა დგას, ვიდრე კავკასიის შესახებ XVIII საუკ. ბოლომდე (რუსეთის აკადემიურ ექსპედიციებამდე) გამოქვეყნებული ყველა სხვა გეოგრაფიული აღწერილობა.

საქართველოს მრავალგვაროვანი ტერიტორიის ბუნებრივი პირობები და მოსახლეობა ვახუშტის გეოგრაფიულ თხზულებაში დიდი სისრულით, სიფართითა და სიღრმით არის განხილული.

აღწერილობის ერთ-ერთ ძირითად შემადგენელ კომპონენტს წარმოადგენს ოროგრაფიული მასალა. თხზულების ტექსტში იხსენიება საქართველოს მაკრორელიეფის დაახლოებით 350 დადებითი, 390 უარყოფითი ფორმა და 45 ვაკე. როგორც წესი, ყოველი ოროგრაფიული ერთეული (ქედი, ხეობა და სხვ.) დახასიათებულია მისი გეოგრაფიული მდებარეობისა და (ხაზობრივი ფორმებისათვის) მიმართულების თვალსაზრისით; მთელ რიგ შემთხვევებში მოცემულია დამატებითი ცნობები სიმაღლეზე, თოვლყინულის საბურველზე, გავლადობაზე, მცენარეულობასა და სხვ. თავისი დეტალურობის მიხედვით ვახუშტის თხზულების ოროგრაფიული ნაწილი აღემატება კავკასიის ყველა სხვა ოროგრაფიულ აღწერილობას, რომლებიც კი გამოქვეყნებულია XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე (რუ-

სული ერთვერსიანი ტოპოგრაფიული აგებგმვის საფუძველზე ლისოვსკის, სალაცკის, ფილიპოვისა და სხვა ავტორების მიერ შედგენილ აღწერილობებამდე).

ვახუშტის შეხედულებანი კავკასიის ყელის ოროგრაფიულ აგებულებაზე, ზოგიერთი ხარვეზისა და შეცდომის მიუხედავად, საკმაოდ ზუსტია იმ ეპოქის პირობების მიხედვით. ვახუშტის გარკვეულად აქვს წარმოდგენილი კავკასიის ფარგლებში მთათა ორი დამოუკიდებელი სისტემის არსებობა, რომლებიც შეესაბამებიან კავკასიონსა და ანტიკავკასიონს. ეს ნათლად ჩანს თხზულების შესავლიდან (საქართველოს ზოგადი დახასიათებიდან):

„კვალად არიან მთანი დიდროვანნი, რამეთუ ჩრდილოთ უძეს კავკასი, შავის ზღვიდამ ვიდრე კასპიამდე, რომლისა სიმაღლე დღე ერთისა სავალ და მარადის მყინვარე უმაღლესთა ზედა, რომლისა სიზრქე ყინულისა არის კ-ლ მხარი; და ჟამსა ზაფხულისასა განსქდების და, თუ შთაუტეო კაცი, მცირეს ჟამს ვერ ძალუცს დათმენად სიცივისა; და ქვეშე მისსა დის მდინარენი და არს ყინული მწვანე და წითელი, ვითარცა კლდე, სიძველის გამო. ხოლო დიან მთისა მისგან მდინარენი, იმიერ და ამიერ მრავალნი; შორის მთისა ამის სცხოვრობენ კაცნი. სხვა არს მთა სამხრით, რომელი იწყების შავის ზღვითვე და განვლის აზრუმს, ბასიანს და მოვალს ბარდა-არაზამდე, და არა ეგრე მყინვარე და მაღალი, არამედ თოვლნი მარადის აუღებლად, განა ადგილ-ადგილს; და აგრეთვე მდინარენი დიან იმიერ და ამიერ“...

ამრიგად, კავკასიონისა და ანტიკავკასიონის მდებარეობა, მათი ურთიერთშეფარდება სიმაღლის მიხედვით, წყალგამყოფური მნიშვნელობა და თოვლყინულის საბურველი ვახუშტის თხზულებაში სწორად არის დახასიათებული.

ამგვარსავე სიზუსტეს იჩენს ჩვენი გეოგრაფი უფრო დაბალი თანრიგის ოროგრაფიული ერთეულების დახასიათებისაც, განსაკუთრებით ქართლ-კახეთ-იმერეთის ტერიტორიისათვის. კავკასიის დანარჩენი ნაწილების ოროგრაფიული აღწერილობები შედარებით სქემატურია, თუმცა აქაც გვხვდება

ძლიერ სწორი დაკვირვებანი და განზოგადებანი (მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ ვახუშტის წარმოდგენა ე. წ. „ჩერქეზის მთაზე“, ე. ი. კავკასიონის ჩრდილო ფერდობის ერთ-ერთ გასწვრივ ქედზე: ჩვენს გეოგრაფს გარკვეულად აქვს აღნიშნული ამ ერთობლივი ოროგრაფიული ერთეულის დანაწილებულობა თერგის სისტემის მდინარეთა ხეობებით).

ვახუშტის გეოგრაფიულ თხზულებაში არ მოიპოვება სპეციალური ხელსაწყოების საშუალებით მიღებული მონაცემები ადგილთა სიმაღლეზე, მაგრამ მთების ჰიფსომეტრიის საკითხი ჩვენი გეოგრაფის ყურადღებას მაინც იპყრობს. რამდენადაც XIX საუკუნემდე კავკასიის ყელის ტერიტორიაზე არ შეხორულებულა ზუსტი ჰიფსომეტრიული გაზომვები, ვახუშტის ხანაში სიმაღლეებზე მხოლოდ თვალზომური განსაზღვრების მიხედვით ჰქონდათ წარმოდგენა. კავკასიის უმაღლეს მწვერვალად ვახუშტი თვლის მყინვარწვერს (მხოლოდ XIX საუკ. შუახანებში, იოსებ ხოძკოს გეოდეზიური გაზომვებით, დადგენილ იქნა, რომ მყინვარწვერს აბსოლუტური სიმაღლის მიხედვით კავკასიონის მწვერვალებს შორის მეექვსე ადგილი უკავია). კავკასიონის სიმაღლეს ვახუშტი, როგორც ზემოთ მოყვანილი ციტატიდან ჩანს, ერთი დღის სავალი მანძილის თანასწორად თვლის, რაც, ცხადია, ძლიერ გადაჭარბებულია; ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა აღინიშნოს, რომ XVI საუკუნეში მიუნსტერი ზოგიერთი მთის სიმაღლეს 20 კმ ტოლად თვლიდა, ხოლო ერთი საუკუნით გვიან რიჩიოლი ფიქრობდა, რომ კავკასიონის უმაღლესი მწვერვალის სიმაღლე 18 კმ ანუ 10 გეოგრაფიულ მილს აღწევს. ვახუშტი სწორად განსაზღვრავს ჰიფსომეტრიულ ურთიერთშეფარდებას კავკასიონის შემადგენელ ქედებს შორის, როგორიცაა მთავარი წყალგამყოფი ქედი ქართლის ფარგლებში და მის ჩრდილოეთით ამართული ხოხის ქედი: „თუმცა კავკასნი მაღრან-დვალეთისა, ზახისა, ბრუცსაბძლისა, ზეკარისა და კედელისა ქართლიდამ... უმეტეს ყოველთა კავკასთაგან უმაღლესად მჭენარებენ და დიდად...“, მაინც „მთა ხოხის კავკასი“ ყოფილა „ფრიად მაღალი და მყინვარი და უმაღლესი ბრუცაბზელ-

ზეკარისა". ამ დასკვნას ჩვენი გეოგრაფი, როგორც ჩანს, მიადგა იმ ფაქტის საფუძველზე, რომ ხოხის ქედის ყინულსაბურველის სიმძლავრე გაცილებით აღემატება მთავარი წყალგამყოფი ქედის ზემოხსენებული მონაკვეთისას.

რელიეფის მსხვილ ფორმებთან ერთად, „საქართველოს გეოგრაფიულ აღწერაში" ალაგ-ალაგ აღნიშნულია წვრილი ფორმებიც, მაგალითად, გამოქვაბულები, მდინარეთა მეანდრები, ხრამები და სხვ.

საყურადღებოა, რომ მდ. ქციას (ხრამის) ხეობის დახასიათებისას ვახუშტი იძლევა რიცხობრივ სიდიდეს მისი სიღრმე-სიგანისას. ვახუშტის სიტყვებით, ქცია თრიალეთის ანუ ეხლანდელი წალკის რაიონის ფარგლებში „მთდის მდორედ, ხოლო ეძანს დახრამდების, და არს იმიერ და ამიერ კლდე ქარაფი და მაღალი, მხარი რ მეტი, სიგანით რა მხარი და მეტიცა."[1] უფრო ქვემოთ, სოფ. სამშვილდის მიდამოებში, სადაც ქცია იერთებს მდ. ჭივჭივას, „ქციის ხრამი... არს სიმაღლით ს მხარი და მეტიცა და განით ფ მხარი, და ჭივჭივის ხრამი ს მხარი".[2] რელიეფის ასეთი ზუსტი მორფომეტრიული დახასიათების ცდა, რამდენადაც ვიცით, საქართველოს და მთლიანად საბჭოთა კავშირის ტერიტორიისათვის ვახუშტამდე არავის მოუცია.

საქართველოს გეოლოგიური აღნაგობა ვახუშტის ნაშრომში სპეციალურად არ არის განხილული და ეს გარემოება ადვილი გასაგებიცაა, რამდენადაც გეოლოგია, როგორც მეცნიერება, იმ დროს სავსებით ჩამოყალიბებული ჯერ კიდევ არ იყო (თანამედროვე გეოლოგიის ფუძემდებელნი— ა. ვერნერი, ლ. ბუხი და სხვანი ვახუშტის გეოგრაფიული თხზულების დაწერის შემდეგ მოღვაწეობდნენ). მაგრამ ვახუშტი მაინც უთმობს ყურადღებას ქანებსა და მინერალებს, რის დროსაც ძირითადად პრაქტიკული ინტერესით ხელმძღვანე-

[1] ე. ი. კანიონი, რომელშიაც გაედინება ქცია რაიონულ ცენტრ წალკას ქვემოთ, 100 საჟენი სიღრმისა და 180 საჟ. სიგანის მჭონე ყოფილა.

ს—200, ფ—560.

ლობს. თხზულებაში მოხსენებულია 30-მდე სხვადასხვა ქანი და მინერალი, რომლებიც შეესაბამებიან კონგლომერატს („კლდე ვითარცა ქვიტკირისა“), თიხაფიქალს, ქვიშაქვას, ვულკანურ ტუფს, მარმარილოს სხვადასხვა სახეობებს, კირქვას, პირიტს, მაგმური კვარცის ბიპირამიდულ კრისტალებს, აგატს, კაჟის სახესხვაობებს, კიროვან ტრავერტინს, მთის ბროლს, სპილენძის ლაჟვარდს, ტალახიანი ვულკანის ამოწანთხევ მასალას, წითელ გრანატს, ნავთობს, გვარჯილას, რკინიან მადანს, სპილენძოვან მადანს, ტყვია-ვერცხლისა და კალის მადნებს, გოგირდსა და სხვ. ზოგიერთი მინერალისა და ქანის აღწერისას ჩვენი გეოგრაფი დაკვირვების დიდ უნარსა და გონებამახვილობას იჩენს; ასეთია, მაგალითად, აღწერილობანი: თიხაფიქალისა პირიტის კრისტალებითურთ (მთიულეთის დახასიათებაში), მაგმური კვარცისა (სამშვილდესთან), „სასუნებელი მიწისა“, ე. ი. ნახშირმჟავა აირის ემანციებისა (ლიახვის ხეობაში სოფ. ხვწესთან და რაჭაში სოფ. უწერასთან) და ა. შ.

კლიმატური პირობების დახასიათებებს ვახუშტი იძლევა როგორც მეტად თუ ნაკლებად ვრცელი ტერიტორიებისათვის, ისევე ცალკეული დასახლებული პუნქტებისთვისაც. ვახუშტის კლიმატოლოგიური შეხედულებანი გარჩეული აქვთ მ. კორძახიას და გ. ჭირაქაძეს სპეციალურ სტატიაში, რომლითაც ჩვენ ვსარგებლობთ იმავე მიზნისათვის.

ვინაიდან ვახუშტის ხანაში და უფრო ადრეც საქართველოს ფარგლებში ინსტრუმენტული მეტეოროლოგიური დაკვირვებანი არ ჩატარებულა (ასეთი დაკვირვებანი კავკასიაში მხოლოდ XIX საუკუნეში იწყება), ამიტომ ქართველი მეცნიერის კლიმატოლოგიური დახასიათებანი დამყარებულია კლიმატური პირობების შეგრძნობაზე ადამიანის მიერ. ჰავისა და მისი ცალკეული შემადგენელი ელემენტების დასახასიათებლად „საქართველოს გეოგრაფიულ აღწერაში“ ნახმარია ორმოცამდე ტერმინი, როგორიცაა, მაგალითად, „მშვენი“, „კეთილჰაოვანი“, „გაუძლისი“, „ნოტიო“, „ზამთარ თბილი“, „ზაფხულ გრილი“, „უქარო“, „წვიმიანი“, „ყინვიანი“ და სხვ. ეს ტერმინოლოგია არ შეესაბამება კლიმატების მეცნიერულ

კლასიფიკაციას, ამიტომ ტერმინები მოკლებულია ზუსტ მნიშვნელობას.

ქართლის სამეფოს აღწერისას ვახუშტი ყველგან ხაზგასმით აღნიშნავს აქაური ჰავის კონტინენტალურ თვისებებს, რომლებიც გამოიხატება საზაფხულო და საზამთრო ტემპერატურების დიდ სხვაობაში. მაგალითად, ქალაქი ტფილისი „ჰავითა არს მშვენი და მხიარული... ზაფხულს ცხელი და არა გაუძლისი, ზამთარ ცივი. გაზაფხულ-შემოდგომა მშვენი და სატრფო.“ უფრო თბილ ზამთარს აღნიშნავს ვახუშტი ქვემო ქართლის ვაკისათვის: მდ. ბერდუჯის ანუ დებედას ქვემო წელში მდებარე რაიონი „ჰავით არს ზაფხულ ცხელი, გაუძლისი, ზამთარ კეთილ-მშვენი, რამეთუ არა დაადგრების თოვლი დღე ორ“. ქართლის უფრო მაღალ (ტფილის-მცხეთის ზემოთ მდებარე) ნაწილებში ვახუშტის შეხედულებით ჰავა შედარებით უფრო გრილია; მაგალითად, სოფ. ქვიშხეთი, რომელიც ბორჯომის ხეობის შესასვლელთან მდებარეობს, ყოფილა „ჰავითა ზაფხულს ამო, მშვენიერი, ზამთარ ცივი, ქარიანი, საჭირო“.

კახეთისათვის აღწერილია ქვემო ქართლის მსგავსი ჰავა: საქართველოს ამ მხარეში შემავალი ადგილები „ჰავითა არიან მშვენნი, ზამთარ თბილი, ზაფხულ ცხელი და არა ეგდენ, მცირეთოვლიანი, უყინულო, უყივნო, ვიწათგან ვეროდეს განჰყინავს მდინარეთა, და არცა დაადგრების თოვლი დღე სამ, და უქარო. არამედ ალაზნისა და იორის კიდენი და მისი ქვემოთნი ფრიად ხაშმიანნი, ცხელნი და გაუძლისნი“.

ჯავახეთისა და სამცხის ჰავა „საქართველოს გეოგრაფიულ აღწერაში“ შემდეგნაირადაა დახასიათებული: „ქალაქი ახალციხე ჰავითა არს მშვენი, ზამთარს ცივი და თოვლიანი, ზაფხულს არა ეგდენ ცხელი“. ჯავახეთი აღწერილია, როგორც „ჰავით თრიალეთის მსგავსი, „განა უმჯობესიცა. ზამთარი დიდთოვლიანი და ყინვიანი“. თრიალეთი, რომელთანაც შედარებულია ჯავახეთი, არის „ზაფხულ ფრიად მშვენიერი, ბალახოვანი, ყვავილოვანი, წყაროიანი...“

დასავლეთ საქართველოს დაბლობი ნაწილების კლიმატურ დახასიათებებში აღნიშნულია აქაური ჰავის სითბოლე და სი-

ნოტიე: ეს მხარე ჰავის მხრივ „კეთილმშვენი“ ყოფილა, მაგრამ „ტყის გამო ზაფხულს იმყოფის სიცხე, ვინაიდან ძნიად იძვრის ქარნი, და არა გაუძლისი სიცხე, თვინიერ ადგილთა რომელთამე. ზამთარი თბილი, რამეთუ ვერ ოდეს განჰყინავს მდინარეთა, ვერცა გუბესა, რომელსა ზედა შედგეს უტყეო ანუ მეტყეველი. არამედ თოვლი დიდი, რომლისა სიმაღლე ოდესმე მხარი და უმეტესიცა“. დაახლოებით ასევეა დახასიათებული ოდიში და გურიაც. დასავლეთ საქართველოს მთიანი ნაწილებისათვის სხვაგვარი კლიმატური პირობებია აღწერილი. მაგალითად, რაჭა „ჰავით არს კეთილმშვენი, ზაფხულს გრილი, ზამთარ თბილი და უქარო.“

დასავლეთ საქართველოს დაბლობთა მსგავსი კლიმატური პირობები ვახუშტის ეგულება აგრეთვე ჭოროხისა და მისი შემდინარეების ხეობებსა და ჭანეთის (ლაზისტანის) ზღვისპირა ზოლში.

ქართველი გეოგრაფის ყურადღებას არ გამოჰპარვია კლიმატური პირობების ცვალებადობა ადგილთა სიმაღლის მიხედვით, — იგი ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავს განსხვავებას დაბლობი და მაღლობი რაიონების ჰავაში (იხ. ოდიშის, ელისენის, ბერდუჯის ხეობის, გურიის, ჭანეთის, ჭოროხის აუზის დახასიათებანი).

ზემოთ მოყვანილი ციტატებიდან ჩანს, რომ ვახუშტის შეხედულებანი საქართველოს სხვადასხვა ნაწილების კლიმატურ პირობებზე, დამყარებული ხალხურ წარმოდგენებზე, თავისი ეპოქის პირობების მიხედვით საკმაოდ სწორი და ზუსტია.

რაიონებისა და პუნქტების კომპლექსურ კლიმატურ დახასიათებებთან ერთად, თხზულებაში გვხვდება აგრეთვე შენიშვნები ამა თუ იმ ადგილის ცალკეულ მეტეოროლოგიურ თავისებურებებზე. მაგალითად, მდ. სკვირეთის (ვერეს) ხეობისა და ოსეთისათვის აღნიშნულია ძლიერი სეტყვიანობა. ყველაზე შესანიშნავია ამ მხრივ ვახუშტის დაკვირვება თბილისის მიდამოების ერთ-ერთ სპეციფიკურ მეტეოროლოგიურ მოვლენაზე, რომელიც დაკავშირებულია კუხეთის მთასთან[1]; ვახუშტის

[1] შეესაბამება ეხლანდელ საგურამოს ანუ ზედაზენის ქედს და მის აღმოსავლეთურ გაგრძელებას—იალნოს.

ცნობით, „თუცა მას მთასა ზედა არს მცირეცა ღრუბელი ანუ ნისლი, არა იქმნების, თუმცა არა აღმოვიდეს ფიცხელი ქარი დიდი“. პროფ. ა. ბალაბუევის სპეციალური გამოკვლევით ვახუშტის ეს დაკვირვება დადასტურდა: ღრუბლები, რომლებიც დროგამოშვებით ჩნდება საგურამოს ქედის თხემზე და კარგად მოჩანს ქ. თბილისიდან, მიეკუთვნება ე. წ. „დაბრკოლებათა ღრუბლების“ ტიპს და მართლაც იძლევა ქალაქსა და მის მიდამოებში ქარიანი ამინდის 5—6 საათით ადრე წინასწარმეტყველების შესაძლებლობას.

ჰიდროგრაფიული ობიექტების აღწერას ვახუშტის თხზულებაში დიდი ადგილი უკავია. ავტორი მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს ყინვარებს, მდინარეებს, ტბებს, ჭაობებს, მტკნარსა და მინერალურ წყაროებს, აგრეთვე ადგილთა ერთობლივ წყლიანობასა და ყინულოვან ორმოებს. ჩამოთვლილ ჰიდროგრაფიულ კომპონენტებს შორის მთავარი ადგილი დათმობილი აქვს მდინარეთა ქსელს, რომელზე დაყრდნობითაც აგებულია მთლიანად გეოგრაფიული აღწერილობა.

მნიშვნელოვანი ისტორიული ინტერესი აქვს ვახუშტის შეხედულებებს კავკასიონის ყინულსაბურველზე. შესავალში ეს მთიანეთი დახასიათებულია, როგორც „მარადის მყინვარე უმაღლესთა ზედა“. ქართლის, ოვსეთისა და დასავლეთ საქართველოს აღწერილობებში აღნიშნულია კავკასიონის სხვადასხვა ნაწილებზე ყინულსაბურველის არსებობა. ამ ცნობების საფუძველზე ირკვევა, რომ ვახუშტის წარმოდგენა ჭონ- და კავკასიონის გაყინვარებაზე, დაწყებული ჯიქეთის მთებიდან, ე. ი. დასავლეთ კავკასიონიდან, და დამთავრებული ხევის აღმოსავლეთ საზღვარზე ამართული ქედით, რომელიც შეესაბამება შავანას ქედს. დასაშვებია, რომ ვახუშტისათვის ცნობილი იყო უფრო აღმოსავლეთით მდებარე რაიონების გამყინვარებაც, ვინაიდან იგი აღმოსავლეთ კავკასიონის (თუშეთ-დიდოეთისა და ქისტ-ძურძუკ-ღლიღვის) ბუნებას ოსეთის ბუნების ანალოგიურად აღიარებს, ხოლო ოსეთისათვის მას ძლავრი ყინულსაბურველი აქვს აღნიშნული.

ყინვარების გეოგრაფიული გავრცელების დახასიათებასთან ერთად, ჩვენ „საქართველოს გეოგრაფიულ აღწერაში“ ყინვარების შესახებ სხვა ცნობებსაც ვპოულობთ. შესავალში ნათქვამია, რომ კავკასიონზე ყინულის სისქე 20—30 მხარს (საჟენს) ეთანასწორება, რომ ყინვარი ზაფხულობით ნაპრალებითაა დასერილი, რომ ყინულს ქვეშ მდინარეები გაედინება, რომ გლეტჩერული ყინული შეფერადებულია ხოლმე. ქართველი მეცნიერის ეს ცნობები სავსებით რეალურ წარმოდგენას იძლევა ყინვარებზე და უნდა ემყარებოდნენ ავტორის პირად დაკვირვებებს, შესრულებულს უღელტეხილ გურძიე-ვცეკის გადალახვისას 1724 წელს, როდესაც ვახუშტიმ სხვა ქართველ ემიგრანტებთან ერთად განვლო ოსეთის ყინვარები კარაუგომი და ფასტაგი.

ვახუშტის მიერ კავკასიონის ყინულსაბურველზე მოცემული ცნობების ისტორიული მნიშვნელობა ნათელი გახდება, თუ ჩვენ მათ შევადარებთ სხვა მკვლევართა მონაცემებს იმავე საკითხზე. კავკასიის შესახებ XIX საუკ. მეორე ნახევრამდე დაწერილი გეოგრაფიული ნაშრომების ვერც ერთი ავტორი ვერ იძლევა კავკასიონის ყინულსაბურველის სივრცობლივი განაწილების ისეთ სრულ სურათს, როგორიც ქართველმა მეცნიერმა XVIII საუკუნეში მოგვცა. ვახუშტის შეხედულებებს შეეძლოთ შეესრულებინათ კავკასიონის ყინულსაბურველის შესწავლაში მნიშვნელოვანი როლი, თავის დროზე რომ გამხდარიყვნენ მეცნიერთა ფართო წრისათვის ხელმისაწვდომნი, რამდენადაც ვახუშტის თხზულების დაწერის შემდეგ კიდევ დიდი ხნის განმავლობაში სამეცნიერო ლიტერატურას არ გააჩნდა რეალური მასალა კავკასიონის ყინვარების შესახებ. მხოლოდ XIX საუკ. 60—70 წლებში გეოლოგმა ჰ. აბიხმა და მთასვლელმა დ. ფრეშფილდმა აღმოაჩინეს კავკასიონის ვრცელი ყინულოვანი სამეფო ევროპელი მეცნიერებისათვის, ხოლო პირველი სრული და ზუსტი სურათი კავკასიის ყინვართა გეოგრაფიული განაწილებისა მოგვცა ი. სტებნიცკიმ რუსული ტოპოგრაფიული აგეგმვის მასალების საფუძველზე.

საქართველოს მ დ ი ნ ა რ ე ე ბ ი ვახუშტის დიდი სიმუყაი-

თით აქვს აღწერილი. როგორც ითქვა, მდინარეთა ქსელი თხზულებაში ასრულებს ერთგვარი ჩონჩხის როლს აღწერილობის დანარჩენი ელემენტების ასასხმელად. ტექსტში იხსენიება 440-ზე მეტი დიდი და მცირე მდინარე. ყველაზე დაწვრილებით აღწერილია ქართლის მდინარეთა სისტემა, რომლისთვისაც ავტორს ზუსტ კარტოგრაფიულ მასალასთან ერთად პირადი შთაბეჭდილებების უხვი მარაგიც ჰქონდა. ქართლს მოჰყვებიან კახეთი, იმერეთი, სამცხე-საათაბაგო და სხვა რაიონები.

მდინარეთა დახასიათებისას ვახუშტი, როგორც წესი, საკითხთა შემდეგ მინიმალურ ჯგუფს განიხილავს: 1) მდინარის შესართავის მდებარეობა და მდინარის დამოკიდებულება მთავარ მდინარესთან ან წყალსატევთან (რომელი მხრიდან ერთვის); 2) მდინარის სათავის მდებარეობა; 3) მდინარის საერთო მიმართულება და ზოგჯერ მისი ცალკეული მონაკვეთების მიმართულებანიც; 4) შემდინარენი. ამ სავალდებულო ცნობებთან ერთად, ზოგიერთი მნიშვნელოვანი მდინარისათვის მოცემულია აგრეთვე ნაოსნობის პირობები, სარწყველი მნიშვნელობა, გავრცელებულ თევზთა სახეები, წყლის თვისებები და ა. შ. გამოყენებითი თვალსაზრისი დიდ როლს ასრულებს ამ დახასიათებებში, — ხშირად იხსენიება ფონები და სხვ. მტკვრისათვის მიცემულია სიგანის მაჩვენებელი რიცხვები.

ვახუშტი აღნიშნავს აღმოსავლეთ საქართველოში იმგვარი მდინარეების არსებობას, რომლებიც ვერ აღწევენ სხვა მდინარეებამდე ან წყალსატევებამდე ნაიადაგში ჩაჟონვისა და აორთქლების გამო (იყალთოს-ხევი, ლაკბე და ბოდბის-ხევი კახეთში, თიხრევის-ხევი ქართლში).

იმ მდინარეებისათვის, რომელთა სახელწოდებების პოვნა რუკებში ან სხვა წყაროებში ვახუშტის ვერ შეეძლო, იგი თვითონ ჰქმნის სახელებს. ასე მაგალითად, ვახუშტის ყვარლის-წყალი შეესაბამება დურუჯს, სადმელის-ხევი რიცეულს, ჯუტოს-ხევი ილტოს, ანაკოფიის მდინარე ფსირცხას, აჩხოტის-ხევი ღუდუშაურის არაგვს, ახალციხის-წყალი ფოცხოვის ქვემო წელს, გლოლის-წყალი ჭანჭახს, ბორაღნის-წყალი სუნჯას,

ვალაგირის-წყალი არდონს, თაგაურის მდინარე გიზელ-დონს, თიანეთის-წყალი ქუსნოს, თუშეთის მდინარე ანდის ყოი-სუს, პალიასტომის მდინარე ფიჩორას, საბუე-გრემის წყალი ინწობას, ქისტის-წყალი არმხის, ქობულეთის მდინარე კინტრიშს, ქურთაულის-წყალი ფიაგ-დონს, ღლიღვის წყალი ასას, ყაბანის-ხევი გენალ-დონს, ცხომის მდინარე ბესლეთს, ხორგის-წყალი ხობს და ა. შ.

ტ ბ ე ბ ს „საქართველოს გეოგრაფიულ აღწერაში“ აგრეთვე მნიშვნელოვანი ყურადღება აქვთ დათმობილი. იხსენიება 20-ზე მეტი ტბა, სახელდობრ, ორმოზანისა (შეესაბამება საღუღლი-გიოლს დმანისის რაიონში), ქციისა (შემცირებულია ხრამჰესის აგების შედეგად), ფანავრისა (თაფარავანი), ნადარბაზევისა (თეთრ-წყაროსთან), კუმისისა, ლილოსი (თბილისთან), ტბისყური, ბაზალეთისა, ქნოღოსი (ყელის ტბა), ჰერეთის ზეგნის მწარე-მლაშე ტბები, საღამო, კარწახი (ხოზაფინი), ხავეთისა (ხანჩალი-გიოლი), აბოცისა (არფა-გიოლი), ტბეთისა (შავშეთში), ხეორისა (რაჭაში), წონა ანუ ერწო, პალიასტომი, ტაშაღანი (მადათაფისა), ბარეთი (ბაშკოვისა) და ლისი.

ტბების დახასიათებებში ხაზგასმულია პრაქტიკული მხარე—თევზიანობა, წყლის სასმელად ვარგისობა და სხვ.

სხვა ჰიდროგრაფიული ობიექტებიდან ჩვენი გეოგრაფის ყურადღებას იპყრობს მტკვარი და მინერალური წყაროები, რომლებიც მას უმთავრესად მათი პრაქტიკული მნიშვნელობის თვალსაზრისით აინტერესებს. აი, მაგალითად, ოცხის ანუ ახლანდელი აბასთუმნის ცხელი გოგირდოვანი წყლების აღწერილობა: „ოძრახის ქვეით, სამხრით, არს მთის კალთას წყაროდ გამომდინარე, ფრიად დიდი და ცხელი, მდუღარის მგზავსი, რომელსა უწოდებენ ოცხეს. მას ზედა არს შენი აბანო, და ბანობენ მრავალნი, რამეთუ ჰკურნებს ქარით დახუთვილსა ძლიერსა, მუწუკსა და ბუგრსა, ძნიად საკურნებელსა მკურნალთაგან.“ ანალოგიური ცნობებია მოცემული მაშავრის ხეობის, ფანავრის ტბის მიდამოების, ერჯევნის მთის, სოფ. ატენის, მდ. ფრონეზე მდებარე სოფ. აბანოსა და სხვა ადგილთა სამკურნალო მინერალურ წყაროებზე. ვახუშტი ხაზგასმით

აღნიშნავს მინერალური წყაროების ანუ ვეძების სიმრავლესიუხვეს ოვსეთის ტერიტორიაზე.

იხსენიება აგრეთვე ზოგიერთი მტკნარი წყარო, რომლებიც განირჩევიან დიდი დებიტით. ასე მაგალითად, „დის ღელვას ერთს წყაროს ერთი საწისქვილო.“ ასეთივე მძლავრი წყაროები აღწერილია სოფ. დუდეთში (ურბნისის დასავლეთით), სოფ. ბრილში (ხაშურის რ-ნი), ჯავახეთში (შაორის წყარო ფანავრის ტბასთან) და ა. შ.

დასავლეთ საქართველოს აღწერილობაში იხსენიება კირქვიანი კარსტული რაიონებისათვის დამახასიათებელი ვოკლუზის ტიპის წყაროები, რომლებიც რაჭასა და იმერეთში გვხვდება. აღწერილია კერძოდ ვოკლუზები სოფ. ძევრთან, ქვაციხესთან, მღვიმევის მონასტერსა და მდ. ხეორის სათავეში სოფ. შქმერთან. დვალეთის აღწერისას ავტორი გვაცნობს პერიოდული მოქმედების წყაროს სოფ. ქალაქასთან.

საჭიროა შევეხოთ აგრეთვე ვახუშტის ცნობებს ყინულოვან ორმოებზე (ე. წ. საყინულეებზე). „სხოვის ხევზედ არს ორმო დიდი, ვრცელი და ღრმა, რომელსა შინა დის წყარო, და ვერ განჰყინავს ზამთარს, არამედ ზაფხულს ჰყინავს სრულიად, რომელი ამოულეველი არს, რაოდენცა სჭრას მრავალმან, გარნა თუ შთავიდეს კაცი უცხო, თვინიერ მუნ მყოფისა, აცივებს წელსა ერთსა“. მოყვანილ ციტატში ნაგულისხმევია ერთ-ერთი კარსტულ ჭათაგანი, როგორებიც ბევრია რაჭის ქედისა და ხვამლის მთის თხემზე (ასეთ ჭებში გუბდება ზამთრის ცივი ჰაერი, რაც იწვევს ზაფხულში შიგ ჩასული წყლის გაყინვას). საყინულეები აღწერილია აგრეთვე სოფ. საბაწმინდის მიდამოებისათვის (ცხინვალის ჩრდილოეთით) და ადგილ-ხორხებისათვის სოფ. კლდეისთან მდ. ხრამის ხეობაში.

ცალკეული ჰიდროგრაფიული ობიექტების (მდინარეების, ტბების, წყაროების) დახასიათებებთან ერთად, ჩვენ „საქართველოს გეოგრაფიულ აღწერაში“ ვხვდებით აგრეთვე მეტად თუ ნაკლებად ვრცელი ტერიტორიების ზოგადი ჰიდროლოგიური თავისებურების დახასიათებებსაც. განასხვავებს რა „წყლიანსა“ და „უწყლო“ ადგილებს, ვახუშტი იძლევა საქარ-

თველოს ტერიტორიაზე მათი გეოგრაფიული განაწილების სწორსა და იმდროინდელი პირობების მიხედვით საკმაოდ სრულ სურათს.

აღმოსავლეთ საქართველოს სტეპური რაიონების აღწერისას ბევრგან ხაზგასმით ნათქვამია მათი უწყლობის ან წყალმცირობის შესახებ, აღნიშნულია მდინარეთა ქსელის უქონლობა ან სიიშვიათე და წყარო-ტბების მარილიანობა. ამგვარად არის დახასიათებული ჰერეთის (იორის) ზეგანი, გარეჯის მაღლობი, იაღლუჯას მაღლობი, აღაიანისა და ნასპარესევის ვაკეები მტკვრის მარცხენა სანაპიროზე მცხეთის ზემოთ—ყველა ამ რაიონებს ვახუშტი აღიარებს უწყლო ადგილებად. მცირეწყლიან რაიონებად მიჩნეულია თხზულებაში მანავის მიდამოები, რუისის მაღლობი და ბაზალეთის ტბის მიდამოები.

„წყლიან“, ე. ი. წყალუხვ, რაიონებს ვახუშტი მიაკუთვნებს სამცხე-საათაბაგოს და მის ცალკეულ ნაწილებს (მაგალითად, ტაოს, ისპირის მთებს). წყაროების სიმრავლე-სიუხვე კონსტატირებულია თითქმის ყველა იმ ქედების თხემებისათვის, რომლებიც ტყიან ზონას სცილდებიან და მდელოებითაა დაფარული, — ასეთია ფერსათის (აჭარა-იმერეთის), რაჭის, თიანეთის ქედები, თრიალეთი, მთიულეთი და სხვ.

საპატიო ადგილი აქვს დათმობილი ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიულ თხზულებაში საქართველოს მ ც ე ნ ა რ ე უ ლ ს ა ბ უ რ ვ ე ლ ს.

მცენარეულობის აღწერისას ვახუშტი, მისი ეპოქის გეოგრაფთა უმრავლესობის მსგავსად, ძირითადად გამოყენებითი თვალსაზრისით ხელმძღვანელობს. ეს აშკარად ჩანს თუნდაც იმ მცენარეთა სიიდან, რომლებიც დასახელებულია თხზულების ტექსტში. შესავალში, საქართველოს ზოგადი დახასიათებისას, კულტურულ მცენარეებთან ერთად ჩამოთვლილია ველური ფლორის მხოლოდ ისეთი წარმომადგენლები, რომლებიც იძლევიან საჭმელად გამოსადეგ ნაყოფს ან ლამაზ ყვავილებს. დანარჩენი თავების ტექსტშიც უმთავრესად კულტურული და სასარგებლო ველური მცენარეების ხსენებასთან გვაქვს საქმე. თხზულებაში მოხსენიებულ მცენარეთა 56 სახეს

შორის არ არის აღნიშნული ისეთი ფართოდ გავრცელებული მცენარეები, როგორიცაა რცხილა, ღვია, სოჭი, ბზა, შქერის სახეობანი, სურო, წყავი, თელა, უთხოვარი და სხვები, რომლებიც ლანდშაფტის ხასიათში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ.

საქართველოს ფლორის შედგენილობის ასე ღარიბად ასახვასთან ერთად თხზულებაში მოცემულია მცენარეულობის ტიპების გეოგრაფიული განაწილების ფართოდ მოხაზული სურათი. მცენარეული საბურველის ტიპებიდან აღწერილია მთის ტყეები, ჭალები ანუ ტუგაის ტყეები, „ეწრები“ (კოლხეთის ჭაობური თხმელნარები), მდელოები, სტეპები, შამბნარები. მცენარეულობის ტიპების განლაგებაზე ვახუშტის შეხედულებათა გამორკვევა მნიშვნელოვნად გაძნელებულია აღწერის პოლიტიკურ-ადმინისტრაციული პრინციპით: მთლიანი ფიტოგეოგრაფიული ზონები ტექსტში ხელოვნურადაა ნაკვეთებად დანაწილებული, რომლებიც სხვადასხვა ტერიტორიულ ერთეულებთანაა აღწერილი (სტეპი აღნიშნულია 58 ადგილისათვის, რომელთაგან 34 ქართლშია, 14 კახეთში, 1 ჩრდილო კავკასიაში, 6 სამცხე-საათაბაგოში და 3 დასავლეთ საქართველოში; ჭალები ანუ ტუგაის ტყეები იხსენიება 15 ადგილისათვის, ჩვეულებრივი მთის ტყეები 106 ადგილისათვის, მთის მდელოები 47 ადგ.).

მცენარეული საბურველისა და კულტურული მცენარეულობის გეოგრაფიული განლაგების აღწერისას ვახუშტი მხედველობაში ღებულობს და ისწრაფვის თანმიმდევრულად ასახოს ვერტიკალური ზონალობა, მთიან მხარეებში მცენარეთა განაწილების ეს უმნიშვნელოვანესი კანონზომიერება. ჩვენი გეოგრაფის შეხედულებანი ამ საკითხზე უკვე გარჩეულ იქნა ივანე ჯავახიშვილის და შემდეგ ზოგიერთი სხვა ავტორის მიერ.

ვახუშტი ბევრგან აღნიშნავს ისეთ ქედებს, რომელთაც კალთები ტყით აქვთ შემოსილი, ხოლო თხემი უტყეოა, ბალახით დაფარული. მაგალითად, რაჭის შემომფარგვლელი ქედები დახასიათებულია როგორც „მაღალნი და განიერნი, თხემთა უტყეონი და კალთათა ტყიანნი, და ზამთარს დიდ-თოვლიანნი,

სადაც ვერ ივლის ცხენი, და ზაფხულის უთოვლო, წყაროიანი ბალახიან-ყვავილოვანნი ნადირიან-ფრინველიანნი." უტყეო თხემი და ტყიანი კალთები აქვს აგრეთვე მთელ რიგ ქედებსა და მასივებს, როგორიცაა ფერსათის ქედი, ლომისისა, რაზმითის მთა, ერჯევანი, ალევი, ჭურთა-ჟამურის და მთიულეთ-ჟამურის გამყოფი ქედები, ზებეყური, დიდგორი, ბენდერი (ეხლ. ბედენი), კეჩუთ-ბოლოლი, არსიანი, ისპირი, ჭანეთის ქედი, მთა ლელვარი და სხვ. აღწერილია აგრეთვე ისეთი ქედები და მასივებიც, რომლებიც მთლიანად შემოსილია ტყით (ლიხი, ხარული, ლებეური, უნაგირა) ან, პირიქით, სავსებით უტყეოა (ნიალის-ყური, ყალნუ, ყარსის მთები).

მცენარეთა ვერტიკალური განაწილების სხვა თავისებურებებიდან ვახუშტისათვის ცნობილია, მაგალითად, ის გარემოება, რომ არყის ხე სხვა ხეებზე უკეთესად ეგუება სიმაღლეს; აღწერილია მთელი რიგი მთიანი მასივების, ქედებისა და ქვაბულებისა, სადაც არყნალები წარმოადგენენ ტყემცენარეულობის ერთადერთ ტიპს—ასეთია კეჩუთის, ბოლოლის, შანბიანის, თავკვეთილის, ხევღრმის, ბარძიმის, ჭიქიანის, შაორისა და შავნაბადის მთები ჯავახეთში, არტაანისა და ბასიანის[1] ტაფობები, მთიულეთ-ჟამურის გამყოფელი მთები კავკასიონის სისტემაში. ოსეთის აღწერილობაში ნათქვამია: „არა არს აქა ტყე, მცირეთაგან კიდე, და იგიცა უმეტეს არყნალი, გარნა მდინარეთა კიდეთა და ღელვანთა შინა, რამეთუ სივიწროვე სიცივისა და კლდოვანობის გამო ვერ იზრდების-"ო. ამრიგად, ტყის გავრცელების ზედა ზღვრის არსებობას ვახუშტი ასაბუთებს მაღალმთიანი რაიონების კლიმატური, გეომორფოლოგიური და ნიადაგური პირობებით.

არყის ხის გარდა, თხზულებაში ჩამოთვლილია მაღალი ჰიფსომეტრიული სარტყელისათვის დამახასიათებელი სხვა მცენარეებიც. წესავალში აღნიშნულია „მთის ხილნი"—მოცხარი, კლდის მერსენი, ჟოლო, უელი, მოცვი და სხვ. რამდენადაც თხზულებაში მათ უპირისპირდებიან „ტყის ხილნი" და

[1] არტაანი და ბასიანი—ეხლ. არდაჰანი და პასინლერი (თურქეთშია).

„ხილნი წალკოტთა“, ცხადია, ზემოჩამოთვლილ სახეებს ჩვენი გეოგრაფი ტყის ზემოთ მდებარე მდელოების სარტყელის წარმომადგენლებად თვლის. ეს დებულება განმეორებულია შეკვეცილად ხევის (ყაზბეგის რ-ნის) აღწერილობაში.

უფრო დეტალურად და სრულად არის „საქართველოს გეოგრაფიულ აღწერაში“ დამუშავებული კულტურულ მცენარეთა ვერტიკალური ზონალობის სისტემა (კულტურულ მცენარეებს ვახუშტი, როგორც უკვე იყო ნათქვამი, ბუნებრივი ნაყოფიერების გამოხატულებად თვლიდა და განიხილავდა მათ ლანდშაფტის კომპონენტებთან მიზეზობრივ კავშირში). ვახუშტის მონაცემები სასოფლო-სამეურნეო კულტურების გავრცელებაზე სამუალებას იძლევა გამოვლინებულ იქნეს მისი შეხედულებანი ვერტიკალურ ზონალობაზე უფრო თვალსაჩინოდ და დამაჯერებლად, ვიდრე ეს შეიძლება გაკეთდეს ვახუშტისვე მასალებით ბუნებრივი ლანდშაფტის სხვა შემადგენელი ელემენტების შესახებ.

ვახუშტი განასხვავებდა და ერთმანეთს უპირისპირებდა ნაყოფიერების მიხედვით და, კერძოდ, სასარგებლო სამეურნეო მცენარეულობის კულტივირების შესაძლებლობის მხრივ ადგილთა ორ ძირითად ტიპს—მთას და ბარს. შესავალში აღნიშნულია, რომ „მთათა ხორბალი, ქრთილი, შვრია, სელი და ხილნი მთისანი ნაყოფიერებს და სხვანი არარაი, ხოლო ბართა ყოველივე“. თხზულების აღწერილობითს თავებში მდინარეთა ხეობების დახასიათებისას ხაზგასმით აღნიშნულია ხოლმე განსხვავება მათს ზემო და ქვემო ნაწილებს შორის ნაყოფიერების მხრივ, ე. ი. გავრცელებული მცენარეების მიხედვით: ხეობათა ქვემო ნაწილებში ხარობს საქართველოსათვის დამახასიათებელი ყველა ან თითქმის ყველა სასოფლო-სამეურნეო მცენარე (ხორბალი, ქერი, შვრია, სელი, ვაზი, ხეხილი, სიმინდი, ზოგან აგრეთვე ბრინჯი, ბამბა, ზეთის ხილი, ნარინჯი, თურინჯი და სხვ.), ხოლო სათავეებში ნაყოფიერების ხარისხი უფრო დაბალია, — აქ ვერ ხარობს ხეხილი, ვაზი და სხვა სითბომოყვარული მცენარეები.

რამდენადაც ხეობათა ქვემო ნაწილები განსხვავდებიან ზემო ნაწილებისაგან ძირითადად ვაზისა და ხეხილის მოყვანის შესაძლებლობით, ვახუშტი, აღწერის შემოკლების მიზნით, აღნიშნავს ხეობების ქვემო ნაწილებს „ვენახ-ხილიანად“, ხოლო ზემო ნაწილებს „უვენახოდ, უხილოდ“ ანუ „მთის ადგილებად“. მაგალითად, მდ. ქსნის ხეობა ზებეყურის მთიდან ჩამოსული ქედის ცხვირს ქვემოთ „არს ვენახოვანი, ხილიანი, მოსავლიანი...“, ხოლო იმავე კლდეს ზემოთ „იწრო და მჭიდრო, უვენახო, უხილო, მწირი, ვითარცა სხვანი მთის ალაგნი მოსავლითა, ტყიან-კლდიანობითა“. ანალოგიურად არის აღწერილი მრავალი სხვა ხეობა.

ვახუშტი არ კმაყოფილდება ხეობათა ზემო და ქვემო ნაწილებს შორის აგროკულტურული განსხვავების აღნიშვნით, არამედ კიდევაც ზუსტად განსაზღვრავს იმ პუნქტის მდებარეობას, რომელიც წარმოადგენს მიჯნას განსხვავებულ ნაწილებს შორის. ეს მიჯნა თხზულებაში ხეობათა მნიშვნელოვანი რაოდენობისათვის არის ნაჩვენები. მდ. ბერდუჯის (დებედას) ხეობაში მთა-ბარის საზღვრად მიჩნეულია ლორის ციხე, მაშავრის ხეობაში ანუ ე. წ. დბანის-ხევში დმანისი, ქციის ხეობაში მოდამნახის ციხე, ალგეთისაში სოფ. პატივანი, სკვრეთის ანუ ვერისაში ს. ვანათი, დიღმის-წყალისაში ს. წიდორეთი, ავთურასაში ქვათახევის მონასტერი, თეძმისაში კრკონის მონასტერი, ატენისაში ს. ბობნევი, ძამისაში ს. გვეძინეთი, ნარეკვავისაში ს. უჟანი, არაგვისაში ს. ანანური, ქსნისაში ზებეყურის მთიდან ჩამოსული მთის ცხვირი, რეხულასაში ს. ხახორი და ქვაბისმანის მონასტერი, მეჯვდასაში ს. ბიყარი, პატარა ლიახვისაში ს. ვანათი, დიდი ლიახვისაში ს. სვერი, ფანასკერტის ანუ ოლთისისაში ს. იდი, თორთომისაში ხახულის მონასტერი და რიონის ხეობაში ჭიდროთას ციხე ს. უწერას ზემოთ. რიგ შემთხვევებში საზღვრის ზუსტი მდებარეობა არ არის ნაჩვენები (ალბათ სათანადო მონაცემების უქონლობის გამო), არამედ აღნიშნულია მხოლოდ ხეობის დანაწილება მთურსა და ბარულ მონაკვეთებად, — ასეა დახასიათებული ჭივჭივას, ტაოს, ირაგის, ბალიჭის, პანკისის, ჯეჯორის ხეობები, სომხითის მხარე და ა. შ.

აღწერილია აგრეთვე ისეთი ხეობები და გეოგრაფიული რაიონები, რომლებიც მთლიანად (დასახლებული ნაწილის ფარგლებში) ხასიათდებიან ნაყოფიერების ბარული ტიპით, და ისეთებიც, რომლებიც, პირიქით, მთურ თვისებებს ატარებენ. პირველ ტიპს მიეკუთვნებიან ფოცხვერიანის, აჭარის, სურების, ხინოს ხეობები, ხოლო მეორეს თრიალეთი, ტაშირი, აბოცი,[1] ზურტაკეტი, მთიულეთი, ხევი, დიდოეთი, თუშეთი, ოსეთი, ჯავახეთი, სვანეთი, ბაიბურთის ქვაბული, ძველგომარეთის ხევი და სხვ.

ბარის რაიონებს შორის განირჩევა რამდენიმე ქვეტიპი, რომლებიც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ნაყოფიერებით და მდებარეობენ მდინარეთა სხვადასხვა მონაკვეთებზე. ამგვარი ქვეტიპების რიცხვი 2—3-ს უდრის. მაგალითად, მდ. ჭოროხის აუზში ვახუშტი შემდეგ აგროკულტურულ ზონებს გამოჰყოფს. ჭოროხის ხეობის ქვემო ნაწილი ანუ ე. წ. ლიგანის ხეობა „არს, თვინიერ სივიწროვისა, ფრიად ნაყოფიერი ნარინჯით, თურინჯით, ლიმოთი, ზეთისხილით, ბროწეულითა, ლეღვით, ვენახით, ხილით შემკობილი, და ქებულნი მუნებურნი ყოველნივე. მარცვალნი ყოველნი ნაყოფიერებს, გარნა სივიწროვით ვერ სთესვენ ბრინჯ-ბანბას.“ ჭოროხის აუზის უფრო მაღალი ნაწილები, სახელდობრ არტანუჯის ხეობა და ტაოს ქვემო ნაწილი, დახასიათებულია როგორც „ვენახიანი, ხილიანი“, აქ „მარცვალნი ყოველნივე ნაყოფიერებს“, მაგრამ არ მოდის ციტრუსები, ზეთისხილი, ბრინჯი და ბამბა. დასასრულ, ჭოროხისა და მის შემდინარეთა სათავეები—მაგალითად, ტაოს ზემო ნაწილი და ს. იდს ზემოთ მდებარე ადგილები მიეკუთვნებიან მთას და ნაყოფიერების მიხედვით შედარებულნი არიან ჯავახეთთან, ე. ი. „უვენახონი და უხილონი“ არიან.

სამ ნაწილად არის დაყოფილი ქციის ხეობაც. მისი ზემო ნაწილი, თრიალეთი მოკლებულია ვენახს, ხეხილსა და ბოსტნეულს, არის „მოსავლით, ვითარცა ტაშირი, გარნა ესე უმჯობესი მისა“ (ტაშირის აღწერილობაში ეს მხარე დახასიათე-

[1] ტაშირი ეწოდებოდა ლორის ვაკეს, აბოცი—არფას ტაფობს (ორივე სომხეთშია).

ბულია როგორც „ნაყოფიერი ხორბლით, ქრთილით, სელით, შვრიით...“). მოდამნახის ციხის ქვემოთ ს. სამშვილდემდე ქციის ხეობა „ვენახოვანი, ხილიანი“ არის, ხოლო სამშვილდის ქვემოთ „ნაყოფიერებს სხვათა ადგილთაგან მეტად ბროწეული, ლეღვი, ზეთისხილი და სხვანი ხილნი.“

ბერდუჯის ხეობის ქვემო ნაწილში, ვახუშტის თქმით, „ნაყოფიერებენ ყოველთა მარცვალთა თესლნი: ბრინჯი, ხორბალი, ქრთილი, ფეტვი, ბამბა, თამბაქო, სელი, ხოლო კანფი უმუშაკოთ, ნესვი, მელსაპეპონი, კიტრი, ბადრიჯანი, პუმპულა, ხოლო მტილოვანნი ყოველნი და წალკოტთა ხეთანი“[1]. უფრო ზემოთ, ე. წ. ქურდვაჭრის ხეობაში უკვე ვერ ხარობს ბრინჯი და ბამბა, ხოლო კიდევ უფრო მაღლა, ბამბაკის ხევში „ნაყოფიერებს ხორბალნი, ქრთილი, სელი, შვრია, სხვა არარაი“. მაშასადამე, ბერდუჯის ანუ დებედას ხეობაშიც ჩვენი მეცნიერი გამოჰყოფს სამ აგროკულტურულ ზონას.

კულტურული მცენარეების ვერტიკალურ-ზონალური განწილების მიზეზები ვახუშტის იმდროინდელი ცოდნის პირობებში საკმაოდ სწორად ჰქონდა გაგებული. თუმცა ჩვენი მეცნიერი სპეციალურად არ ეხება ნაყოფიერებასა და ადგილის სიმაღლეს შორის ურთიერთდამოკიდებულების საკითხს, მაგრამ თხზულების ტექსტში გაბნეული მითითებანი საშუალებას იძლევიან გაიკვეს ავტორის შეხედულებანი. როგორც ცნობილია, ბუნებრივი პირობებისა და, კერძოდ, მცენარეული საბურველის ვერტიკალური ზონალობის ძირითად მიზეზს წარმოადგენს ტემპერატურის შემცირება ქვემოდან ზემოთკენ. სხვადასხვა მცენარეები ერთგვარად როდი ეგუებიან ტემპერატურულ რეჟიმს, ამიტომაც მათი არეალების ვერტიკალური განფენილობა განსხვავებულია. დაბალ ტემპერატურასა და მოკლე სავეგეტაციო პერიოდს შეგუებული მცენარეები ადიან უფრო მაღლა, ვიდრე სიცივის ვერგამძლე მცენარეული სახეები.

„საქართველოს გეოგრაფიული აღწერის“ ტექსტიდან ჩანს, რომ მისი ავტორისათვის ცნობილი იყო ველური და

[1] ქრთილი—ქერი, მელსაპეპონი—საზამთრო, პუმპულა—ნესვის ჯიში დასტამბო, მტილოვანნი—ბოსტნეული.

კულტურული მცენარეების განაწილების მიზეზობრივი კავშირი სიმაღლის მიხედვით ტემპერატურის ცვალებადობასთან. თუმცა ვახუშტის მიერ დიდ სიმაღლეებზე მდებარე ადგილების აღსანიშნავად ხმარებულ ტერმინს „მთას“ ორგვარი მნიშვნელობა აქვს (იგი აღნიშნავს როგორც მაღალ ადგილს, ისევე რელიეფის ამობერილ ფორმასაც), მაინც ვახუშტის მთელი რიგი გამოთქმები ეჭვს გარეშე აყენებენ იმ გარემოებას, რომ „მთურ ნაყოფიერებაზე“ ბაასის დროს მას მხედველობაში სწორედ ჰიფსომეტრიული ფაქტორი აქვს.

ასე მაგალითად, კახეთის აღწერილობაში ვკითხულობთ: „ხეობა პანკისისა არს ვენახოვანი, ხილიანი — დაბალნი, და მთის კერძნი, ვითარცა მთათა ადგილნი“. ვახუშტი აღნიშნავს ნაყოფიერების მთურ ტიპს მთელ რიგ ისეთ რაიონებში, რომლებშიც დიდ სიმაღლეზე მდებარეობენ, მაგრამ განირჩევიან შოვაკებული ან ბორცვიანი რელიეფით (ტაშირი, აბოცი, არტაანი და სხვ.). მეორე მხრივ, ნაჩვენებია მთიანი რაიონები და ხეობები, სადაც ნაყოფიერება ბარულ ხასიათს ატარებს— ბორჯომის ხეობა, ხინოს ხეობა, ჭოროხის ხეობის ქვემო ნაწილი. გრძნობდა რა ქართული ტერმინის „მთის“ ორმაგ ბუნებას, მის არაზუსტობას, რასაც შეუძლია გაუგებრობის გამოწვევა, ვახუშტი ლეჩხუმის აღწერილობაში შენიშნავს: „არაშედ თუმცა არს ლეჩხუმი მთის ადგილად თქმული, გარნა არს ვენახიანი, ხილიანი, მოვალს ყოველნი მარცვალნი, თვინიერ ბრინჯ-ბანბისა, გარნა სივიწროვისა და ყლდიანობისათვის არა უგოდენი სიმრავლეთ“-ო. ვემყარებით რა ზემოთქმულს, ჩვენ დავასკვნით, რომ ვახუშტის სწორად ესმოდა მცენარეთა ვერტიკალური ზონალობის მოვლენა.

ვახუშტის შეხედულებებს მცენარეთა ვერტიკალურ-ზონალურ გავრცელებაზე საფუძვლად ქართველი ხალხის საუკუნეობრივი გამოცდილება უძევს. ვახუშტის დამსახურებას შეადგენს ხალხური დაკვირვებების განზოგადება და ვერტიკალური ზონალობის კანონის თანმიმდევრული მიყენება საქართველოს მცენარეულობის დახასიათებისადმი. ეს ყოველივე უფლებას იძლევა მივაკუთვნოთ ვახუშტი იმ მკვლევართა რიცხვს (თეო-

ფრასტესთან, ბემბოსთან, ტურნეფორსა და სხვებთან ერთად). რომლებიც გვეელინებიან ალ. ჰუმბოლდტის წინამორბედებად მცენარეთა ვერტიკალური ზონალობის კანონის ჩამოყალიბების საქმეში.

ბოტანიკურ-გეოგრაფიულ მასალასთან ერთად, თხზულებაში გვხვდება აგრეთვე შედარებით დაწვრილებითი მონაცემები ცალკეულ შესანიშნავ მცენარეებზე, უმთავრესად პრაქტიკული მიდგომით: დასავლეთ საქართველოში გავრცელებულ სოკოს სახეობაზე—ე. წ. ნიყვზე (Amanita caesarea); კეჩუთისა და ბოლოლის მთებისათვის დამახასიათებელ თეთრ ყვავილ სუმბულზე, რომლის გადარგვაც თავისი სასახლის ბაღში უშედეგოდ სცადა მეფე ვახტანგ მეექვსემ (ნ. კეცხოველის აზრით, იგულისხმება Jurinea depressa. C.A.M.); „კალია“ ბალახზე, რომელიც იზრდება მთა იაღლუჯაზე და იხმარებოდა საპნის დასამზადებლად (ნ. კეცხოველის შეხედულებით შეესაბამება ხურხუმის სახეს, ე. ი. Salsola-ს გვარის წარმომადგენელს), და სხვ.

ცხოველთა სამყაროსაც ჩვენი მეცნიერი მნიშვნელოვან ადგილს უთმობს. შესავალში (საქართველოს ზოგად დახასიათებაში) მას მოჰყავს ქვეყნის ველური ფაუნის წარმომადგენლების სიები, რომლებშიც ჩამოთვლილია ძუძუმწოვართა 19 სახე, 69 ფრინველი, 11 თევზი, 7 ქვეწარმავალი და 5 სახის მწერი. თხზულების დანარჩენ ტექსტში ზემოაღნიშნული 111 სახის ცხოველის გარდა იხსენიება კიდევ თევზთა 2 სახე, ფრინველი, ბაყაყი და წურბელა.

ძუძუმწოვართაგან „საქართველოს გეოგრაფიულ აღწერაში“ დასახელებულია: ირემი, ქურციკი ანუ ჯეირანი, ჯიხვი, შველი, არჩვი ანუ ფსიტი, გარეული თხა (безоаровый козел), ჯურდღელი, ვეფხი (უნდა იგულისხმებოდეს ჯიქი ანუ მთის ლეოპარდი), დათვი, მგელი, აფთარი, ფოცხვერი, გარეული ღორი, მელა, მაჩვი, წავი, თახვი, ზღარბი და თაგვი (უკანასკნელი შეცდომით შეტანილია ქვეწარმავალთა ანუ „მძრომთა“ სიაში); ფრინველთაგან: წერო, ყარახილა (რუს. серая цапля), გარეული ბატი, შავი ბატი, იხვი, აკაური ანუ გედი, ვარ-

ხვი, ღალღა, ლანა (водяной пастушок), ხოხობი, კაკაბი, დურაჯი, გნოლი, როჭო, შურთხი, მწყერი, ასკატა ანუ ბეღურა, ჩახრუხი, კოტი, ტყის ქათამი, გარიელი (турпан), სავათი, „ტრედი მრავალგვარი“, გვრიტი, გუგული, ოფოფი, შაშვი, ჩხართვი, შროშანი ანუ შოშია, ტარბი, კოლნბური (щегол), ბულბული, ყაზალახი (უნდა შეესაბამებოდეს кавказский щур-с), მოლაღური, ყაჯირი (სვავის სახეა), სვავი, ორბი, არწივი, შავარდენი, გავაზი, ბარი (балабан), ქორები თეთრი და წითელი, მიმინო, მარჯანი (чеглок), თვალშავი, ალალი, კირკიტა, ძერა, ბაბაყველი, ბოლობეჭედა (лунь), ჭარო (скопа), ყორანი, მახარა (галка?), შავი ყვავი, მაღრანი, ყვავი, ბუ, ზარნაშო, ჭოტი, ჭკა, ჭილყვავი, ყაყაჯაი (сизоворонка), კაჭკაჭი, ჩხიკვი, კოდალა, ოყარი (папля), ლაკლაკი (белый аист), ყარაულა (черный аист), შხერო (курочка-крошка?); თევზებიდან: ორაგული, ზუთხი, ანდაცია (стерлядь), გოჭა, ჭანარი, ლოქო, კაპოეტი, კარჩხანა, „მწერი“ (წვერა?), კალმახი, ფიჩხულა, ბოლოწითელა კობრი; ქვეწარმავლებიდან: „გველნი მებენელნი“, ღრიანკელა (მორიელი), გველხოკერა, ჯოჯო, ფსვენი, ხვლიკი, კუ, ბაყაყი („მყინვარი“); მწერებიდან: კოღო, ბუზი, ბორა, კრაზანა, ფუტკარი, დასახელებულია აგრეთვე წურბელა.

სიებში გამოტოვებულია საქართველოს ფაუნისათვის დამახასიათებელი მთელი რიგი სახეები: ძუძუმწოვართაგან გარეული კატა, კვერნა, დედოფალა, ციყვი, თხუნელა და სხვ.; ფრინველთაგან მერცხალი, ტოროლა; თევზთაგან თართი, შამაია, ციმორი, ნაფოტა და სხვ. აღსანიშნავია, რომ ვახუშტი არამართებულად ათავსებს თაგვსა და ღრიანკელს (მორიელს) „მძრომთა“ სიაში. მიუხედავად ზემოაღნიშნული ნაკლოვანებებისა, ქართველი მეცნიერის ფაუნისტური სიები არ არის მოკლებული სამეცნიერო ინტერესს, — მათში, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ფიქსირებულია საქართველოს ტერიტორიაზე ისეთი ცხოველების ბინადრობა, რომლებიც აქ ამჟამად აღარ გვხვდება. თუ გავითვალისწინებთ, რომ ვახუშტი არ იყო ნატურალისტი ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით, რომ მისი სი-

ები შედგენილ იქნა ლინეის საკლასიფიკაციო სისტემის ფართოდ გავრცელებამდე და ემყარება ხალხურ ცოდნას, ზემოაღნიშნული ხარვეზები და შეცდომები თანამედროვე მკითხველს არ უნდა მოეჩვენოს უხეშად.

თხზულების აღწერილობითი თავები შეიცავს უხვ ზოოგეოგრაფიულ მასალას, რომელიც შეეხება ცხოველთა ცალკეული სახეების გეოგრაფიულ გავრცელებას საქართველოს ფარგლებში, სხვადასხვა რაიონებისა და ადგილების ფაუნისტურ თავისებურებებს და ფაუნის ზოგიერთი ტიპიური წარმომადგენლის დახასიათებას.

ზოგიერთ შემთხვევაში ვახუშტი განსაზღვრული რაიონების ფაუნის დახასიათებისას კმაყოფილდება იმით, რომ აღნიშნავს მათ სიუხვეს ნადირით და ნადირობისათვის ხელსაყრელი პირობების არსებობას და არ ასახელებს ცხოველთა სახეებს. ასე მაგალითად, იმერეთში „ჯჯამეთს არს სანადირო მეფეთა, აღვსილი დიდ-მცირითა ნადირითა, საქებელი ფრიად“; თორის ხეობაში (მდ. გუჯარეთისწყლის აუზში) ყოფილან „ნადირნი მრავალნი“ და სხვ.

ზოგჯერ ხაზგასმულია ამა თუ იმ რაიონის ან ადგილის სიმდიდრე ორნიტოფაუნით (ფრინველებით); დასავლეთ საქართველოში, მაგალითად, „ნადირნი ყოველნი, რომელნი აღვსწერეთ (იგულისხმება შესავალში მთლიანად საქართველოსათვის მოცემული სიები, ლ. მ.), ფრიად მრავალ არიან, თვინიერ ქურციკისა და აფთრისა. ფრინველნი — წეროო, ბატი, სავათი, ლაკლაკი, კაკაბი, დურაჯი, ასკატა, სვავი, ყაჯირი არა არს აქა, და სხვანი ყოველნი მრავალნი; არამედ სირნი, ჩიტნი და ტრედნი ესეოდენ, რომელ იპყრობს კაცი ერთი წამოსაკრავის ბადით ფ ერთგზის, და სხვითა მახეებითა სირთა და ჩიტთა, და სძეს ბეგრათ გლეხთა ტ, უ და უფროსნიცა“[1]. ფრინველთა სიმრავლე აღნიშნულია სხვა რაიონებისთვისაც, როგორიცაა ოდიში (სამეგრელო), კახეთი, ჯავახეთი, ვ. წ. ვაკე (იმერეთის დაბლობი ნაწილი), ქციის ხეობა; ბაზალეთის ტბის მიდამოები.

[1] ფ—500, ტ—300, უ—400.

ხშირ შემთხვევაში ვახუშტი აღსაწერი რაიონების ცხოველთა სამყაროს მისი სახეობრივი შედგენილობის მიხედვითაც ახასიათებს. რამდენადაც საქართველოს ფაუნის სიები ავტორის მიერ შესავალშია მოცემული, ცალკეული რაიონების დახასიათებებში ვახუშტის მოჰყავს უკვე არა დეტალური სიები ცხოველთა სახეების ჩამოთვლით, არამედ მხოლოდ იმ ცხოველთა დასახელება, რომელთა არსებობა ან არყოფნა დამახასიათებელია ამ რაიონებისათვის.

როგორც მაგალითი რაიონის ზოოგეოგრაფიული დახასიათებისა, შეიძლება მოვიყვანოთ ხევის აღწერილობის სათანადო ადგილი: „არს აქა მჯიხვი მრავალი ჯოგად და არჩეი. არს ფრინველი შურთხი, გლონი და ზაფხულს მწყერი ურიცხვნი“; ქციის ხეობაში (ქვემო ქართლი) „არს ფრინველთა სიმრავლე შინაურ-გარეულთა და უფროს კაკაბთა“, ქვემო ქართლშივე, სოფელ მარნეულთან ყოფილან „აფთარნი მრავალნი“; თრიალეთის ქედზე ამართული დიდგორისა და ერიქალის მთები „ნადირიანნი არიან, და ერიქალის მთასა შინა არს მეტი სხვათა თხა“. ანალოგიური მაგალითები მრავალი შეიძლება მოვიყვანოთ.

რიგ შემთხვევებში რაიონთა ფაუნის დახასიათება ემყარება ცხოველთა იმ სახეების ჩამოთვლას, რომელთა არყოფნაც განასხვავებს მოცემულ რაიონს სხვა რაიონებისაგან. ასეთია, მაგალითად, ზემომოყვანილი დას. საქართველოს დახასიათება, აგრეთვე სამცხე-საათაბაგოსი და ა. შ.

ოსეთის დახასიათებაში ვახუშტი საყურადღებო ცნობებს გვაწვდის კავკასიონის მაღალმთიანი ზოლის ორ ენდემურ ცხოველზე—ჯიხვსა და შურთხზე. სათანადო ციტატი ზემოთ იყო მოყვანილი (იხ. ოსეთის ზოგადი დახასიათება). ციტირებულ ტექსტში ყურადღებას იპყრობს შურთხის გეოგრაფიული არეალის დახასიათება, ამ ფრინველის შედარება კაკაბთან და, რაც მთავარია, ჯიხვისა და შურთხის თავისებური სიმბიოზის აღწერა (უკანასკნელი მოვლენა მეცნიერულად ჯერ არ შემოწმებულა)[1]. ასევე საინტერესოა ჯიხვის დახასიათებაც, რომელშიც ამ

[1] ა. ჯანაშვილი სკეპტიკურად უყურებს ვახუშტის ამ ცნობას.

ცხოველის ზოოლოგიური რაობა (მისი ნათესაობა თხასთან) და გეოგრაფიული გავრცელება სავსებით სწორად არის გაგებული.

თვით ის ფაქტი, რომ ვახუშტის თავის ნაშრომში ყველა ცხოველიდან დაწვრილებით მხოლოდ ჯიხვი და შურთხი ჰყავს აღწერილი, უნდა მოწმობდეს, რომ კავკასიის ფაუნის ენდემურ წარმომადგენელთა ზოოგეოგრაფიული მნიშვნელობა ჩვენს მეცნიერს ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი.

უხვი ფაქტობრივი მასალაა მოცემული თხზულებაში იხტიოფაუნის (განსაკუთრებით მტკნარი წყლის თევზების) შესახებ. გეოგრაფიული რაიონების და ცალკეული მდინარეებისა და ტბების აღწერისას ვახუშტი ეხება მათში მობინადრე თევზებსაც და იძლევა თხზულებაში საქართველოს ტერიტორიაზე თევზთა სახეების გეოგრაფიული განაწილების სურათს. ყველაზე დეტალურად ამ მხრივ გაშუქებულია ქართლი, აგრეთვე იმერეთი საკუთრივ. ზოგიერთ შემთხვევაში მდინარეთა და ტბათა იხტიოგეოგრაფიული დახასიათება განსაზღვრება თევზების მხრივ მათი სიმდიდრის ან სიღარიბის აღნიშვნით. ასეა დახასიათებული, მაგალითად, საღამოსა და პალიასტომის ტბები, მდ. ქსანი და სხვ. მაგრამ მეტწილად იხტიოგეოგრაფიულ დახასიათებებს თან ახლავს თევზთა სახეების ჩამოთვლა. მაგალითისათვის ვეგებიძლია დავასახელოთ მდ. ბერდუჯი ანუ დებედა, რომლისთვისაც ჩამოთვლილია ორაგული, ლოქო, ჭანარი, გოჭა, კაპოტი, კალმახი; ფრონეს მდინარეთა სისტემის აღწერისას აღნიშნულია კაპოტი, ორაგული, კალმახნი და „წვრილნი თევზნი“.

თევზთა სახეებს შორის თხზულების ტექსტში ყველაზე ხშირად იხსენიება კალმახი — მთის მარდი, გამჭვირვალე და ცივი მდინარეებისა და დიდ სიმაღლეზე მდებარე ტბების მცხოვრები. გამოდის რა კალმახის ამ ეკოლოგიური თავისებურებებიდან, რომლებიც განაპირობებენ თევზის ამ სახეობის გავრცელებას საქართველოს მდინარეთა ზემო ნაწილებში, ვახუშტი ბევრ მდინარეს, მათში მობინადრე იხტიოფაუნის სახეობრივი შედგენილობის მიხედვით, ჰყოფს ორ ნაწილად: ზე-

მო წელად, რომელიც კალმახებითაა დასახლებული, და ქვე-
მო წელად, რომელშიც კალმახის ადგილს სხვა თევზები იკავე-
ბენ. მოვიყვანოთ მდინარეთა იხტიოგეოგრაფიული დაყოფის
რამდენიმე მაგალითი. იმავე მდ. ბერდუჯის შესახებ ვკითხუ-
ლობთ: „არს ესე მდინარე სარგებლიანი მუნ, სადაცა იწყებს
დინებასა ჩდილოთ კერძ, თევზთა სიმრავლითა, ხოლო სა-
ხელდობ ორაგული, ლოქო, ჭანარი, კაპოეტი და წვრილი თევ-
ზი სხვადასხვა გვარნი მრავალნი და სად აღმოსავლეთად დის,
მუნ არს კალმახთა სიმრავლე დიდთა და წვრილთა. არამედ
თევზნი ამისნი არა ეგდენ გემოიანნი, ვითარცა სხვათა მდინა-
რეთანი“. ყვირილას შესახებ ნათქვამია: „ამ ყვირილასა შინა
იპყრობის თევზნი, რომელნი დავსწერეთ (იგულისხმება დას.
საქართველოს ზოგად დახასიათებაში მოცემული თევზთა სია.
ლ. მ.), ყოველნი თვინიერ ზუთხისა, ხოლო საჩხერეს ზეით არს
კალმახთა სიმრავლე და სხვა არარაი“. ანალოგიურად არის
დახასიათებული იორიც: „ამ იორის მდინარესა შინა, უჯარმას
ზეით, არს უმეტეს კალმახი და მრავალნი, და მას ქვეით სხვა
თევზნიცა და არა ეგოდენ მრავალი, მდინარის სიმცირისათ-
ვის“. იხტიოგეოგრაფიული თვალსაზრისით დანაწილებულია
აგრეთვე მდინარეები ჭოროხი, მაშავერი, ქცია, ფრონე და
ზოგადად ოდიშის, საჩხეიძეოს, არგვეთისა და გაღმა მხრის
მდინარეთა ქსელი.

ისეთ მდინარეებთან ერთად, რომლებსაც მხოლოდ ზემო
წელი აქვთ კალმახებით დასახლებული, თხზულებაში იხსენი-
ება სხვა მდინარეებიც, რომლებიც მთელ თავის სიგრძეზე იხ-
ტიოფაუნის ამ წარმომადგენლის გაბატონებული მნიშვნელო-
ბით ხასიათდებიან,—ასეთია მდ. მდ. ძირულა, თეძამი, ტანა,
აბაშა, თერგი (საქართველოს ფარგლებში), აგრეთვე რაჭის,
მთიულეთის, ოსეთისა და ოკრიბის მდინარეები.

ვახუშტის იხტიოგეოგრაფიული მონაცემების საფუძველზე
ადვილი შესადგენია საქართველოს ტერიტორიაზე თევზთა სა-
ხეების გეოგრაფიული გავრცელების სქემა კალმახისა და და-
ნარჩენი თევზების არეალების ურთიერთგამიჯვნით. ზემოხსე-
ნებული მონაცემები ქართველი მეცნიერის მიერ ჩვენი ხალ-

ზის ცოდნიდან არის ნასესხები და შემდეგ მეცნიერულად განზოგადებული.

ყურადღების ღირსია აგრეთვე ვახუშტის შეხედულებანი საქართველოში მობინადრე კალმახთა შორის არსებულ სისტემატიკურ სხვაობებზე. თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში კავკასიის კალმახთა სისტემატიკური დაყოფის საკითხს ეხებიან ფ. კავრაისკი, ლ. ბერგი, გ. ბარაჩი და სხვა მკვლევრები. ყველა ავტორი აღიარებს განსაზღვრული სხვაობების არსებობას კავკასიის მდინარეებსა და ტბებში მცხოვრებ ამ სახეობის წარმომადგენელთა შორის, მაგრამ თუ ზოგი მკვლევარი შესაძლებლად არ სთვლის კალმახთა ქვესახეების გამოყოფას, სხვები განასხვავებენ სულ ცოტა 2—3 ამგვარ ქვესახეს. „საქართველოს გეოგრაფიული აღწერის“ ზოგიერთი ადგილი მოწმობს, რომ მისი ავტორი იცნობდა საქართველოს კალმახთა შორის არსებულ განსხვავებებს. უწინარეს ყოვლისა, ვახუშტის მიერ არა ერთგზის ხმარებული გამოთქმა „კალმახნი დიდნი და წვრილნი“ (იხ., მაგალითად, ზემომოყვანილი ციტატი ბერდუჯის აღწერილობიდან, სამცხე-საათაბაგოს ტბების დახასიათება და სხვ.) არ უნდა გულისხმობდეს თევზთა სიდიდის იმ განსხვავებებს, რომლებიც მათს ასაკთანაა დაკავშირებული, არამედ კალმახის სულ ცოტა ორი სახესხვაობის არსებობას მაინც. ამასთან ერთად, თხზულებაში აღწერილია კალმახის განსაკუთრებული ადგილობრივი ფორმები, რომლებიც ბინადრობენ შეზღუდულ არეებში და განირჩევიან ზოგიერთი თავისებურებით. ასე მაგალითად, მდ. ღრამულას (ჯვრის მარცხენა შემდინარის) შესახებ ვკითხულობთ: „ამ წყალში ზის კალმახი: რა მოხარში, მგზავსი არს ზაფრანისა“. ლიახვის მცირე მარჯვენა შენაკად ვარიან-ახალდაბის ფშანში „იპყრობის კალმახი ყვითელი და ფრიად კარგი“. როგორც ჩანს, კალმახის ადგილობრივ ფორმებზეა ლაპარაკი აგრეთვე ზურტაკეტის აღწერილობაშიც, სადაც ნათქვამია: დაბა ყარაბულახს „ამიერ და იმერ უდის წყაროსაგან მდინარენი სავსე კალმახითა, არამედ სამხრეთის კალმახი არს შავი და ჩდილოსი

თეთრი, და უკეთუ ჩასვა ჩრდილოსი სამხრით, გაშავდების და სამხრეთის ჩრდილოთ ჩასმული განსპეტაკდების.“ სამწუხაროდ, ვახუშტის ყველა ეს ცნობა მდინარის კალმახთა ადგილობრივი თავისებურებების შესახებ მეცნიერულად შეუმოწმებელი რჩება.

გარდა კალმახისა, ყურადღება მიქცეულია სხვა სახის თევზებზეც და პირველ რიგში ისეთ სახეებზე, რომლებიც თავისი გემოიანობის მეოხებით დაფასებულია ადამიანის მიერ. ასეთებია ორაგული, ზუთხი და სხვ.

ზუთხი იხსენიება მტკვრისა და რიონის დახასიათებებში, სადაც აღნიშნულია მისი შესვლა ზღვებიდან მდინარეებში. სამცხე-საათაბაგოს აღწერისას ხაზგასმულია საქართველოს ამ ნაწილის წყლებში ზუთხის არყოფნა.

დასავლეთ საქართველოს აღწერილობაში სამჯერ არის ნახსენები ზღვის თევზი „ანდაკია“, რომელსაც იშერდნენ ოდიშის ანუ სამეგრელოს ნაპირებთან. საყურადღებოა, რომ ამ თევზს „Angiachia-“ს სახელწოდებით აღნიშნავს იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტიც, რომელმაც XVII საუკუნეში შეადგინა სამეგრელოს აღწერილობა. კ. ჰანის აზრით, ლამბერტი (და აგრეთვე ვახუშტიც) უნდა გულისხმობდნენ ზუთხისნაირთა წარმომადგენელს — თართს (стерлядь).

ვახუშტის ისტიოგეოგრაფიული მონაცემები ძირითადად ეთანხმებიან თანამედროვე შეხედულებებს საქართველოს ფარგლებში მტკნარი წყლის თევზთა სახეების გავრცელებაზე. ერთ-ერთ გამონაკლისს შეადგენს ჩვენი მეცნიერის ცნობა იმის შესახებ, რომ ჯავახეთის სამხრეთ ნაწილში მდებარე კარწახის (ხოზაფინის) ტბა „არს... დიდი და აღვსილი თევზითა, უმეტეს კალმახითა, ფრიად გემოიანითა“. ცნობილია, რომ კარწახის ტბაში, რომელიც განირჩევა ჯავახეთის დანარჩენი ტბებისაგან გაუდინარობით და წყლის მარილიანობით, თევზი არ მოიპოვება. კალმახს, როგორც სავსებით მტკნარი და სუფთა წყლის მოყვარულ თევზს, მომლაშო კარწახის ტბაში არსებობა არ შეუძლია. მართალია, განსახილველ ტბას ახასიათებს დონისა და ქიმიური შედგენილობის მკვეთრი ცვალებადობა, ამიტომ

ჭამორიცხული არ არის ის შესაძლებლობა, რომ თევზი აქ ახლო-ახლო წარსულში გადაშენდა იმ ცვლილებათა (დონის დაწევის, მტკვრისაკენ წყლის გადენის შეწყვეტისა და მარილების დაგროვების) შედეგად, რომელსაც ამ უკანასკნელი 1—2 საუკუნის განმავლობაში უნდა ჰქონოდათ ადგილი. ასეთი შესაძლებლობის დაშვებას თითქოს უნდა ეწინააღმდეგებოდეს შემდეგი გარემოება. სამხრეთ საქართველოს თურქი დამპყრობლების მიერ 1595 წელს შედგენილ „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ სხვადასხვაგვარ გადასახადებს წორის, რომლებსაც თურქები ღებულობდნენ ადგილობრივი მოსახლეობისაგან, იხსენიება თევზის გადასახადიც. ამ უკანასკნელის გადამხდელად „დავთარში“ მიჩნეულია იმ სოფლების მოსახლეობა, რომლებიც მდებარეობენ ჩალდირის, ფარავნისა და საღამოს ტბათა ნაპირებზე; კარწახის ტბის ირგვლივ მდებარე სოფლები, რომლებიც ოტომანის იმპერიის XVI ს. დასასრულში მიღებული დაყოფით შეადგენდნენ ჩალდირის „ლივას“ ყანარბილის რაიონს, „დავთრის“ თანახმად თევზის გადასახადით არ იყვნენ დაბეგრილნი, ამიტომაც ცხადია, რომ ეს ტბა XVI ს. ბოლოში არ შეიძლება თევზით მდიდარი ყოფილიყო. ამგვარად, ვახუშტის ცნობა კარწახის ტბის თევზიანობაზე არ დასტურდება უფრო ადრინდელი მონაცემებით. ამ წინააღმდეგობის აცილება შესაძლებელია, თუკი დავუშვებთ, რომ 1595 და 1745 წწ. შორის, ე. წ. „მცირე ყინვარულ ეპოქასთან“ (დროებითი აცივების პერიოდთან) დაკავშირებით, რასაც ადგილი ჰქონდა XVII — XVIII საუკუნეებში და XIX ს. პირველ ნახევარში, კარწახის ტბის დონე ამაღლდა, წყალმა იწყო გადენა ტბიდან მტკვრისაკენ და ტბაში დამკვიდრდა თევზი. ეს სტადია უნდა გაგრძელებულიყო XIX საუკუნის შუა წლებამდე, იმ დრომდე, როდესაც დაიწყო ყინვარების საერთო უკუდახევა კავკასიონზე და იმავე დროს კასპიის ზღვისა და ტბების დონეთა დაწევა. შეიძლება ვახუშტი არ ცდებოდა, როდესაც კარწახის ტბას კალმახით მდიდარ ტბად სთვლიდა.

„საქართველოს გეოგრაფიული აღწერის“ ფიზიკურ-გეოგრაფიული მონაცემების ზემომოყვანილი ანალიზი საშუალებას იძლევა მეცნიერულად შეფასებულ იქნეს ვახუშტის შე-

ზედულებანი ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი კომპლექსის ცალკეულ კომპონენტებზე. არანაკლები ინტერესი შეიძლება ჰქონდეს ქართველი მეცნიერის თხზულების შესწავლას სხვა მიდგომით, სახელდობრ, თხზულების განხილვას მასში აღწერილი ლანდშაფტის ტიპების თვალსაზრისით. ამგვარი მიდგომა მით უფრო გამართლებულია, რომ ვახუშტის ნაშრომში მოცემულია საქართველოს სხვადასხვა ნაწილების ლაკონიური, მაგრამ ფრიად ნათელი, სხარტი და არსებითად სწორი კომპლექსური დახასიათებანი. თუმცა XVII საუკუნის პირველ ნახევარში ლანდშაფტის ცნება ჯერ კიდევ არ იყო მეცნიერულად ჩამოყალიბებული (ეს ცნება ჩამოყალიბდა, როგორც ცნობილია, XIX ს. ბოლოში, დიდი რუსი მეცნიერის ვ. დოკუჩაევის, გერმანელი გეოგრაფის პასარგესა და სხვათა მეოხებით), ვახუშტის ნაშრომი შეიძლება ამ თვალსაზრისითაც იქნეს განხილული.

ვახუშტის მიერ აღწერილი ბუნებრივი კომპლექსები შეიძლება დაჯგუფებულ იქნეს შემდეგ ძირითად ტიპებად:

1. აღმოსავლეთ საქართველოს ბარის სტეპების ანუ ველების ლანდშაფტი აღწერილია ქართლისა და კახეთისადმი მიძღვნილ თავებში. ამ ტიპის ყველაზე სრულ დახასიათებას ვხვდებით „იორის ქვეყანათა“ ე.ი. ჰერეთის ანუ კახეთის ზეგნის აღწერილობაში. გომბორის ქედის დასავლეთით მდებარე ეს რაიონი დახასიათებულია, როგორც „საგარეჯოს ქვეით უტყეო, მცირეთაგან კიდე, ჩალიან-ბალახიანი, ლერწმოვანი, უმდინარო, თვინიერ იორის მდინარისა, და მცირე წყარონი. ხოლო ჰავითა არიან მშვენნი, ზამთარ თბილი, ზაფხულ ცხელი და არა ეგდენ, მცირე-თოვლიანი, უყინულო, უყივნო, ვინათგან ვეროდეს განჰყინავს მდინარეთა, და არცა დაადგრების თოვლი დღე სამ, და უქარო. არამედ ალაზნისა და იორის კიდენი და მისი ქვემოთნი ფრიად ხამშიანნი, ცხელნი და გაუძლისნი.“ გარეჯის მთა, რომელიც ამავე რაიონის შემადგენელი ნაწილია, ვახუშტის თქმით „არს უტყეო, თვინიერ ძეძვთა და თუთუბოთა, და ეგეთთა სხვათა მრავალთა. არა სდის მდინარე და იშვიათ წყარო-ტბანი, არამედ თუ სადმე არს, მლაშენი და მწარენი. ვარნა არს ბალახიანი ზამთარც, და გამოიზრდებიან სიმ-

რავლე არვეთა, მროწლეთა, ჯოგთა, რემათა იმიერ და ამიერ გარნა არს ზაფხულ ცხელი და გაუძლები". ამრიგად, ვახუშტის აღნიშნული აქვს აღმოსავლეთ საქართველოს ბარში წარმოდგენილი მშრალი სტეპების დამახასიათებელი თვისებები: თბილი ჰავა, უტყეობა, მდინარეთა ქსელის სიიშვიათე, მარილიანი წყაროებისა და ტბების გავრცელება. ყარაიას სტეპისა და სოფ. მარნეულის მიდამოთა აღწერისას ქართველი მეცნიერი იხსენიებს აღმოსავლეთ ამიერკავკასიის მშრალი სტეპებისა და ნახევრადუდაბნოებისათვის ტიპიურ ცხოველებსაც— ქურციკს ანუ ჯეირანს და აფთარს.

გარეჯის მთის მსგავსი ლანდშაფტი აღწერილია იაღლუჯას მაღლობისთვისაც. მშრალი სტეპების ბუნებრივი კომპლექსის უფრო მოკლე დახასიათებანი მოცემულია ნასპარსევის, აღაიანის, აშურიანის, კვერნაქის, ყარაიას, დიღმის, ხუნანის (ბორჩალოს) და სხვა რაიონების აღწერისას.

2. აღმოსავლეთ საქართველოს ჭალების (თანამედროვე ტერმინოლოგიით „ტუგაის ტყეების") ლანდშაფტი აღწერილია ქართლ-კახეთის აღწერილობის მთელ რიგ ადგილებში. სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის განმარტებით სიტყვა „ჭალა" აღნიშნავს „წყლის პირს ნაყოფიერს". ვახუშტი ამ სახელწოდებით გულისხმობს მდინარეთა რიყეებზე გავრცელებულ ტყეებს, რომლებიც აღმოსავლეთ ამიერკავკასიის, თურანისა და, საერთოდ, მშრალი ქვეყნების დამახასიათებელ ლანდშაფტურ ტიპს წარმოადგენს. ქართველი მეცნიერი ამ ლანდშაფტისათვის არ იძლევა ბუნებრივი პირობების ისეთ სრულ დახასიათებას, როგორსაც ვხვდებით თხზულებაში სტეპებისათვის და ეს გასაგებიცაა, რამდენადაც ჭალა აზონალური ლანდშაფტური ტიპია, დაკავშირებულია ადგილობრივ ჰიდროგეოლოგიურ პირობებთან (მიწისქვეშა წყლის სიახლოვესთან რიყეებში) და კლიმატოლოგიურად თითქმის არ განსხვავდება ირგვლივ მდებარე ველებისაგან. რამდენადაც თვით სიტყვა „ჭალა" გულისხმობს მდინარეთა გასწვრივ განვითარებულ ტყე-ბუჩქნარს, ვახუშტი აუცილებლად არ თვლის ტუგაების მცენარეულობის სპეციალურად დახასიათებას; მას და-

სახელდებული აქვს მხოლოდ მისი თანმხლებელი მცენარეული ტიპები—ეკლიანი ბუჩქნარი ჯღარდლა (სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონით შეესაბამება „მადალღრმს ანუ ყვავის-ვაშლას“) და ლერწმიანები. ტუგაებისათვის დამახასიათებელი ცხოველებიდან მოხსენიებულია (მდ. მდ. არაგვის, ნარეკვავის, მტკვრისა და იორის ჭალების აღწერისას) **ხოხობი და გარეული ღორი**, აგრეთვე (ყარაიის ჭალების აღწერისას) ირემი, შველი, დათვი, მგელი და „წვრილი ნადირი“.

3. დასავლეთ საქართველოს „ეწერების“ (ჭაობის ტყეების) ლანდშაფტი აღწერილია იმერეთის დაბლობი ნაწილის (საჩხეიძეოს, სალომინაოს, ე. წ. ვაკის), ოდიშისა და აფხაზეთის ტერიტორიისათვის. „ეწერის“ სახელწოდებით ვახუშტი გულისხმობდა, ყველა ნიშნის მიხედვით, თხმელნარებს, რომლითაც დაფარული იყო კოლხეთის დაბლობის დაჭაობებული ნაწილი. ოდიშის ანუ სამეგრელოს აღწერილობაში ჩვენ ვპოულობთ ლანდშაფტის ამ ტიპის შემდეგ დახასიათებას: „ვაკეთა (არიან) აყრილნი ეწერნი, ბარდოვან-ტალახ-ჭინჭრობიანი და ფრიად წვიმიანი. ამისგან არს ფრიადი ნოტიობა, გარნა უვნებელი“. მოყვანილ ციტატში ქართველი მკვლევრის მიერ მოხაზულია კოლხეთის ჭაობური ტყეების ლანდშაფტის ძირითადი თავისებურებანი: ვაკისებური რელიეფი, ჭაობიანობა, ატმოსფერული ნალექების სიუხვე, მაღალი ხემცენარეულობის არსებობა ხშირი ქვეტყითურთ. რაც შეეხება ტემპერატურულ რეჟიმს, ეს უკანასკნელი ავტორს დახასიათებული აქვს ოდიშის დაბლობი ნაწილის ზოგად დახასიათებაში, სადაც ნათქვამია: „ზაფხულს ზღვის პირნი და ვაკენი (ოდიშისანი) ცხელი და არა გაუძლისნი... ზამთარ თბილი, არამედ ზაფხულცა სველი, და ნამიანი, და ნოტიო, გარნა უწყინარ, უვნო, უჭარო, უყინვო, დიდთოვლიანი“.

4. მთის ტყეთა ლანდშაფტი, რომელსაც საქართველოს ტერიტორიის უმეტესი ნაწილი უკავია, თხზულებაში ხშირად იხსენიება, მაგრამ იხსენიება ისეთი სრული დახასიათების გარეშე, როგორსაც ჩვენ „საქართველოს გეოგრაფიულ აღწერაში“ ლანდშაფტის სხვა ტიპებისათვის ვპოულობთ. ეს გარემო-

ება აიხსნება, როგორც ჩანს, იმით, რომ დიდი ჰორიზონტალური და ვერტიკალური გავრცელების მქონე ტყიანი ზონა განირჩევა თავისი ბუნებრივი პირობების (ჰავისა და სხვ.) მრავალფეროვნებით, რის გამოც მისი მოკლედ დახასიათება ძნელი იყო. ამას გარდა მთის ტყეთა ლანდშაფტს, რომელსაც კლიმატური თვისებების მხრივ შუალედური ადგილი უკავია საქართველოს სხვა ლანდშაფტებს შორის (მაგალითად, სტეპებს და მაღის მდელოთა შორის), არ გააჩნია ტემპერატურული რეჟიმისა და სხვა მაჩვენებლების ისეთი უკიდურესი მნიშვნელობანი, რომლებიც ვახუშტის ეპოქაში — ზუსტი რაოდენობრივი შეფასების შეუძლებლობის პირობებში — გარკვეულად შეეძლებოდა ყოფილიყო ჩამოყალიბებული. მთიან-ტყიანი რაიონების აღწერილობაში გვხვდება ცალკეული ცნობები მათს ჰიდროლოგიურ, კლიმატურ, გეომორფოლოგიურ, გეობოტანიკურსა და ფაუნისტურ თავისებურებებზე, მაგრამ ეს ცნობები არსად განზოგადებულად არ არის მოცემული.

5. მთის მდელოთა და მთის სტეპების ლანდშაფტს ვახუშტი აღწერს მთელ რიგ შემთხვევებში, ერთი მხრივ, ქედების თხემებისა და, მეორე მხრივ, დიდ სიმაღლეზე მდებარე ვაკეებისათვის, როგორიცაა ჯავახეთი, ტაშირი და ა. შ. ამ ტიპის ყველაზე სრულ დახასიათებას ვპოულობთ ბამბაკ-ტაშირის, თრიალეთის, ჯავახეთის, აგრეთვე ფერსათისა და რაჭის ქედების აღწერილობაში. ამ ლანდშაფტისათვის დამახასიათებელია „ზამთარი ცივი და თოვლიანი და ყინვიანი“, ზაფხულობით კი ეს ადგილები არს „ფრიად შვენიერი, ბალახოვანი, ყვავილოვანი, წყაროიანი...“. მთელი რიგი მთიან-მდელოიანი რაიონების (მაგალითად, მდ. ბერდუჯის ზემო წელის ხეობის, ტაშირის, ირჯანის მთების, რაჭისა და თორთომის ქედებისა და სხვ.) აღწერილობებში აღნიშნულია მათი წყალუხვობა, წყაროების სიმრავლე. მცენარეულობის დახასიათებისას ავტორი ხშირად იხსენიებს შამბს (მაღალ ბალახს) და ყვავილთა მრავალფეროვნებას. ფაუნის ტიპიური წარმომადგენლებიდან დასახელებულია არჩვი ანუ ფსიტი, ჯიხვი, შველი, ირემი, დათვი, შურთხი, ზნოლი, კლდის თხა. ამრიგად, ქართველმა მეცნიერმა შენიშნა

და აღწერა მთის მდელო-სტეპთა ლანდშაფტის ძირითადი თავისებურებანი — გრილი ჰავა, მდგრადი თოვლსაბურველი, ჰიდროგრაფიული ქსელის საკმაო სიხშირე, უხვი ბალახეული მცენარეულობა მკვეთრად შეფერადებული ყვავილებით.

6. მარადიული თოვლისა და ყინვარების ლანდშაფტის არსებობა ვახუშტის აღნიშნული აქვს მთელი რიგი ქედების დახასიათებისას როგორც კავკასიონის, ისევე ანტიკავკასიონის ფარგლებში. ყველაზე სრულად ლანდშაფტის ეს ტიპი მოხაზულია შესავალში (იხ. ზემოთ ვახუშტის შეხედულებანი კავკასიონის ყინვარებზე).

„საქართველოს გეოგრაფიული აღწერის“ ფიზიკურ-გეოგრაფიული მასალის განხილვის შემდეგ საჭიროა გადავიდეთ იმავე თხზულების ანთროპოგეოგრაფიულ კომპონენტზე. ეს უკანასკნელი შედგება მრავალგვარი აღწერილობითი მასალისაგან, რომელიც შეეხება მეურნეობის სხვადასხვა დარგებს (მიწათმოქმედებას, რწყვას, მეცხოველეობას და, კერძოდ, მეფუტკრეობასა და მებაღეობას, სამთამადნო საქმეს, მეთევზეობა-ნადირობას, შინამრეწველობას და ა. შ.), დასახლებულ პუნქტებს, გზებს, პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ დაყოფას, საისტორიო გეოგრაფიის საკითხებს, მატერიალური კულტურის ძეგლებს (საერო, სამხედრო და საეკლესიო ნაგებობებს), ტოპონიმიკას, მოსახლეობას (ეთნოლოგიური შედგენილობა, ენა, სარწმუნოება, ზნე-ჩვეულებანი, ჩაცმულობა, კულტურა, მორალი და სხვ.). ამ მასალას, როგორც საქართველოს მაშინდელი მოსახლეობის მდგომარეობის მაჩვენებელს, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ისტორიოგრაფიული მეცნიერებისათვის. აკად. ივანე ჯავახიშვილის თქმით „ვახუშტის თხზულება ყოველი მკვლევარისათვის, რა მხრივაც იგი საქართველოს წარსულისა და ნაწილობრივ აწმყოს გამოკვლევას არ აწარმოებდეს, ყოველთვის აუცილებლად საჭირო წყარო იქნება“.[1] განსახილველი მასალა საყურადღებოა იმ მხრივაც, რომ მრავალრიცხოვან უცხოელ ავტორთა მიერ მოცემულ აღწერილო-

[1] საქ. ეკონ. ისტ., ტ. I, გვ. 113.

ბებთან შედარებით ვახუშტის ანტროპოგეოგრაფიული ცნობები უფრო მეტად ემყარება ობიექტის ღრმა ცოდნას და ამიტომაც განირჩევიან მათგან მეტი დეტალურობით, სიზუსტითა და სიმართლით.

განვიხილოთ ვახუშტის შეხედულებანი საქართველოსა და მასთან მოსაზღვრე მხარეების მოსახლეობაზე, მის მეურნეობასა და კულტურაზე.

სოფლის მეურნეობის შესახებ აღწერილობითი მასალის მნიშვნელოვანი ნაწილი შეეხება მიწათმოქმედებას. საქართველოში გავრცელებული კულტურული მცენარეებიდან ვახუშტის მოხსენიებული აქვს 74 სახე. მათგან ყველაზე ხშირად მეორდება თხზულების ტექსტში ხორბლის, ქრთილის (ქერის), შვრიის, სელის, კანაფის, ბრინჯის, ბამბის, ნარინჯის (померанец), თურინჯის (пампельммус), ლიმონის, ზეთისხილის, ბროწეულის, ყურძენისა და ლეღვის ხსენება. კულტურულ მცენარეთა დანარჩენი სახეები არის დასახელებული ან მხოლოდ 2—3 ალაგას, ან მარტოოდენ შესავლის სიაში (უკანასკნელ ჯგუფს ეკუთვნიან, მაგალითად, ყრდელი, ლახანა, ქინძიჯორა, სუნბული და სხვ.). შესავლის სიებში კულტურული მცენარეები დაყოფილია რამდენიმე ჯგუფად: ა) ხილნი წვალკოტთა, ბ) სავარდეთა ყვავილნი, გ) მტილოვანნი (ბოსტნეული).

როგორც უკვე იყო აღნიშნული, „საქართველოს გეოგრაფიულ აღწერაში“ კულტურული მცენარეები მიჩნეულია ადგილთა ნაყოფიერების გამომხატველ ერთ-ერთ ელემენტად და განხილულია ბუნებრივი ლანდშაფტის კომპონენტებთან ერთად. განსხვავებს რა ადგილთა ნაყოფიერების 4 ძირითად ტიპს, რომელთაგან თითოეული ხასიათდება კულტურული მცენარეულობის განსაზღვრული შედგენილობით (იხ. ვახუშტის შეხედულებანი საქართველოს მცენარეულობის ვერტიკალურ ზონალობაზე ზემოთ, ამავე თავში), ვახუშტი თავის თხზულებაში იძლევა სამიწათმოქმედო მეურნეობის საქართველოს ტერიტორიაზე განლაგების სურათს. უკანასკნელი საფუძვლიანად იქნა გარჩეული ივანე ჯავახიშვილის მიერ „საქართველოს ეკონომიური ისტორიის“ პირველ ტომში, რო-

მელსაც დართული აქვს ძირითადად ვახუშტის შეხედულებებზე დამყარებული „საქართველოს ბოტანიკურ-აგრონომიული არეების რუკა“, ამიტომ ჩვენ აქ აღარ შევუდგებით ნესაბამისი მასალის გარჩევას.

ვახუშტის ცნობები მიწათმოქმედების გეოგრაფიის შესაწავ XVIII ს. პირველი ნახევრის დროინდელ საქართველოში საყურადღებოა აგრეთვე ზოგიერთი კულტურული მცენარის მაშინდელი გავრცელების დახასიათებითაც, რაც საშუალებას იძლევა დადგენილ იქნეს ჩვენს ქვეყანაში მიწათმოქმედების ისტორიის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ფაქტები. ასეთია, მაგალითად, ცნობები ღომის, ბამბის, ბრინჯისა და თამბაქოს შესახებ, აგრეთვე მეღვინეობაზე.

თხზულების იმ ნაწილში, რომელიც ქართლს შეეხება, ბევრგან იხსენიება სარწყავი არხები—უწყლო რაიონებში მიწათმოქმედების ეს აუცილებელი წინაპირობა. ჩამოთვლილია, კერძოდ, ის არხები, რომლებიც საზრდოობდნენ მდ. მდ. ბერდუჯიდან (დებედადან), ქციიდან (ხრამიდან), ნარეკვავიდან, მეჯვდიდან, პატარა ლიახვიდან, შოლადან, ქსნიდან, ძამიდან, მტკვრიდან, დიდი ლიახვიდან. ქართლის გარეშე აღნიშნულია ორიდან გაყვანილი არხები კახეთში. ყველა არხისათვის მოცემულია მიმართულება, მდებარეობა და სარწყავი ფართობის სიერცობრივი დახასიათება. ვახუშტი იხსენიებს აგრეთვე გაუქმებულ ძველ არხებსა და ურწყავ ადგილებს.

მ ე ც ხ ო ვ ე ლ ე ო ბ ი ს შესახებაც „საქართველოს გეოგრაფიულ აღწერაში“ უხვ მასალას ვპოულობთ. თხზულების შესავალში ჩამოთვლილია საქართველოსათვის დამახასიათებელი შინაური ცხოველების 16 სახე, რომლებიც, ისევე როგორც კულტურული მცენარეები, განხილულია ბუნებრივ პირობებთან ერთად. ვახუშტის ცნობები მეცხოველეობის შესახებ შეიძლება დაყოფილ იქნეს შემდეგნაირად:

ა) ცნობები საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში შინაური პირუტყვის შეფარდებითი რაოდენობის შესახებ; ბ) საქართველოს სხვადასხვა რაიონებისათვის დამახასიათებელი შინა-

ური პირუტყვის სახეები და გ) მეცხოველეობის პირობების დახასიათება.

შინაური პირუტყვის რაოდენობის მიხედვით ვახუშტი განასხვავებს მდიდარ რაიონებს, რომლებშიც „არს პირუტყვთა სიმრავლე“, და უფრო ღარიბ რაიონებს, სადაც შინაური ცხოველები „არა ეგოდენ მრავლად“ ან „მცირედ“ არიან. ქართლის სამეფოში შინაური პირუტყვით განსაკუთრებით მდიდარნი ყოფილან შემდეგი რაიონები:

1. ქვემო ქართლში—ბამბაკი, ბერდუჯის ხეობა, ტაშირი, დბანის ხევი (მდ. მაშავერის აუზი), აბოცი ანუ ყაიყული, სომხითი, თრიალეთი, წყალთაშუა (მდ. ქციას ანუ ხრამის ქვემო წელზე მდებარე ადგილები), ყარაიას ველი; 2. ზემო ქართლში: მუხრანი, მდ. მდ. რეხულასა და ლიახვს შორის მდებარე საამილახოროს ვაკე, მეოთხე სასპასპეტო, ე. ი. მტკვრის მარჯვენა სანაპირო დამჩხერალოდან თბილისამდე. ზოგადად ქვემო ქართლში უფრო ბევრი ჰყოლიათ პირუტყვი, ვიდრე ზემო ქართლში. აღსანიშნავია, რომ ვახუშტის შინაური პირუტყვის რაოდენობის მხრივ ღარიბ რაიონებად აქვს აღწერილი ზემო ქართლის ჩრდილო მაღალმთიანი ნაწილები (ჟამური ანუ ქსნის სათავეები, მთიულეთი და ხევი), რომლებშიც ამჟამად, პირიქით, მეცხოველეობა სახალხო მეურნეობის წამყვან დარგად ითვლება. საფიქრებელია, რომ შინაური პირუტყვის სიმცირე ხევ-მთიულეთში XVIII ს. დასაწყისში გამოწვეული იყო ამ რაიონების მოსახლეობის მიერ ბარში მდებარე საზამთრო საძოვრების გამოყენების შეუძლებლობით, რაც დაკავშირებული იყო მაშინდელ პოლიტიკურ ვითარებასთან.

ანალოგიურ მდგომარეობას წარმოგვიდგენს ჩვენი გეოგრაფი კახეთის სამეფოში. მთლიანად აღებული კახეთი ვახუშტის პირუტყვით მდიდარ ქვეყანად აქვს დახასიათებული. მეცხოველეობის მდიდარი რაიონები კახეთში ყოფილა: ელისენი (საინგილო), პანკისის ხეობა, შიგნიკახეთი, გომბორის ქედის კალთები მანავიდან ქიზიყამდე. ამავე დროს კახეთის სამეფოს მაღალმთიან ჩრდილო რაიონებში, როგორიცაა თუშეთი და დიდოეთი, სხვაგვარი მდგომარეობა ყოფილა. ვახუშტის ეს ორივე რაიონი მათი ნაყოფიერების მიხედვით აღიარებულ

აქვს ოსეთის სრულ ანალოგიებად, ხოლო ოსეთი, მისივე დახასიათებით, მაშინ შინაური პირუტყვით ღარიბი ყოფილა და ამგვარად ჩვენს გეოგრაფს დიდოეთი და თუშეთი მეცხოველეობის განვითარების მხრივ ჩამორჩენილ რაიონებად აქვს წარმოდგენილი. მხოლოდ ნაწილი თუშებისა, რომლებიც თუშეთის სამხრეთ ნაწილში, ე. ი. წოვა-გომეწარ-ჩაღმართის ხეობებში ცხოვრობდნენ, „ინახავდენ ცხოვართა სიმრავლესა“ (ცნობილია, რომ ლევან კახთა მეფის მიერ XVI საუკუნიდან თუშთა ამ ნაწილს ებოძა ალვანის საზამთრო საძოვრებით სარგებლობის უფლება).

კავკასიონის მთიანეთის ჩრდილო ფერდობი (ვახუშტის „ოვსეთი“ ანუ „კავკასიათა შინანი“) ქართველ მეცნიერს აღწერილი აქვს, როგორც მეცხოველეობის სუსტი განვითარების არე. უნდა ვიფიქროთ, რომ ამის მიზეზიც საზამთრო საძოვრების უქონლობა იქნებოდა.

პირიქით, სამცხე-საათაბაგო, კერძოდ კი სამცხე და ჯავახეთი, დახასიათებულია შინაური პირუტყვით მდიდარ მხარეებად. განსაკუთრებით განვითარებული ყოფილა მეცხოველეობა ჯავახეთში, სადაც ჰყოლიათ „ცხოვარნი, მროწლენი და ჯოგნი მრავალნი“.

რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს („ეგრისის ქვეყანას ანუ აფხაზეთს ანუ იმერეთს“), მის ზოგად დახასიათებაში ვახუშტი აღნიშნავს, აქ „პირუტყვნი, თვინიერ აქლემისა, არიან ყოველნი, და არა ეგდენ მრავლად, ვითარცა სხვათა საქართველოთა შინა-ო“. ამრიგად, ქართლ-კახეთსა და სამცხე-საათაბაგოსთან შედარებით, დასავლეთ საქართველოში შინაური პირუტყვის რაოდენობა ნაკლები ყოფილა. აქ, ისევე როგორც ქართლ-კახეთში, მეცხოველეობა ყველა რაიონში როდი ყოფილა თანაბრად განვითარებული — თუ ბარის რაიონებში (მაგალითად, საჩხეიძოში, ოდიშში, აფხაზეთში, გურიაში) პირუტყვი ბლომად ჰყოლიათ, კავკასიონის ფერდობზე მდებარე მაღალმთიან რაიონებში (რაჭა-ლეჩხუმში, ალანსა[1] და სვანეთში), პირიქით, ამ მხრივ მოსახლეობა ღარიბი ყოფილა.

[1] ალანი—მდ. კოდორის აუზი (წებელდა).

თუ შევაჯამებთ ვახუშტის მონაცემებს საქართველოსა და ჩრდილო კავკასიის „პირუტყვიანობის“ შესახებ, თვალწინ წარმოგვიდგება შემდეგი სურათი: XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში საქართველოს ბარის რაიონებსა (დაწყებული გურია-ოდიშ-აფხაზეთიდან და გათავებული ელისენით, ე. ი. საინგილოთი) და ანტიკავკასიონის მთიანეთში (აბოც-ტაშირში, თრიალეთ-ჯავახეთსა და სხვ.) მეცხოველეობა იმდროინდელი პირობების მიხედვით კარგად ყოფილა განვითარებული და აქაურ მოსახლეობას შინაური პირუტყვი საკმაოდ დიდი რაოდენობით ჰყოლია; ამავე დროს კავკასიონის მაღალმთიან რაიონებში, რომლებიც მაშინდელი პოლიტიკური ვითარების გამო მოწყვეტილნი იყვნენ საზამთრო საძოვრებისაგან (ჩრდილო კავკასიისა და აღმოსავლეთ ამიერკავკასიის სტეპებისა და ნახევრადუდაბნოებისაგან), პირიქით, პირუტყვის რაოდენობა მცირე ყოფილა.

მეცხოველეობის ეს მდგომარეობა, რომელიც აღბეჭდილია „საქართველოს გეოგრაფიულ აღწერაში“, საგრძნობლად განსხვავდება სახალხო მეურნეობის ამ დარგის თანამედროვე გეოგრაფიული განლაგებისაგან. კერძოდ, კავკასიონის მაღალმთიან რაიონებში, როგორიცაა, მაგალითად, ხევი, მთიულეთი, თუშეთი, ოსეთი და სხვ., მეცხოველეობა ამჟამად გაცილებით უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებს და სახალხო შემოსავლის, შეიძლება ითქვას, მთავარ წყაროს წარმოადგენს.

პირუტყვის „სიმრავლისა“ და „სიმცირის“ აღნიშვნებთან ერთად ვახუშტის „საქართველოს გეოგრაფიულ აღწერაში“ მოცემული აქვს ცნობები საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში გავრცელებულ შინაურ ცხოველთა სახეების შესახებ. შინაური ცხოველების სია, რომელსაც ჩვენი მეცნიერი თხზულების შესავალში იძლევა, წარმოადგენს გამოსავალ წერტილს, რომლის საშუალებითაც ვახუშტი აწარმოებს სხვადასხვა რაიონების მეცხოველეობის სახეობრივი შედგენილობის დახასიათებას. ამა თუ იმ რაიონის დახასიათებისას აღნიშნულია ხოლმე მისი განსხვავება, მასში გავრცელებული პირუტყვის

სახეების მიხედვით, შესავალში მოცემული სიისაგან. მაგალითად, მთიულეთში „არა არს აქლემი, კამბეჩი და ვირი“, ხოლო რაჭაში, თრიალეთში, ბამბაკსა და სხვა რაიონებში მოიპოვებიან „აქლემს გარდა, ყოველნი პირუტყვნი“.

„საქართველოს გეოგრაფიულ აღწერაში“ წარმოდგენილი სურათი ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე შინაური პირუტყვის სხვადასხვა სახეთა გეოგრაფიულ გავრცელებისა რამოდენადმე განსხვავდება თანამედროვე მდგომარეობისაგან. საინტერესოა ამ მხრივ ცნობები, რომლებსაც გვაწვდის ვახუშტი ღორის, აქლემის, ცხვრის უდუმო ჯიშისა და აფხაზური თხის შესახებ.

ამ ცნობებით ირკვევა, მაგალითად, რომ XVIII ს. პირველ მეოთხედში მეღორეობა ძლიერ განვითარებული ყოფილა არა მარტო რაჭაში, არამედ აგრეთვე ზიგნი კახეთში, კერძოდ პანკისის ხეობასა და, აგრეთვე, ქვემო ქართლში—სომხითში. შიგნი კახეთში მეღორეობის განვითარების დასასაბუთებლად ვახუშტის რიცხობრივი მაჩვენებლებიც მოჰყავს, — მისი თქმით, ამ რაიონში ყოველ მოსახლეს 200—400 და ზოგს 1000—2000 სული ღორიც ჰყოლია.

„საქართველოს გეოგრაფიული აღწერიდანვე“ შეიძლება დავასკვნათ, რომ ვახუშტის ხანაში საქართველოში საკმაო რაოდენობით ჰყავდათ აქლემები. მართალია, არც ზემო ქართლში, არც დასავლეთ საქართველოში ან ანტიკავკასიონის და კავკასიონის მაღალ ნაწილებში ეს ცხოველი იმ ხანაშიც არ ჰყოლიათ, მაგრამ მის მოშენებას ფართოდ მისდევდნენ ქვემო ქართლში, მაგალითად, ე. წ. წყალთაშუაში; აქლემთა ჯოგებს აძოვებდნენ სარვანის მინდორსა და იაღლუჯის მთაზე. აქლემები ქართლის მეფეებსაც ჰყოლიათ და, როგორც ჩანს, საკმაო რაოდენობით, ვინაიდან მათ საძოვებლად განსაკუთრებით ყოფილა გამოყოფილი სარვანის მინდორი. აქლემის ფართო გავრცელება იმდროინდელ ქართლში გასაგებია, რამდენადაც აქლემი ყველაზე სასარგებლო სატრანსპორტო ცხოველად ითვლებოდა საქართველოს სავაჭრო ურთიერთობისათვის აზერბაიჯანთან, ირანსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებთან.

მეცხვარეობის შესახები ცნობებიდან საყურადღებოა, უწინარეს ყოვლისა, მითითებანი ცხვრის რაოდენობაზე საქართველოს სხვადასხვა რაიონებში. ვახუშტის მონაცემების მიხედვით იმ ხანაში მეცხვარეობა განსაკუთრებით განვითარებული ყოფილა ჩვენი ქვეყნის სამხრეთ ნაწილებში, რომლებიც ძირითადად ანტიკავკასიონის მთიანეთს მიეკუთვნებიან: ბერდუჯის ხეობაში, სომხითში, სამცხესა და ჯავახეთში. ანტიკავკასიონის ფარგლებს გარეთ ბევრი ცხვარი ჰყოლიათ გარე კახეთშიც.

საინტერესო ცნობებს ვხვდებით თხზულებაში ცხვრის ჯიშების გეოგრაფიული გავრცელების შესახებაც. კერძოდ, ირკვევა, რომ უდუმო ანუ კუდიან (ე. წ. „იმერულ“) ცხვარს იმ დროს კავკასიაში მეტი გავრცელება ჰქონია, ვიდრე ამჟამად. უდუმო ცხვარს აშენებდენ არა მარტო დასავლეთ საქართველოში, სადაც ეს ჯიში დღესაც გავრცელებულია, არამედ კავკასიონის აღმოსავლეთ ნახევარში მდებარე რაიონებშიც, მაგალითად, დვალეთში, ჟამურში[1], მთიულეთსა და ხევში. ანტიკავკასიონის მოსახლეობა, კახელები და თუშები კი, როგორც ჩანს, დუმიანი ცხვრის მოშენებას მისდევდნენ. ამჟამად აღმოსავლეთ საქართველოში უდუმო ცხვარი აღარსად არის და თვით დასავლეთშიც იგი მხოლოდ ცალკეულ რაიონებში (განსაკუთრებით ჭიათურის რაიონში) არის თავისი პირვანდელი სახით შემონახული (იხ. მ. რჩეულიშვილი, გვ. 111, 117).

აფხაზეთის ზოგად დახასიათებაში ვახუშტი განსაკუთრებულ ადგილს უთმობს აქაური თხის აღწერას: „თხა აქაური არს ფრიად შვენიერი, ბალნითა წმინდა და ჭრელი, კანჭ-მაღალი, ტანად დიდი, რქანი მაღალნი, ვითარ ადლნახევარნი, წვერნი გრძელნი ვიდრე მუხლთ დაბლამდე“. ამ აღწერილობის მიხედვით ადვილი მისახვედრია, რომ ჩვენი გეოგრაფი აქ თანამედროვე ლიტერატურაში „მეგრულ თხად“ ცნობილ ჯიშზე ლაპარაკობს. შეიძლება დავასკვნათ, რომ თხის ზემოაღნი-

---

[1] დვალეთი—მდ. არდონის აუზი ჩრდ. ოსეთში; ჟამური—ქსნის ზემო წელის ხეობა.

შნული ჯიში თავდაპირველად აფხაზეთში ყოფილა გავრცელებული და, როგორც ჩანს, იქიდან სამეგრელოშიც შემოსულა.

მნიშვნელოვანი ადგილი აქვს განკუთვნილი „საქართველოს გეოგრაფიულ აღწერაში“ მეცხოველეობის პირობების დახასიათებას. ბევრგან არის, მაგალითად, მოხსენიებული მნიშვნელოვანი საძოვრები—როგორც საზაფხულო (ფანავრის ტბის, ძიდამოები, დიდგორის მთა, ყაიყულისა და პალაკაციოს მთები, ნარიანი და სხვ.), ასევე საზამთროც (ყარაია, გარეჯა, მუხრანი; დიღმის, აშურიანის, ნასპარსევისა და აღაიანის მინდვრები). რამდენიმე ალაგას საგანგებოდაა აღნიშნული მეცხოველეობის მომთაბარული ხასიათი (მაგალითად, ქვემო ქართლის „ელთა“, ე. ი. მომთაბარე მაჰმადიანთა და თუშების შესახებ).

საყურადღებოა, რომ ვახუშტის მიერ მოცემულია ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ნაწილებში მეცხოველეობის მეტ-ნაკლები განვითარების მიზეზების განმარტებაც. ვახუშტი მეცხოველეობის უთანაბრო განვითარების მიზეზად სთვლის საკვები ბაზის განაწილების თავისებურებებს, რაც საქართველოს იმ დროინდელ ვითარებაში მართლაც შემაფერხებელ მოვლენას წარმოადგენდა რიგ რაიონებში მეურნეობის ამ დარგისათვის. ზემო ქართლის დასავლეთ ნაწილში (ტაშისკარიდან გორამდე) იმიტომ ყოფილა, სომხით-საბარათიანოსთან შედარებით, ნაკლები რიცხვი შინაური პირუტყვისა, რომ აქ „არს სამ თვე თოვლი, და ზაფხულს ვერ სთიბვენ თივას, სახნავთ გამო მიწათა და მთათა შინა მცირეთა, არა საკმაოთა“, ე. ი. ზამთრობით თოვლსაბურველი უშლიდა ხელს პირუტყვის ძოვებას, ხოლო ზემო ქართლის მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომი საზაფხულო საძოვრების ფართობი საკმარისი არ იყო პირუტყვის დიდი რაოდენობის ძოვებისა და ზამთრის საკვების მოსამარაგებლად. დვალეთშიც „პირუტყვნი არიან არა მრავლად, ვინაიდან აქვთ საძოვარნი და სათიბნი მცირედ“... მთიულეთში „სივიწროვის გამო“ ვერ აშენებდნენ მრავლად შინაურ ცხოველებს, ხოლო ხევში პირუტყვი მხოლოდ იმდენი ყოფილა, რამდენიც აქაურ საძოვრებზე ეტეოდა. სხვა რაიონებში, სა-

დაც საკვები ბაზა მდიდარი იყო, პირიქით, პირუტყვი ბლომად ჰყოლიათ. მაგალითად, აბოცში ანუ ყაიყულში „პირუტყვთა სიმრავლე არს, თივის სიბევრისათვის“, ხოლო მუხრანში „პირუტყვნი მრავალნი, რამეთუ ზამთარ ბალახთა მძოვარნი არიან“. დასავლეთ საქართველოს დაბლობ რაიონებშიც მეცხოველეობის ხელშემწყობ პირობას წარმოადგენდა პირუტყვის ზამთარ-ზაფხულ ძოვების შესაძლებლობა, — ოდიშში პირუტყვის სიმრავლე იმით ყოფილა გამოწვეული, რომ მეგრელთა ჯოგები „მძოვარ არიან ზამთარ-ზაფხულს ბალახთა“. იგივეა განმეორებული ვაკის (იმერეთის დაბლობი ნაწილის), საჩხერეიმსა და გურიის შესახებაც. ყველაზე გარკვეულად ჩამოყალიბებულია მეცხოველეობის მეტ-ნაკლები განვითარებულობის მიზეზთა განმარტება თუშეთის აღწერილობაში: ფარსმანის თუშეთის (პირიქითული ხეობის) საწინაღმდეგოდ, რომელიც საზამთრო საძოვრებისაგან მოწყვეტილობის გამო შინაური პირუტყვის სიმცირით განირჩევა, წოვა-გომეწარ-ჩაღმართის მცხოვრებთ დიდძალი ცხვარი ჰყოლიათ მოშენებული, ვინაიდან მათ „აქვთ ზაფხულს თვისთა მთათა შინა საძოვარი და ზამთარს ჩამოვლენ გაღმა-მხარსა შინა“.

გვხვდება ცნობები მეფუტკრეობაზეც. შესავალში აღნიშნულია ჩვენებური ფუტკრის ღირსებები და საქართველოს ტერიტორიაზე მეფუტკრეობის განვითარება: „ფუტკარი სარგებლიანი, რომლისა თაფლი, ვითთა ადგილთა, ვითარცა შაქარი შეყინებული და სპეტაკი, და ცვილთა და თაფლთა სიმრავლე არს“. საქართველოს ცალკეულ ნაწილთა აღწერილობებშიც ვახუშტი ბევრგან აღნიშნავს მეფუტკრეობის მდგომარეობას და თაფლის ხარისხს. მაღალხარისხოვანი თაფლით მდიდარ რაიონებად აღწერილია: ბამბაკის ხეობა, ტაშირი[1], თრიალეთი, სამცხე-საათაბაგო, იმერეთი. ფუტკრითა და თაფლით მდიდარ მხარედაა დახასიათებული ჭანეთიც. შედარებით ნაკლები ფუტკარი ჰყოლიათ დვალეთში, სადაც თურმე თაფლის მოსავალი ვერ აკმაყოფილებდა ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნილებას.

[1] ლორის თაფლი ამჟამადაც განთქმულია.

შინაური ფუტკრის გარდა, მრავლად ყოფილა ფუტკარი ტყეებშიც, მაგალითად ოდიშში, სადაც ხდებოდა გარეული ფუტკრის თაფლის მოპოვება, და, აგრეთვე, მიუვალ გამოქვაბულებში — ქციის ხრამში.

ვახუშტის ცნობები კავკასიური ფუტკრისა და თაფლის შესახებ ისტორიული თვალსაზრისით საინტერესოა, თუ გავითვალისწინებთ, რომ უცხოელ ავტორებს შორის, დაწყებული სტრაბონიდან და დამთავრებული ლამბერტით და ახალი დროის სხვა მწერლებით, გავრცელებული იყო არაზუსტი შეხედულებანი ამ საკითხზე. ევროპულ ლიტერატურაში პირველი ცნობა კავკასიის ფუტკრის შესახებ 1773 წელს გამოაქვეყნა აკადემიკოსმა პალასმა, ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ კავკასიური ფუტკრის კეთილთვისებიანობა და მეფუტკრეობის განლაგება საქართველოში პირველად ვახუშტიმ აღწერა.

არა ერთხელ ეხება ვახუშტი მეაბრეშუმეობას. შესავალში ნათქვამია, საქართველოში „ჰყოფენ აბრეშუმსა, არამედ ქუხილის გამო ვერა მრავალსა: რამეთუ სასტიკად მქუხარებს, დამის გამო მოსწყდების ჭიანი-“ო. ცალკეული რაიონების აღწერისას ჩვენი მეცნიერი ხშირად ეხება ხოლმე მეაბრეშუმეობის მდგომარეობას და განასხვავებს ამ თვალსაზრისით მდიდარსა და ღარიბ რაიონებს.

ქართლის სამეფოში მეაბრეშუმეობა განსაკუთრებით განვითარებული ყოფილა მდ. ქციას ქვემო წელში (ნახიდურიდან ნაჯბადინამდე). ნაკლები რაოდენობით მზადდებოდა აბრეშუმი ქციის შუა წელში, ბერდუჯის ხეობის ქვემო ნაწილში, ზემო ქართლის დასავლეთ ნაწილში (გორს ზემოთ, ტაშისკარამდე). სრულიად არ ეწეოდნენ მეაბრეშუმეობას საგურამოში.

ფართოდ ყოფილა გავრცელებული მეურნეობის ეს დარგი კახეთის სამეფოში, მაგრამ ყველაზე მეტი აბრეშუმი აქ თურმე გალმა-მხარსა და ელისენში მზადდებოდა.

მეაბრეშუმეობას მისდევდნენ დასავლეთ საქართველოშიც, განსაკუთრებით ოდიშში. იმერეთის სამეფოს ფარგლებში მეაბრეშუმეობის საქმე ყველაზე უკეთესად არგვეთში ყოფილა დაყენებული.

საქართველო, როგორც მეაბრეშუმეობის ქვეყანა, ვახუშტიზე ადრე მთელ რიგ ევროპელ მკვლევართა ყურადღებას იპყრობდა. XIII საუკუნის მეორე ნახევარში განთქმულმა მოგზაურმა მარკო პოლომ დაახასიათა საქართველო, როგორც აბრეშუმის წარმოებით მდიდარი ქვეყანა. უფრო ახალი დროის ავტორებს შორის ჩვენს ქვეყანაში მეაბრეშუმეობის განვითარებას ეხება ფრანგი პეისონელი. ვახუშტის თხზულების თავისებურებას, მეაბრეშუმეობის აღწერის თვალსაზრისით, ის შეადგენს, რომ მასში მეურნეობის ამ დარგის მდგომარეობა განხილულია სივრცობრივად, ე. ი. გეოგრაფიული მიდგომით.

„საქართველოს გეოგრაფიული აღწერის“ ტექსტის იმ ნაწილებში, რომლებიც ტოპოგრაფიული აღწერილობების ტიპს მიეკუთვნებიან (იხ. ზემოთ), სხვა გეოგრაფიულ ობიექტებს შორის თანამიმდევრობით მოხსენიებულია დასახელებული პუნქტები. პუნქტების შედარება ვახუშტისვე რუკებთან ცხადჰყოფს, რომ ავტორი მიზნად არ ისახავდა ყველა დასახლებული პუნქტის ჩამოთვლა-აღწერას, იგი მხოლოდ მნიშვნელოვან ან ამა თუ იმ თვალსაზრისით საყურადღებო პუნქტებს განიხილავს. ასე მაგალითად, ბევრი სოფლის ან ნასოფლარის სახელი მოყვანილია მატერიალური კულტურის ძეგლების (ეკლესია-მონასტრებს, ციხეების, ხიდებისა და ა. შ.) აღწერასთან დაკავშირებით და ასევე ბევრი სოფელი იხსენიება მათი სახელებიდან ნაწარმოებ მდინარეთა სახელწოდებებში.

მოვიყვანოთ დასახლებული პუნქტების ამგვარი არასპეციალური დასახელების მაგალითები.

1. საეკლესიო ნაგებობებთან დაკავშირებით იხსენიებიან სოფლები: ახპატი, სანაინი, ყორანთა, წალკა, ლიპარიტის-უბანი, ატოცი, ოქონა, დირბი, იყორთა, სამთავისი, იყალთო, კიმოთისმანი, ბოდბე, წნისი, ჭვინტა, წურწუმა, დადეში, ქარწამეთი, წყაროსთავი, კუმურდო, ამაღლება, ვარძია (იმერეთისა), კაცხი, ჩაისი (ცაიში), ჭელენჯიხი (წალენჯიხა); მოქვი, ბიჭვინტა და სხვ.

2. ციხე-სიმაგრეებთან დაკავშირებით დასახელებულია

სოფლები: ჭაპალა, ქვეში, ცხირეთი, დრისა, წედისი, ბოდორნა, ბრშა, წირქვალი, კულბითი, კეხვი, გუფთა, ნული, ბრეძა, ბოჭრმა, ხორნაბუჯი ანუ ჭოეთი, ველისციხე, ბახტრიონი, ქურთათა, ყველი, ვარენთა, ფანაკარი, ცუცხვათი, ბაღდადი, საწირე, ჩხერი, ძმუისი და სხვ.

3. საერო ნაგებობებთან (სასახლეებთან, ხიდებთან) დაკავშირებით დასახელებულია სოფლები: ინდუსა, სატრედო, ალამბარი, გეგუთი, დამპალა, ვარძია, თვალივი, ნადარბაზევი, თოღა, კოჭორი, მანავი, მაღარო, ნაჭარმაგევი (კარალეთი) სახარია, სკანდა, ხეთა და სხვ.

4. მდინარეებსა და ტბებთან დაკავშირებით იხსენიებიან შემდეგი სოფლები: ბალიჭი, ორმოზანი, ერანი, თურანი, ანდრაპი, ოლთისი, კლდეისი, კველთეთი, ქლივი, აჩხოტი, გველეთი, ჩაბარუხეთი, სველნეთი, ვარიანი, ლაფაჩები, პატარა ჯავა, შუგუთი, ბეა, მშხლები, შოლა, ნეძვი, ბოკოწინი, ფიფინეთი, კარდანეხი, უტო, ახმეტა, ვალაგირი, ზახა, ბორჯომი, ხოსპიო, ზიკილია, ჯაყი, ოშორა, ოლდამი, აზავრეთი, საჩინო, მოწამეთა, ოჯოლა და მრავალი სხვა.

ადვილი შესამჩნევია, რომ დასახლებული პუნქტების შესახები აღწერილობითი მასალა ვახუშტის საქართველოს სხვადასხვა ნაწილებისათვის თანაბრად არ ჰქონია. განსაკუთრებით ზუსტი და დაწვრილებითი ცნობები დასახლებულ პუნქტებზე მას ქართლის, კახეთისა და იმერეთის სამეფოებისა და მესხეთ-ჯავახეთის ტერიტორიისათვის ჰქონია. უფრო ღარიბად არის წარმოდგენილი დანარჩენი მხარეების (ოდიშ-გურიის, აფხაზეთ-ჯიქეთის, ჰანეთ-კლარჯეთის, ოსეთისა და სხვა რაიონების) დასახლებული პუნქტები. ზოგიერთი რაიონისათვის, რომლებსაც ვახუშტი სათანადო მასალის უქონლობის გამო მოკლედ აღწერს, დასახლებული პუნქტები ან სრულებით არ არის დასახელებული (ფშავ-ხევსურეთი, ბასიანი, ჯიქეთი, ალანი), ან მოცემულია მხოლოდ სოფელთა საერთო რაოდენობა სოფლების სახელწოდებათა აღუნიშვნელად (თრუსოს ხეობა, ნარის ხეობა, „კახეთის თუშეთი“ ანუ წოვა-გომეწარ-ჩაღმართის ხეობები, „ფარსმანის თუშეთის“ ანუ პირიქითის ხეობა). აღსა-

ნიშნავია, რომ სვანეთისა და თუშეთის აღწერილობებსა და რუკებში მოხსენიებული სახელები (ლაშხეთი, ეცერი, წოვა, გომეწარი და ჩალმა), რომლებითაც ვახუშტის ცალკეული სოფლები აქვს ნაგულისხმევი, სინამდვილეში წარმოადგენენ თემების, ე. ი. სოფელთა ჯგუფების, სახელწოდებებს.

დასახლებულ პუნქტებს შორის ვახუშტი სამ ძირითად ტიპს განასხვავებს: ქალაქებსა და დაბებს (ამ უკანასკნელი ტერმინით იგულისხმება სოფლები, ხოლო თვით სიტყვა „სოფელი“ მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში გვხვდება). ქალაქებად აღწერილია ტფილისი, გორი, თელავი, აწყვერი (აწყური), ახალციხე, ოლთისი, ბასიანი ანუ ასანყალა, შორაპანი და ქუთაისი, მცირე ქალაქებად კი ლორე, ბანბაკი, ოფრეთი, ბოლნისი, წინწყარო, ატენი, მძორეთი, ახალგორი, ქცხილვანი (ცხინვალი), თამარაშენი, ალი, სურამი, ბარალეთი, ახალქალაქი, არტანი, კოლა, სათლე, ართვანი (ართვინი), არტანუჯი, ხოფჯა, რიზა, ჩიხორი, ბათომი, გონია, ისპირა და ბაიბურდი. „მცირე ქალაქის მსგავსნი“ ყოფილან: დიდი გომარეთი, ქედა, ზუფუ და ქობულეთი. არ არის აღნიშნული, თუ დასახლებული პუნქტების რომელ ტიპს ეკუთვნოდნენ ონი, საჩხერე, ოზურგეთი, ფოთი, არზრუმი და განჯა. „საქართველოს გეოგრაფიულ აღწერაში“ მოხსენიებული ქალაქური ტიპის დასახლებული პუნქტების რიცხვი 40-ს აღემატება. რაც შეეხება „დაბებს“ ანუ სოფლებს, ვახუშტის თხზულების 1941 წ. გამოცემაზე დართული საძიებლის მიხედვით მათი რიცხვი 300-ს აღემატება, მაგრამ ეს პირობითია, რამდენადაც ვახუშტის მიერ სოფელთა სახელწოდებების ხმარებაში გაურკვეველობას აქვს ადგილი და მათი არასპეციალურად დასახელების შემთხვევებში (იხ. ზემოთ) ძნელია იმის დადგენა, არის თუ არა ნაგულისხმევი დასახლებული პუნქტი.

დასახლებული პუნქტებიდან განსაკუთრებით დეტალურად და ვრცლად განხილულია მნიშვნელოვანი ქალაქები, როგორიცაა თბილისი, გორი, ქუთაისი, ახალციხე და საქართველოს ძველი დედაქალაქი მცხეთა. ვახუშტი აღწერს ამ ქალაქთა ისტორიულ წარსულს, მატერიალური კულტურის ძეგლებს,

კლიმატურ პირობებს, შენობათა ტიპებს, მოსახლეობის ეროვნულსა და სოციალურ შემადგენლობას და ა. შ. უფრო ნაკლები მნიშვნელობის მქონე ქალაქებს, როგორიცაა, მაგალითად, აწყური, ახალგორი, თელავი და სხვები, ავტორი სქემატურად აღწერს. თითქმის ერთადერთ საკითხს, რომელსაც ჩვენი გეოგრაფი ამგვარი ქალაქების დახასიათებისას ეხება, წარმოადგენს მათი მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა.

ვახუშტის ცნობები საქართველოს დასახლებული პუნქტების შესახებ თავიანთი სისრულითა და სიზუსტით გაცილებით აღემატებიან იმ მონაცემებს, რომლებსაც ვხვდებით XVIII ს. მეორე ნახევრამდე იმავე საკითხზე უცხოელ ავტორთა ნაშრომებში. მაგალითად, თუ შევადარებთ ამ მხრივ ვახუშტის თხზულებას ჟან შარდენის, არქანჯელო ლამბერტის, პეისონელის, ტურნეფორისა და სხვა მკვლევართა ნაწერებს, უპირატესობა პირველის მხარეზე იქნება.

გზებს ვახუშტი საქართველოს ბარის აღწერისას თითქმის არ ეხება, ხოლო ისეთი მაღალმთიანი კუთხეების აღწერილობებში, როგორიცაა ოსეთი, ხევი, კლარჯეთი და ა. შ., იგი აღნიშნავს საუღელტეხილო გზებს, რომლებიც აკავშირებდნენ სხვადასხვა ხეობებს ერთმანეთთან.

ჩვეულებრივად ვახუშტი კმაყოფილდება ხოლმე ამგვარი გადასავალი გზების არსებობის აღნიშვნით, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში ლაპარაკობს აგრეთვე მათს სიძნელესა და ზამთრობით გაუვალობაზე (იხ., მაგალითად, ხევის ყელის, გველეთის ქვემოთ თერგთან შემრთველი მდინარის, ალბათ, ხდისწყლის ხეობიდან ქისტეთ-ძურძუკეთში გადამავალი გზისა და რაჭა-დიგორის დამაკავშირებელი უღელტეხილების აღწერილობა). უფრო მეტია ნათქვამი რამდენიმე უღელტეხილზე, რომლებსაც ვახუშტი პირადად იცნობდა, მაგალითად, ხევის-ყელზე (ეხლანდელ ჯვრის უღელტეხილზე) და გურძიეველზე (ეს უკანასკნელი ჩვენმა გეოგრაფმა გადალახა 1724 წელს, რუსეთისაკენ მგზავრობისას).

პოლიტიკური და ისტორიული გეოგრაფია „საქართველოს გეოგრაფიული აღწერის“ მნიშვნელოვან შემა-

დგენელ ნაწილს წარმოადგენს. შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ეს ნაწილი შეადგენს თხზულების მთავარ საფუძველს. როგორც უკვე იყო აღნიშნული, ვახუშტის აღწერილობითი მასალა პოლიტიკურ-ადმინისტრაციული პრინციპის მიხედვით აქვს დალაგებული.

ჩვენი გეოგრაფიის ცნობები საქართველოს ფეოდალურ სამეფო-სამთავროთა და მოსაზღვრე მხარეთა პოლიტიკური და საადმინისტრაციო სტრუქტურის შესახებ, ვახუშტისავე რუკებთან ერთად, რომლებშიც პოლიტიკური და საადმინისტრაციო ერთეულები განსხვავებული ფერებითაა მოცემული, საკმაოდ სრულ წარმოდგენას იძლევიან ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ მდგომარეობაზე XVIII ს. პირველ მეოთხედში.

ვახუშტის თხზულების ტექსტისა და მისივე რუკების მიხედვით კავკასიის ყელის ტერიტორიაზე XVIII ს. პირველ მეოთხედში შემდეგი პოლიტიკური და საადმინისტრაციო ერთეულები არსებობდა:

1. ქართლის სამეფო მოიცავდა შიდა ქართლს სამხრეთ ოსეთის იმ უმეტესი ნაწილითურთ, რომელიც ჰიდროგრაფიულად მტკვრის აუზშია მოქცეული; ქვემო ქართლს ეხლანდელი სომხეთის სსრ ფარგლებში მდებარე ბამბაკით, ტაშირითა და აბოცითურთ და აგრეთვე ზემო იმერეთის ნაწილს (ე. წ. ხეფინის-ხევს მდ. ძირულას აუზში და მდ. ჩხერიმელას ხეობას სოფ. ქვაბს ზემოთ), რომელიც ქართლის მეფეებს, ბერი ეგნატაშვილის მოწმობით, უკვე XV ს. ბოლოშივე, მეფე დავით კონსტანტინეს ძის დროსვე ეპყრათ.

ქართლის სამეფოს ტერიტორია, ვახუშტი ბაგრატიონის თხზულებისა და რუკების მიხედვით, იყოფოდა ოთხ სასპასპეტოდ, რომლებიც დაარსებულ იქნა ვახტანგ VI მიერ და რომლებიც თავის მხრივ შედგებოდნენ უფრო წვრილი ერთეულებისაგან (ფეოდალურ სამფლობელოთაგან).

ა) პირველი სასპასპეტო ანუ მეწინავე სადროშო მოიცავდა ქვემო ქართლს, ე. ი. ეხლანდელი წალკის, თეთრი წყაროს, ბოლნისის, დმანისის, მარნეულისა და გარდაბანის რაიონების, აგრეთვე ნაწილობრივ თბილისის რაიონის ტერიტორიას სომ-

ზეთის სსრ ფარგლებში მდებარე ბამბაკით, ტაშირითა და აბოცითურთ (ლუკასიანის, კალინინის, სტეფანავანის, ალავერდისა და ნოემბერიანის რაიონები). მეწინავე სადრომო იყოფოდა ორ ძირითად ნაწილად: სომხითად (ეხლ. მარნეულის, ბოლნისისა და დმანისის რაიონების სამხრეთი ნაწილები, ბამბაკი, ტაშირი და აბოცი) და საბარათიანოდ (ფრიალეთი, ზურტაკეტი, ქციის ხრამი, ალგეთი, ე. ი. ეხლ. წალკისა და თეთრი წყაროს რაიონების ტერიტორია თბილისის, დმანისის, ბოლნისისა და მარნეულის რაიონების ნაწილებითურთ).

ბ) მეორე სასპასპეტო მდებარეობდა ზემო ქართლის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მდ. მტკვრის ჩრდილოეთით, ქსნის საერისთაოს დასავლეთ საზღვარსა და იმერეთს შორის, მოიცავდა თანამედროვე ხაშურის, ქარელის, ბორჯომის, გორისა და კასპის რაიონების ჩრდილო ნაწილებს, ზნაურის რაიონს, სტალინირისა და ჯავის რაიონების ნაწილებს, აგრეთვე ხარაგოულის რაიონის ნაწილსაც. ამ სასპასპეტოში შედიოდნენ ფეოდალური სამფლობელოები—საამილახვარო, სამაჩაბლო და სხვ.

გ) მესამე სასპასპეტოს ეკავა ზემო ქართლის აღმოსავლეთი ნაწილი მტკვრის ჩრდილოეთითვე — ეხლანდელი ლენინგორისა და მცხეთის რაიონები, სტალინირის, ჯავის, დუშეთის; კასპისა და თბილისის რაიონების ნაწილები და ყაზბეგის რაიონი. მასში შედიოდა სამი მსხვილი ფეოდალური სამფლობელო—მუხრანის, ქსნისა და არაგვის საერისთაოები.

დ) მეოთხე სასპასპეტოს ეკუთვნოდა ზემო ანუ შიდა ქართლის სამხრეთი ნაწილი მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე—ეხლანდელი ბორჯომის, ქარელის, გორის, კასპისა და თბილისის რაიონების ნაწილები, ქ. თბილისის ჩათვლით. მასში შემავალ ფეოდალურ სამფლობელოთაგან აღსანიშნავია საციციანო, საჯავახიანო და სხვ.

2. კახეთის სამეფო მოიცავდა თანამედროვე ახმეტის, თელავის, ყვარლის, გურჯაანის, საგარეჯოს, კაჭრეთის, თიანეთის, სიღნაღის, ლაგოდეხის, წითელწყაროს რაიონების და ნაწილობრივ დუშეთის, მცხეთისა და თბილისის რაიონების ტერი-

ტორიას, აგრეთვე ამჟამად აზერბაიჯანის სსრ ფარგლებში მდებარე საინგილოს (ბელაქან-ზაქათალა-კახის რაიონებს) და დაღისტანის სსრ შემავალ დიდოეთს (აღვალის რ-ნი). კახეთის სამეფოს შიგნით ვახუშტი გამოჰყოფს ბუნებრივსა და ეთნოგრაფიულ ნაწილებს — შიგნი კახეთს, გაღმა-მხარს, გარე კახეთს, კაკ-ელისენს, ქიზიყს, პანკისს, იორის ქვეყნებს, თუშეთს, დიდოეთს, ფშავს, ხევსურეთს, თიანეთს, საგურამოს და სხვ. ამრიგად, დარაიონების პრინციპი არსებითად განსხვავდება ქართლის სამეფოსათვის მიღებული სისტემისაგან. კახეთის დედაქალაქად იმ ხანაში უკვე თელავი ითვლებოდა (ნაცვლად შაჰ-აბაზის მიერ აოხრებული გრემისა).

3. იმერეთის სამეფო მოიცავდა ეხლანდელი საჩხერის, ჭიათურის, ზესტაფონის, თერჯოლის, ტყიბულის, მაიაკოვსკის, ვანის, ქუთაისის, წყალტუბოს, წულუკიძის, სამტრედიის, ცაგერის, ამბროლაურის, ონის რაიონებისა და ნაწილობრივ ხარაგოულისა და ჯავის რაიონების ტერიტორიას. ამგვარად, საკუთრივ იმერეთს გარდა მასში შედიოდა რაჭა-ლეჩხუმი და სამხრეთ ოსეთის დასავლეთი ნაწილი. იმერეთის სამეფოს დედაქალაქს წარმოადგენდა ქუთაისი. იმერეთის ფარგლებში ვახუშტი გამოჰყოფს ბუნებრივ-ეთნოგრაფიულსა (რაჭა, ლეჩხუმი, არგვეთი, ოკრიბა, ვაკე) და საადმინისტრაციო (საჩხეიძო, საჩივაძო, სალომინაო) ერთეულებს.

4. ოდიშის სამთავრო მოიცავდა თანამედროვე ზუგდიდის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს, გეგეჭკორის, მიხა ცხაკაიას, ხობის, აბაშის, გალის, ოჩამჩირეს რაიონებისა და ნაწილობრივ ფოთისა და გულრიფშის რაიონების ტერიტორიას. საზღვარს ოდიშსა და იმერეთის სამეფოს შორის წარმოადგენდა მდ. ცხენის-წყალი, ხოლო ოდიშსა და აფხაზეთს შორის ანაკოფიის მთა. ოდიშის ფარგლებში ავტორი განარჩევს სალიპარტიანოს, საფაციოს და სხვა ერთეულებს. ოდიშის მთავრების — დადიანების ძირითადი რეზიდენცია იყო ზუგდიდში; მათი სასახლეები აღნიშნულია ჰაქვითწი, ხეთაში, ნაჩალაქევსა და სახარიაში.

5. გურიის სამთავრო მოიცავდა ეხლანდელი ჩოხატაურის, მახარაძისა და ლანჩხუთის რაიონებს და ფოთის რაიონის სამხრეთ ნაწილს, აგრეთვე ამჟამად აჭარის ასს რესპუბლიკაში შემავალ ქობულეთისა და ბათუმის რაიონებს. გურიის მთავრების—გურიელების რეზიდენციები იყო ოზურგეთი (ეხლ. მახარაძე) და ალამბარი.

6. აფხაზეთის სამთავრო მოიცავდა ეხლანდელი სოხუმის, გუდაუთისა და გაგრის რაიონებს და გულრიფშის რაიონის ნაწილს. აფხაზეთის მთავრების—შარვაშიძეების სამყოფელს წარმოადგენდა ზუფუ (ეხლ. ლიხნი).

7. ჯიქეთის სახელწოდებით ვახუშტის ნაგულისხმევი აქვს ამიერკავკასიის უკიდურესი ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი, რომელიც მდებარეობს შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაპირსა და კავკასიონის თხემს შორის, აფხაზეთიდან ტაშანის ნახევარკუნძულამდე.

8. სვანეთი მოიცავდა თანამედროვე მესტიისა და ლენტეხის რაიონების ტერიტორიას და წარმოადგენდა თავად გელოვანთა სამფლობელოს.

9. ალანის სახელწოდებით ჩვენი გეოგრაფი გულისხმობს ეხლანდელი აფხაზეთის ასს რესპუბლიკის იმ აღმოსავლეთ ნაწილს, რომელსაც უკავია მდ. კოდორის აუზი (გულრიფშოჩამჩირის რაიონების მაღალმთიანი ზოლი ანუ ყოფილი წებელდა).

10. სამცხე-საათაბაგო მოიცავდა ეხლანდელი ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ასპინძის, ახალციხის, ადიგენის, ხულოსა და ქედას რაიონების ტერიტორიას და სამხრეთ საქართველოს იმ ნაწილებს, რომლებიც თურქეთის ფარგლებშია დღეს მოქცეული (მდ. ჭოროხის აუზს, მტკვრის ზემოწელის აუზს ანუ ერუშეთს, ლაზისტანს ანუ ჭანეთს). ვახუშტის ხანაში სამცხე-საათაბაგო მთლიანად ეკავა თურქებს, რომელთა ხონჭრის მიერ დაყენებული ფაშა ქ. ახალციხეში იმყოფებოდა. სამცხე-საათაბაგოს ფარგლებში ვახუშტის განხილული აქვს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ერთეულები: სამცხე, ჯავახეთი, ერუშეთი, აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი, ტაო, არტაანი, ჭანეთი.

11. ოვსეთის ანუ „კავკასიათა შინათა“-ს სახელით ვახუშტი აღნიშნავს ცენტრალური და ნაწილობრივ აღმოსავლეთ კავკასიონის ჩრდილო ფერდობის მაღალმთიან ზოლს, რომელიც დასახლებულია არაქართველი მთიელი ხალხებით—ოსებით, ქისტებითა და ა. შ. ოვსეთის ფარგლებში გამოიყოფა ეთნოგრაფიული ოლქები: ბასიანი (შეესაბამება შემდგომი დროის ბალყარეთს), დიგორი, დვალეთი, ქისტი (შეესაბამება ინგუშეთს), ღლიღვი, ძურძუკი, ჩაჩანი. ამ მთიანი ზოლის მოსახლეობა ეკონომიურად და პოლიტიკურად დაკავშირებული იყო, ვახუშტის თქმით, ერთი მხრივ საქართველოსთან (რაჭასა და ქართლთან), ხოლო მეორე მხრივ „ჩერქეზთან“, ე. ი. ყაბარდოს სამთავროსთან, რომელიც ჩრდილო კავკასიის ბარის შუა ნაწილში მდებარეობდა.

ზემოჩამოთვლილი პოლიტიკურ-ეთნოგრაფიული ერთეულების გარდა, „საქართველოს გეოგრაფიულ აღწერაში“ და ვახუშტის რუკებზე აღნიშნულია კავკასიის ყელზე იმ დროს არსებული სხვა ტერიტორიული ერთეულებიც: ჩერქეზი (დიდი და მცირე ყაბარდო), ჰავარი (ავარია), შირვანი (ჩრდ. აზერბაიჯანში), სომხეთი, ყაითაღ-თაბასარანი, ლეკი ანუ დაღისტანი, რანი.

ვახუშტის ხანაში არსებულ პოლიტიკურ-საადმინისტრაციო დანაყოფებთან ერთად თხზულებაში და რუკებზე ბევრგან ნაჩვენებია ისტორიული (XVIII საუკუნის დამდეგისათვის უკვე გაუქმებული) დაყოფის ერთეულებიც, როგორებიც არიან, მაგალითად, გარდაბანისა და გაჩიანის საერისთვოები, ჰერეთი, კუხეთი, წუქეთის საერისთაო, ეგრისი, აფხაზეთის სამეფო, შორაპნის საერისთავო, ციხე-გოჯის, ცხომის, ბედიის და აფხაზეთის საერისთავოები და ბევრი სხვა. ეს ისტორიული მასალა, ცალკეული პუნქტების შესახებ მოყვანილ ისტორიულ მონაცემებთან ერთად, შეადგენს ისტორიულ-გეოგრაფიულ ელემენტს, რომლის ხვედრითი წონა ვახუშტის თხზულებასა და ატლასებში მნიშვნელოვანია.

თუ კავკასიის პოლიტიკური და ადმინისტრაციული დაყოფის დეტალურ სქემას, წარმოდგენილს ვახუშტის ნაწარმოე-

ბებში, დავუმატებთ იმ მდიდარ ცნობებს, რომლებსაც ვპოულობთ „საქართველოს გეოგრაფიულ აღწერაში“ (ნაწილობრივ ატლასებშიც) საქართველოს და მასთან მოსაზღვრე ქვეყნების მოსახლეობის ეთნოგრაფიულ თავისებურებებზე, სოციალურსა და ეკონომიურ ყოფაზე, რელიგიასა და საეკლესიო მმართველობაზე და ა. შ., თვალწინ წარმოგვიდგება XVIII ს. პირველ ნახევარში კავკასიის მნიშვნელოვანი ნაწილის საზოგადოებრივი ცხოვრების შესანიშნავი სურათი. ეს უკანასკნელი თავისი სისრულით და სიზუსტით გაცილებით მაღლა დგას დასავლეთევროპელი მოგზაურებისა და რუსეთის ელჩების რომელიმე ნაწარმოებებში მოცემულ შესაბამის მასალაზე და სწორედ ამიტომ არის, რომ ვახუშტის ნაშრომები გვევლინება ძირითად წყაროებად XVII—XVIII საუკუნეებში საქართველოსა და მეზობელი ქვეყნების პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიური და კულტურული მდგომარეობის მეცნიერული შესწავლისათვის.

დასასრულ, საჭიროა შევეხოთ ვახუშტი ბაგრატიონის მონაცემებს მატერიალური კულტურის ძეგლების შესახებ. რამდენადაც ისტორიული გეოგრაფია წარმოადგენს ვახუშტის თხზულებისა და რუკების ერთ-ერთ ძირითად ამოცანას, ავტორი დიდ ყურადღებას უთმობს საერო, სამხედრო და საეკლესიო ნაგებობათა დახასიათებას. „საქართველოს გეოგრაფიულ აღწერაში“ მოხსენებული ამგვარი ნაგებობების საერთო რაოდენობა 530-ს ეთანასწორება. აქედან სამოქალაქო ნაგებობები (ნასოფლარები, სასახლეები და მათი ნაშთები, ხიდები, ფუნდუკები, ნაქალაქარები) შეადგენენ 72, სამხედრო თავდაცვითი ნაგებობანი (ციხე-სიმაგრეები, კოშკები, სახიზარი ქვაბები) 230 და საეკლესიონი (მონასტრები, ეკლესიები და სხვ.)—224.

ძეგლების უმრავლესობა მოკლედ არის დახასიათებული. გარდა გეოგრაფიული მდებარეობისა, საეკლესიო ნაგებობებისათვის ჩვეულებრივ აღნიშნულია ხოლმე მათი კონსტრუქციის ტიპი (გუმბათიანი არის თუ უგუმბათო) და მდგომარეობა („აწ ოხერ“, „ხუცის სამარ“ და ა. შ.), ხოლო ციხე-სიმაგრეებისათვის მათი სტრატეგიული ღირებულება და ციხოვანი

ჯარის დგომა. ზოგიერთი ძეგლის შესახებ მოცემულია სხვა-გვარი ცნობებიც —მაგალითად, ეკლესია-მონასტრების „სას-წაულებრივი ძალის“ შესახებ და ისტორიული წიაღსვლები (ხშირად საკმაოდ ვრცელი). სოფელ ოქონაში ანუ ეხლანდელ ზნაურში ვახუშტი აღწერს „საქართველოს ფიზას“—ტაძარს გვერდზე გადახრილი გუმბათით, ანაკოფიაში ზღვის დონის ქვეშ მოქცეული ქალაქის ნანგრევებს და სხვ. ყველაზე დეტა-ლურად არის აღწერილი ქართული ხუროთმოძღვრების შესა-ნიშნავი ძეგლები — მცხეთის სვეტიცხოველი, გელათი, სამ-შვილდე, სიონი.

ჩვენ აქ არ შევეხებით ვახუშტის ეთნოლოგიურ ცნობებსა და შეხედულებებს, ვინაიდან მათი განხილვა სპეციალური თვალსაზრისით ვახუშტის, როგორც გეოგრაფის, შესწავლის ფარგლებს სცილდება.

ვახუშტის ნაშრომები შეიცავენ უხვ მასალას საქართვე-ლოს ტოპონიმიკის (გეოგრაფიული სახელების) ისტორიისათ-ვის. მიდრეკილებას ტოპონიმიკური ძიებისადმი ჩვენ ქართულ მწერლობაში ვახუშტიზე ადრეც ვამჩნევთ. მაგალითად, XI საუკუნის ქართველი მემატიანის ლეონტი მროველის თხზუ-ლებაში მოცემულია მდიდარი მასალა საქართველოს უძველე-სი გეოგრაფიული სახელების მნიშვნელობის შესახებ; X ს. ავ-ტორის ბასილ ზარზმელის ნაწარმოებში აღბეჭდილია სამცხის ძველი ტოპონიმიკა და ა. შ. მაგრამ ვახუშტის თხზულებას და რუკებს მაინც განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ ძველი ქართული ტოპონიმიკისა და საისტორიო გეოგრაფიის შესწავ-ლაში.

ქართველი გეოგრაფის ნაშრომებმა შემოგვინახა მრავალი მივიწყებული გეოგრაფიული სახელი, რომლებითაც ძველად აღინიშნებოდა ჩვენი ქვეყნის ნაწილები, ცალკეული პუნქტები, მაღლობები, მდინარეები და სხვა გეოგრაფიული ობიექტები. მართალია, ასეთი ტოპონიმიკური მასალა უხვად არის გაბნე-ული სხვა წერილობითს ძეგლებშიც—სიგელ-გუჯრებში, სტა-ტისტიკურ აღწერათა და საგადასახადო დავთრებში და ა. შ., მაგრამ ვახუშტის ნაწრომთა ღირსება ყველა ამ წყაროსთან

შედარებით იმაში მდგომარეობს, რომ აქ ყველა გეოგრაფიული სახელი მათი სივრცობრივი კუთვნილების ზუსტი აღნიშვნით არის მოცემული.

ძველი გეოგრაფიული სახელწოდებები, რომლებიც გვხვდება ვახუშტის თხზულებასა და რუკებში, შეიძლება დაიყოს ორ ძირითად ჯგუფად:

1. გეოგრაფიული სახელები, რომლებიც ვახუშტის ხანაში (XVIII საუკუნის პირველ ნახევარში) საქართველოს მოსახლეობის მიერ ჯერ კიდევ იხმარებოდა და რომლებიც ხმარებიდან უკანასკნელი ორი საუკუნის განმავლობაში გავიდა. ასეთი სახელწოდებებია: ნაგები (იგივე რუსთავი), ლურჯ-მონასტერი, აზეულა, გაღმა-მხარი, ჭოეთი, ეძანი, საჩხეიძო, გელიყარი, ზურტაკეტი, საამილახორო, საბურდიანო, სავახტანგო და სხვ.

2. გეოგრაფიული სახელები, რომლებიც ვახუშტის დროისათვის მოსახლეობის მიერ უკვე აღარ იხმარებოდა და რომლებიც ჩვენს მკვლევარს ძირითადად წერილობითი წყაროებიდან (მატიანეებიდან, საბუთებიდან და ა. შ.) აქვს ამოკრეფილი. ასეთი სახელწოდებებია: ხუნანი, ჰერეთი, მოვაკანი, ხორნაბუჯი, ხერკი, თავკვერი, მარგვეთი, ჩელეთი ანუ ბერ, წუქეთი, ლორწობანი, ტყეტბა, ლაკვათი და სხვ. ყველა ეს სახელწოდება ვახუშტის გეოგრაფიულად განმარტებული და რუკებზე აღნიშნული აქვს.

საქართველოს ძველი ტოპონიმიკის შესწავლისათვის ვახუშტის ნაშრომებს უდიდესი მნიშვნელობა აქვთ.

საქართველოს გეოგრაფიული ატლასები

ზემოთ უკვე აღნიშნული იყო, რომ ვახუშტი ბაგრატიონის მიერ შედგენილ იქნა საქართველოს რუკების ორი სერია — პირველი 1735 წელს და მეორე 1742-43 წლებში. ორივე სერია აკინძულია ატლასების სახით, რომელთაგან უფრო ძველს შეიძლება ეწოდოს პირველი და უფრო ახალს მეორე ატლასი.

აღნიშნული ატლასები არამცთუ არ წარმოადგენენ ერთიმეორის სტერეოტიპულ ასლებს, არამედ მნიშვნელოვნად გან-

სხვავდებიან ერთიმეორისაგან და შეესაბამებიან ვახუშტის კარტოგრაფიული მოღვაწეობის ორ სხვადასხვა საფეხურს.

განვიხილოთ პირველი ატლასი. როგორც ამ ატლასის თავფურცელზე მოცემული სარჩევიდან მოჩანს, იგი შედგებოდა 8 რუკისაგან; ამჟამად მასში შენახულია 4 მთელი რუკა და მეხუთის ნახევარი.

ატლასის საერთო სათაურია:

„ენითა ლათინთათა საკუთარი სახელი ამისი ტაბულა და ქარტა ანუ ატლასი, ხოლო ქართულად რუკა. ძველითგან ტომობით სამეფოსა ამის ქვეყნისა სახელნი არიან ქართლოსიანი, რომელ არს საქართველო, კვალად მიღებული იბერია ანუ გიორგიანნი. მოხაზული ყოველითავე მთითა, წყლითა, მდინარეტბითა, ქალაქით, ეკლესიით, მონასტრით, დაბით, რაიცა მეხილვა ანუ მნახველთაგან მესმა სხვადასხვა დაბანი. დაუტევე მცოდნემან ხელობის ხალისით, მისწრაფებით მშრომელი რუკისა, მეფოვანი ამისვე ქვეყნისა ვახუშტი. არს რუკასა ამას შინ ფურცელი 8.“

სარჩევში ჩამოთვლილია შემდეგი 8 რუკა:

1. „სამეფოსა ყოვლისა საქართველოსი ანუ იბერიისა ანუ გიორგიისა; სამეფოსა ქართლისა, რანისა, კახეთისა, ჰერეთისა, ლეკისა ანუ დაღისტანისა, მცირისა ყაბარდოსა, მოვაკანისა რომელ არს შირვანი, ოვსეთისა, სვანისა, ალანისა, იმერეთისა, ოდიშ-გურია-აფხაზ-ჯიქთა, ჭანისა ანუ ლაზისა, სამცხე-საათაბაგოსი რომელ არს მესხნი, ვიდრე ტრაპიზონ-კარნუჭალაქად და კარით ანუ ყარსი, მცირე სომხითით რახს შინაგანი რომელ არს არაზი“.

2. „მეორე რუკა არს მოხაზული პირველწოდებული ყოვლისავე აფხაზეთი; განთვითვებით სახელნი არიან: იმერეთი, ოდიში, აფხაზი, ჯიქი, ალანი, სვანი ბასიან-დიგორით, გურია ლაზით ანუ ჭანეთით ვიდრე ზღვად პონტოდ; გარემო მისსა მცირედი სამცხე, ქართლი და ყაბარდი“.

3. „რუკა არს ყოვლისა სამცხე-საათაბაგოსი ანუ მესხთა აზრუმით, ტრაპიზონ-კარით, მცირე წილი აღმოსავლ-ჩდილოთ ქართლი, იმერეთი და გურია.“

4. „რუკა სამეფო ქართლისა დედაქალაქით მცხეთით, დვალთა, თაგაურ-ქურთაულთა, ჭიშტ-ძურძუკ-ღლიღვთა; გარემო ნაწილი კახთა, რანთა, სომხეთთა, ყარს-ჯავახთა, ზემო ქართლით თავისის ქალაქით ტბილისით“.

5. „რუკა კახ-კუხთა, ჰერთა, დიდოთ თუშით, ფშავ-ხევსურეთით დრე გიშადმდე, რომელ არს აწ კახი; გარემო ლეკი, მოვაკანი, რანი და ქართლი მოხაზული.“

6. „რუკა მოვაკანისა რომელ არს შირვანი და ყოვლისა ლეკისა ანუ დაღისტანისა; გარემო რანით, სომხეთით, კახეთით, მდინარით რახსით გინა არაზით.“

7. „რუკა მცირისა სომხეთისა ანუ ირანისა გინა ერმანისა, რანისა, ჩრდილოთ და დასავლეთ კახეთი, ქართლი, ყარსი ვიდრე ვანამდე“.

8. „რუკა კვალად სამცხე-საათაბაგოსი, ვითარცა ზემორე მოხაზულ არს, ეგრეთვე ესეც, ხოლო უმჯობესი იგივე არს.“

როგორც ითქვა, პირველი ატლასიდან ჩვენამდე მოღწეულია $4^1/_2$ რუკა, რომლებიც შეესაბამებიან თავფურცელზე ჩამოწერილი სიის №№ 1, 3, 4, 5 და 6 რუკებს. მათი სათაურები რამდენადმე განსხვავდებიან სარჩევში აღნიშნულისაგან.

1. ატლასის პირველი რუკა შეესაბამება სარჩევის № 1 რუკას. მასზე გამოსახულია ამიერკავკასიის თითქმის მთელი ტერიტორია მასთან მოსაზღვრე თურქეთის, ირანისა და ჩრდილო კავკასიის ნაწილებითურთ (რუკის ფარგლებში ხვდება ვანის ტბის ნაწილი, თალიშის მთები, აფშერონის ნახევარკუნძული, მდ. ვოლგას შესართავი, ქ. ტრაპიზონი, მდ. კაპეტის წყლის (ბზიფის) შესართავი).

აღნიშნული რუკა მხატვრულად და, შეიძლება ითქვას, საკმაო გემოვნებით არის გაფორმებული. შავსა და კასპიის ზღვებში ჩახატულია „კომპასური ვარდები“ (ქვეყნის მხარეთა მაჩვენებელი ნიშანი) რვა ძირითადი რუმბის ჩვენებით და ჩრდილოეთისაკენ მიმართული ისრის წვერით. ასეთი ნიშნები ჩვეულებრივი იყო იმდროინდელ ევროპულ რუკებშიც. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ XVII საუკუნეში შედგენილი არქანჯელო ლამბერტის (სამეგრელო) და ენგელბერტ

კომპერის (აფშერონის ნახევარკუნძული) რუკები, რომლებიც აგრეთვე აღჭურვილია „კომპასური ვარდებით“.

რუკის ზემოთ დახატულია საქართველოს, მასში შემავალი სამეფო-სამთავროების და მეზობელი ქვეყნების გერბები. ყოველ გერბზე გამოსახულია ცხოველი: აფხაზეთის გერბზე თხა, გურიისაზე შველი, ოდიშისაზე ტახი და დროშაზე მჯდომარე მტრედი, იმერეთისაზე ირემი, სომხეთისაზე ლეოპარდი, შირვანისაზე ჯეირანი, დაღისტნისაზე მგელი მთათა შორის, სამცხე-საათაბაგოსაზე ყოჩი, ქართლისაზე ლომი და ხარი, სვანეთისაზე დათვი, რანისაზე ფალანგია ქსელში, ოვსეთისაზე ლეოპარდი მთათა შორის.

ამ რუკის სრული სათაურია:

„აწ ახალი დახაზული სამეფო იბერიისა ანუ ყოვლისა საქართველოსი; კართა ანუ რუკა, რომელ არს ორთა ზღვათა შორის პონტოსა და კასპიასა; ქართლი, სამცხე რომელ არს მესხნი, ოვსი, ძურძუკი, რანი, იმერეთი, ოდიში ანუ მეგრელი, აფხაზი, ჯიქი, გურია, სვანეთი, სომხეთი, კახეთი, შირვანი, ლეკი ანუ დაღისტანი, ყივჩაყი ანუ მცირე ყაბარდო. ჩემ მიერ მოსწრაფედ ხალისით მოსამსახურე თქვენი მეფოვანი ვახუშტი.

ღერძნი ანუ ნიშანნი თვითოთა ამათ კერძთა ზემორე სხენან, 1735 იანვარს 22.“

2. ატლასში შენახული მეორე რუკა შეესაბამება სარჩევის №3 რუკას და, ამგვარად, სარჩევში აღნიშნული №2 რუკა, რომელზეც დასავლეთ საქართველო ყოფილა გამოსახული, დაკარგულად უნდა ჩაითვალოს. მეორე რუკის სათაურია:

„ქარტა ანუ რუკა სამეფოსა ქართლისა ანუ გიორგიასა კერძო სამცხე-საათაბაგო არსნი მესხნი გინა ზემო ქართლი პონტოს ზღვით აზრუმად, ყარსით ან კარით; გარემო მისსა იმერეთთა კერძონი, გურია და ქართლი ვიდრე აბოცამდე ანუ ყაენული. ახლად დახაზული ჩემ მიერვე მშრომელისა მეფოვანი ვახუშტი. წელსა 1735 იანვარს 20.“

3. მესამე შენახული რუკა შეესაბამება სარჩევის № 4 რუკას. მისი სათაურია:

„კარტა ანუ ქართულად რუკა სამეფოსა ქართლისა ყოვლითა საზღვრითა თვისითა, ბერდუჯის მდინარით ვიდრე აბოცით, რომელ არიან დებედა და ყაიყული, დვალეთით, თაგაურ-ქურთაულით, ქიშტ-ძურძუკ-ღლიღვით, გარემო კახი, რანი, სომხეთი, კარი და ჯავახეთი, იმერეთით. მოხაზული მისგანვე მეფოვანი ვახუშტისა, 1735, იანვარს 7.“

რუკა აღჭურვილია პირობითი ნიშნების ვრცელი (32 ნიშნისგან შედგენილი) ახსნით. რუკასთან ერთად, იმავე ფურცელზე მოთავსებულია ქ. თბილისის გეგმა, რომლის სათაურია:

„სახე ტბილისისა ახლად დახაზული ამისვე მხაზველისა, რომელ არს სატახტო ქართლისა. ნიშანნი ციფრით ზემორ წერილი არიან თვითეულად ყოვლისა“.

გეგმის ზემოთ, სპეციალურ პატარა ჩარჩოში, ჩამოწერილია გეგმაზე აღნიშნული ობიექტები.

4. პირველი ატლასის მეოთხე შემორჩენილი რუკა შეესაბამება თავფურცლის სიის № 5 რუკას. მისი სათაურია:

„კარტა ანუ რუკა კახეთისა, კუხეთისა, ჰერეთისა, კანბეჩოვანისა, დიდოსი, თუშთა და ფშავ-ხევსურთა; გარემო მისსა მოხაზული ქართლისა კერძი, რანისა, მოვაკანისა ანუ შირვანისა, დაღისტანისა კულმუხით, გულხადარა, ჰავარ-ჩაჩანი ბორაღანითა. ჩემგანვე მშრომელისა საქართველოს მეფოვანისა ვახუშტის მიერ, წელსა 1735, იანვარს 24.“

5. ატლასის მეხუთე, ნაწილობრივ მოღწეული რუკა შეესაბამება თავფურცლის სიის № 6 რუკას. სათაური:

„კარტა ანუ რუკა ახალდახაზული საუფლო მოვაკანისა, რომელ არს შირვანი თვისითა ხელქვეშეთითა, სამთავრო ბინაღი, რომელ არს შამხალი, ჰავარი, ანდრია, ჩაჩანი, ლეკი, გულხადარა, უცმეი, ყაინაღი, თაბასარანი, ყულმუხი, ყაზიყულმუხი, სრულიად დაღისტანი ვიდრე დიდი ზღვით კასპიით, გარემო მცირე კახეთთა და რანთა კერძონი. ჩემ მიერვე, მეფოვანი ვახუშტი, 1735, იანვარს 29.“

რუკის ზემო (ჩრდილო) ნახევარი მოხეულია და დაკარგულია.

რუკათა მასშტაბები მოცემულია ხაზობრივი ხერხით, სა-

ზელდობრ ყოველი რუკის ჩარჩო დაყოფილია მონაკვეთებად და ზედ წარწერილია მანძილის საზომი ერთეულები. ნახმარია ორგვარი შკალა, რომელთაგან ერთი ემყარება ქართულ-აღმოსავლურ საზომ ერთეულებს (გრადუსის შესაბამისი მონაკვეთი დაყოფილა 17 ეჯად ანუ ფარსანგად) და მეორე რუსულს (გრადუსი დაყოფილია 102 რუსულ ვერსტად). როგორც ქვემოთ ვნახავთ, ვახუშტის პირველი ატლასის ხაზობრივი მასშტაბი რუკათა კარტოგრაფიული საფუძვლის მცდარობის გამო მნიშვნელოვნად განსხვავდება ჰეშმარიტი მასშტაბისაგან. თუ გამოვიანგარიშებთ ატლასში შემავალი რუკების ჰეშმარიტ მასშტაბებს (თანამედროვე ზუსტ რუკებთან შედარების გზით), მივიღებთ შემდეგს:

ცხრილი 1

რუკის № სარჩევით	რუკის სახელწოდება	ჰეშმარიტი მასშტაბი
1	ამიერკავკასია	1 : 1. 400.000—1 : 1.500.000
3	სამცხე-საათაბაგო	1 : 300.000 — 1 : 520.000
4	ქართლის სამეფო	1 : 400.000 — 1 : 560.000
5	კახეთის სამეფო	1 : 620.000 — 1 : 710.000
6	შირვანი	1 : 770.000 — 1 : 870.000

ამრიგად, ამიერკავკასიის მიმოხილვითი (გენერალური) რუკის მასშტაბია 14—15 კილომეტრი ერთ სანტიმეტრში, ხოლო დანარჩენი (კერძო) რუკების მასშტაბები მერყეობენ 3 კილომეტრიდან 9 კილომეტრამდე სანტიმეტრში. იმ ხანისათვის მასშტაბები საკმაოდ დიდია და ეს გარემოება გასაგებად ხდის იმ აღტაცებას, რომლითაც გამოეხმაურენ ქართველი კარტოგრაფის ნაშრომებს ევროპული კარტოგრაფიის მოღვაწენი.

რუკების შინაარსი მრავალფეროვანია: მათზე გამოსახულია ჰიდროგრაფიული ქსელი, რელიეფი (მთები მოცემულია ე. წ. „თხუნელის ზვინების“, ე. ი. პროფილში გამოსახული, ცალმხრივ დაჩრდილული გორაკების სახით), დასახლებული პუნქტები, გზები, საკულტო, სამხედრო და ზოგიერთი საერო ნაგებობა (ეკლესია-მონასტრები, ციხე-სიმაგრენი, სასახლე-

ები); ფერებით ნაჩვენებია პოლიტიკური და საადმინისტრაციო ერთეულები—სამეფოები, სამთავროები, საერისთავოები, სასპასპეტოები. განსაკუთრებით სრულად არის მოცემული მდინარეთა ქსელი და მოსახლეობა.

რაც შეეხება რუკების კარტოგრაფიულ საფუძველს, ე. ი. ადგილთა განედებისა და გრძედების განსაზღვრას, ამ მხრივ ვახუშტის პირველი ატლასი საკმაო სიზუსტეს ვერ იჩენს. პრიმიტიულია რუკების კარტოგრაფიული ბადე (მერიდიანებისა და პარალელების სისტემა), რომელიც ემყარება არა მათემატიკურად აგებულ პროექციას, არამედ სივრცის დაყოფას სწორკუთხედებად, გამოთვლების გარეშე. გეოგრაფიული კოორდინატების ასტრონომიული განსაზღვრები, რომლებზეც დაყრდნობილია ეს ბადე, ტლანქ შეცდომებს შეიცავს და წარმოადგენს მიზეზს იმისას, რომ რუკებზე გამოსახული ტერიტორიის სიდიდე და ადგილთა ურთიერთმდებარეობა მნიშვნელოვნად დამახინჯებულია. მაგალითისათვის შეიძლება აღვნიშნოთ, რომ მიმოხილვითს (№ 1) რუკაზე კავკასიის ყელის სიგანე (ქალაქების ბათუმისა და დარუბანდის შემაერთებელი სწორი ხაზის სიგრძე) 1,7—2-ჯერაა გაზვიადებული, ხოლო სვანეთი და ვოლგას შესართავი მოთავსებულია თანაბარ განედზე (სინამდვილეში მათი განედების სხვაობა 3° აღწევს). საქართველოს ტერიტორია ვახუშტის პირველ ატლასში გადაჭარბებული სივრცით არის წარმოდგენილი.

ტოპოგრაფიული მასალის სისრულე-სიზუსტის მიხედვით, ვახუშტის ორივე ატლასში გამოსახული სივრცის სხვადასხვა ნაწილები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. შეიძლება გავარჩიოთ რუკების უმჯობესი ნაწილი, რომელიც ხასიათდება ტოპოგრაფიული მასალის მნიშვნელოვანი სისრულითა და სიზუსტით და მდარე ნაწილი, რომელიც არსებითს ხარვეზებსა და ცდომილებებს შეიცავს. უმჯობეს ნაწილს მიეკუთვნება ქართლის, კახეთისა და იმერეთის სამეფოთა ძირითადი ტერიტორია, რომლის ფარგლებშიც ჰიდროგრაფია, დასახლებული პუნქტები და რელიეფი დიდი სიზუსტით არის მოცემული; ამ ნაწილში იშვიათად თუ სადმეა გამოტოვებული

შნიშვნელოვანი მდინარე ან სოფელი. სულ სხვაგვარი ხასიათი აქვს კავკასიის დანარჩენი ნაწილების გამოსახულებას, როგორიცაა აფხაზეთი, სამეგრელო, გურია, სამცხე-საათაბაგო, კავკასიონის მაღალმთიანი ზოლი, სომხეთი, აზერბაიჯანი. ჩამოთვლილი რაიონები ვახუშტის რუკებში სქემატურად და ბევრ შემთხვევაში ტლანქი შეცდომებით არის გამოსახული.

ქართლ-კახეთ-იმერეთის გამოსახულებაში შეინიშნება შემდეგი ძირითადი შეცდომები. ტბა, რომელიც გეოგრაფიული მდებარეობით შეესაბამება ყელის ტბას (ვახუშტით „ქნოღოს ტბა"), ჩვენს კარტოგრაფს წარმოდგენილი აქვს პატარა ლიახვის მასაზრდოებლად, სინამდვილეში კი ამ ტბიდან მდ. ქსანი გამოდის. რამდენადმე არაზუსტად არის მოცემული მდინარეების ალგეთის, ქციას ანუ ხრამის, იორისა და ალაზნის მიმართულებანი. ქართლის დასავლეთ ნაწილში გამოსახულია მტკვრის ორ ტოტს შორის მოქცეული არარსებული კუნძული[1], რომელიც სინამდვილეში შეესაბამება მტკვრისა და მისდამი პარალელური მდ. სურამის ფრონის წყალთაშუეთს.

გაცილებით უფრო უხეში შეცდომები გვხვდება დანარჩენი რაიონების გამოსახულებაში. შავი ზღვის სანაპირო ხაზის მოყვანილობა, მაგალითად, გადაჭარბებით კლაკნილად არის მოცემული—ყოველი მდინარე ხმელეთში ღრმად შეჭრილ ყურეს შეერთვის, სინამდვილეში, როგორც ცნობილია, კავკასიის შავი ზღვის ნაპირი სწორხაზოვან ნაპირთა რიცხვს ეკუთვნის და უმნიშვნელო კლაკნილობით განირჩევა (აღსანიშნავია, რომ XV—XVIII სს. ევროპულ რუკებშიც, როგორიცაა გრატიოზა ბენინკაზას 1647 წ. პორტოლანი, ი. მასსას 1633 წ., ჰესელ გერიტსის 1614 წ., ვიტსენის 1687 წ., გომანის 1724 წ., შავი ზღვის ნაპირები ფრიად კლაკნილად არის წარმოდგენილი).

კასპიის ზღვის სანაპირო ხაზი შავი ზღვისაზე უკეთესად არის გამოსახული—საკმაო სისწორით მოცემულია აფშერონის ნა-

---

[1] ზოგიერთი მკვლევარი ვახუშტის ამ შეცდომაზე დაყრდნობით აგებს ჰიპოთეზს აქ ვითომცდა მოხდარი ჰიდროგრაფიული ცვლილებების შესახებ.

ხევარკუნძული, ვოლგას დელტა, კუნძულები, აღნიშნულია სანაპიროზე მდებარე პუნქტები—ბაქუ (ბაქო), სოლახი (სულაკი), წმინდაჯვარი (Крепость святого креста), ქ. თერგი (Терки), ასთრახანი.

ჩრდილო კავკასიის ვაკის ჰიდროგრაფიული ქსელი პირველი ატლასის მიმოხილვითს რუკაზე ტლანქი მიახლოებით არის გადმოცემული. იგივე ითქმის კავკასიონის მთიანეთზეც. განსაკუთრებით უხეში შეცდომებია დაშვებული სვანეთ-აფხაზეთისა და თუშეთ-დაღისტანის მდინარეების მიმართ.

სვანეთ-აფხაზეთის ტერიტორიაზე გამოსახულია დიდი მდინარე, რომელიც სვანეთში იწყება, იერთებს ბასიანიდან (ყაბარდოს მთიანი ნაწილიდან) გამომდინარე წყალს და, მიედინება რა დასავლეთ-ჩრდილო-დასავლეთური მიმართულებით, ჰკვეთს რუკის ჩარჩოს ჩრდილო გვერდს, რის გამოც მისი შესართავი ნაჩვენები არ არის. ეს მდინარე თავისი ზემო წელის მდებარეობით ენგურს შეესაბამება, მისი შუა წელი კი გადაჭიმულია იმ სივრცეზე, რომელიც მდ. ყუბანის აუზს უკავია. როგორც ჩანს, ვახუშტი სვანეთსა და მთიან ყაბარდოს ყუბანის აუზში მდებარედ სთვლიდა. ანალოგიური შეცდომაა კავკასიონის აღმოსავლეთ ნაწილში, სახელდობრ ჩრდილო ფერდობის იმ რაიონებში, რომლებიც თუშეთს აკრავს. თუშეთის ოროგრაფიული აგებულების სქემა რუკაზე სწორად არის მოცემული: გამოსახულია ორი ურთიერთპარალელური ხეობა, რომლებიც მიმართულია ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ და შეესაბამებიან პირიქითისა და გომეწრის ხეობებს. მაგრამ მდინარე, რომელიც თუშეთიდან გაედინება, მცდარად არის წარმოდგენილი: ხსენებული ორი ხეობის მრწყველი მდინარეების შეერთებით თუშეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში წარმოქმნილი მდინარე აღმოსავლეთისკენაა წაყვანილი და შეერთებულია თერგთან (სინამდვილეში, როგორც ცნობილია, თუშეთიდან გაედინება მდ. სულაკის სისტემის ერთ-ერთი შემადგენელი მდინარე ანდის ყოისუ). შეცდომები არის კავკასიონის სხვა რაიონებშიც.

სქემატურია და ხარვეზებით აღსავსე აფხაზეთისა და ოდიშის გამოსახულებანი. ჰიდროგრაფიული ქსელის განხილვისას,

მაგალითად, ყურადღებას იპყრობს ის, რომ მდ. ხობის შემდინარე ჭანის-წყალი წარმოდგენილია შავი ზღვის უშუალო შემდინარედ. ღარიბ ცნობებს იძლევა ატლასი ამ რაიონების დასახლებულ პუნქტებზე. იგივე ითქმის გურიაზეც.

სამცხე-საათაბაგოს ტერიტორიაც ვახუშტის ატლასებში, ქართლ-კახეთ-იმერეთთან შედარებით, არასაკმარისი სიზუსტითაა გამოსახული. განსაკუთრებით ცუდად არის გადმოცემული მდ. ჭოროხის სისტემა, ჭოროხის აუზისა და ჭანეთის მოსახლეობა. უფრო სრული და სწორია მესხეთ-ჯავახეთის გამოსახულება, თუმცა ამ ნაწილშიც დაშვებულია არსებითი შეცდომები, მაგალითად, ჯავახეთის ტბების მიმართ.

სომხეთისა და აზერბაიჯანის ტერიტორია ვახუშტის პირველ ატლასში მთლიანად არის შეტანილი (№ 1 რუკაში). სომხეთისა და აზერბაიჯანის ტერიტორიაზე და თურქეთ-ირანის შეზობელ ნაწილებში აღნიშნულია ქალაქები ერევანი, ეჩმიაძინი, ჯულფა, ნახჩევანი, ანისი, ბაქუ, სალიანი, ჯავათი, შამახია, ბარგუშათი, გულისტანი, შანქორი, ხილხალა, განჯა, ბითლისი, ვანი, ტრაპიზონი, მარანდი, ლაშერა და სხვ., მდ. ეფრატის ზემო წელი, ვანისა და გელაქუნის (სევანის) ტბები, სხვადასხვა მთები, რიგი საქარავნო გზებისა. საქართველოსთან შედარებით, სომხეთ-აზერბაიჯანის გამოსახულება სუსტად არის შესრულებული და მნიშვნელოვან შეცდომებსაც შეიცავს (მაგალითისათვის შეიძლება აღინიშნოს, რომ გელაქუნის ტბიდან მდ. არაქსში ჩამოყვანილია ორი მდინარე: ერთი მათგანი გამოდის დასახელებული ტბის ჩრდ.-დას. კუთხიდან და შეესამამება მდ. ზანგას; მეორე გამოდის იმავე ტბის სამხრ.-აღმ. კუთხიდან და მოედინება ყარაბაღლარისაკენ, — ასეთი მდინარე რეალურად არ არსებობს).

ვახუშტის მ ე ო რ ე ა ტ ლ ა ს ი შედგება 19 რუკისაგან, რომლებთანაც ერთად აკინძულია ორი ფურცელი ბაგრატიონთა სამეფო გვარეულობის გენეალოგიური სქემების გამოსახულებით. ეს ატლასი განირჩევა პირველი ატლასისაგან როგორც კარტოგრაფიული საფუძვლის, ისევე, ნაწილობრივ, ტოპოგრაფიული მასალის მიხედვითაც.

მეორე ატლასში შემავალი რუკების შინაარსი და მასშტაბები ნაჩვენებია ცხრილ 2-ში.

მეორე ატლასის კარტოგრაფიული საფუძველი საგრძნობლად გაუმჯობესებულია პირველ ატლასთან შედარებით. უწინარეს ყოვლისა, მეორე ატლასის რუკები დამყარებულია კონუსურ პროექციაზე, მანძილი მერიდიანებს შორის მცირდება ჩრდილოეთისაკენ. ეჭვს გარეშეა, რომ კარტოგრაფიული ბადე ამ ატლასში მათემატიკური წესით არის აგებული. გეოგრაფიული კოორდინატების ასტრონომიული განსაზღვრები, რომლებიც საფუძვლად უდევს განსახილველ ატლასს, უკვე საკმაო სიზუსტით განირჩევა.

ცხრილი 2

რუკების №№	რუკაზე გამოსახული სივრცე	მასშტაბი
1	კავკასიის ყელი	1 : 2.800 000
2	აღმოსავლ. და სამხრ. საქართველო დას. საქართველოს მცირე ნაწილითურთ	1 : 1.000.000
3	საქართველო	1 : 1.480.000
4	საქართველო	1 : 2.220.000
5	ქართლი „სრული ადი“	1 : 1.965.000
6	შიდა ქართლი ოსეთის, კახეთის, ქვემო ქართლისა და რაჭა-იმერეთის ნაწილებითურთ	1 : 386.000
7	შიდა ქართლი	1 : 398.000
8	შიდა ქართლი	1 : 395.000
9	ქვემო ქართლი ზემო ქართლისა და სამცხის ნაწილებითურთ	1 : 395.000
10	ქვემო ქართლი	1 : 395.000
11	ქვემო ქართლი	1 : 463.000
12	ქვემო ქართლი	1 : 400.000
13	კახეთის სამეფო	1 : 609.000
14	ოსეთი	1 : 270.000
15	სამცხე-საათაბაგო	1 : 610.000
16	იმერეთი, ოდიში და გურია	1 : 605.000
17	იმერეთი	1 : 368.000
18	დას. საქართველო	1 : 610.000
19	ოდიში, აფხაზეთი, აზოვის ზღვისა და ჩრდ. კავკასიის ნაწილები	1 : 1.000.000

კარტოგრაფიული ბადის გაუმჯობესების შედეგია ის გარემოება, რომ ვახუშტის მეორე ატლასი გაცილებით უფრო სწო-

რად გადმოგვცემს ფართობებს და მანძილებს, ვიდრე პირველი (1735 წელს შედგენილი) ატლასი. კავკასიის ყელის სიგანე ბათუმ-დარუბანდის მიმართულებით ამ ატლასის მიმოხილვით (№ 1) რუკაზე მხოლოდ 1,13-ჯერ არის სინამდვილესთან შედარებით გაზვიადებული. საქართველოს სივრცეც მეორე ატლასში ბევრად უფრო ზუსტად არის მოცემული, ვიდრე 1735 წ. რუკებზე.

რაც შეეხება ტოპოგრაფიულ მასალას, განსხვავებანი ატლასებს შორის ამ მხრივაც არის, მაგრამ ეს განსხვავებანი ეხება კავკასიის ტერიტორიის მხოლოდ ზოგიერთ ნაწილს. ვახუშტის რუკების ძირითადი, საუკეთესო ნაწილი, რომელიც მოიცავს ქართლ-კახეთ-იმერეთის ტერიტორიას, ორივე ატლასში თითქმის სავსებით ერთგვარია.

მეორე ატლასის ტოპოგრაფიული შინაარსი განსხვავდება პირველი ატლასისაგან უმთავრესად ჩრდილო კავკასიის, კავკასიონის მთიანეთისა და კასპიის ზღვის სანაპიროების გამოსახულების ხასიათით. ჩრდილო კავკასიის ბარის ჰიდროგრაფიული ქსელისა და კასპიის დასავლეთ ნაპირის გამოსახულება მნიშვნელოვნად შეცვლილი და დაზუსტებულია პირველი ატლასის № 1 რუკასთან შედარებით. რაც შეეხება კავკასიონს, შეუძლებელია ითქვას, თითქოს მეორე ატლასში ამ მთიანეთის გამოსახულება გაუმჯობესებული იყოს პირველ ატლასთან შედარებით. ზოგიერთ შემთხვევაში რუკის შემდგენელი ერთი შეცდომის მოშორებით მეორე შეცდომაში ვარდება. მაგალითისათვის შეიძლება დავახასიათოთ ვახუშტის რუკების ის ნაწილები, რომლებიც წარმოგვიდგენს სვანეთ-აფხაზეთსა და თუშეთ-დაღისტანს.

კავკასიონის დასავლეთ ნაწილში მეორე ატლასის რუკებზე გამოსახულია „კაპეტის წყალი"—არარსებული უზარმაზარი მდინარე, რომლის სათავე მდებარეობს რაჭის საზღვართან; ჰკვეთს რა მთელ სვანეთს, ალანსა და აფხაზეთს, მდინარე შეერთვის ბიჭვინთასთან შავ ზღვას. ამრიგად, „კაპეტის წყალი" თავისი ქვემო წელით შეესაბამება მდ. ბზიფს, ხოლო მისი შუა და ზემო წელი გადაჭიმულია იმ სივრცეზე, რომელიც ფაქტიურად კოდორის, ენგურისა და ცხენის-წყლის ზემო წელებს

უკავიათ. ვახუშტი სავსებით სამართლიანად ამბობს უარს სვანეთის მდინარის დაკავშირებაზე ყუბანსა და ბასიანის მდინარესთან (იხ. ზემოთ პირველი ატლასის აღწერილობა), მაგრამ მეორე შეცდომაში ვარდება, როდესაც სვანეთის მდინარის გაგრძელებად მდ. ბზიფს აღიარებს.

ვერ არის გამოსწორებული თუშეთიდან გამავალი მდინარის მდებარეობაც. მეორე ატლასში ეს მდინარე ჯერ გაედინება თუშეთის სამხრეთ (გომეწრის) ხეობაში სამხრეთ-აღმოსავლეთური მიმართულებით, შემდეგ მოუხვევს თითქმის 180°-ით, მიჰყვება ჩრდილო (პირიქითის) ხეობას ჩრდილო-დასავლეთური მიმართულებით და, ღებულობს რა ჩრდილოეთურ მიმართულებას, შეერთვის თერგს ბორაღანთან. ამგვარად, აღნიშნული მდინარე თავისი ზემო წელით შეესაბამება თუშეთის ალაზანს, შუა წელით პირიქითულ ალაზანს, ხოლო ქვემო წელით შარო-არღუნს.

ნათქვამიდან ჩანს, რომ კავკასიონის ზემონაჩვენები ნაწილების რუკისათვის ვახუშტის ხელთ არ ჰქონია სათანადო ტოპოგრაფიული მასალა. როგორც პირველ, ისევე მეორე ატლასშიც ამ რაიონების გამოსახულება ზეპირ ცნობებსა და ჰიპოთეზურ მოსაზრებებზე უნდა იყოს დამყარებული.

აღნიშნული განმასხვავებელი ნიშნების გამოკლებით, ვახუშტის მეორე ატლასი იმეორებს პირველ ატლასს როგორც ტოპოგრაფიული შინაარსის, ისევე პირობითი ნიშნების მხრივაც. აღსანიშნავია მეორე ატლასის კიდევ შემდეგი თავისებურებანი: მიმოხილვითი (№ 1) რუკა ამ ატლასში მოიცავს უფრო ვრცელ ტერიტორიას, ვიდრე პირველი ატლასის შესატყვისი რუკა, და წარმოადგენს მთელი კავკასიის ყელის გამოსახულებას, — მის ჩარჩოში ხვდება: ჩრდილო-დასავლეთით აზოვის ზღვის აღმოსავლეთი ნაწილი, ჩრდილო-აღმოსავლეთით ვოლგას დელტა, სამხრეთ-აღმოსავლეთით ყიზილ-აღაჯის უბე და აფშერონი, ხოლო სამხრეთ-დასავლეთით ქ. ტრაპიზონი. შავსა და კასპიის ზღვებში ჩახატულია ქვეყნის მხარეთა გასაგები ნიშნები ოთხ კვადრანტად გაყოფილი წრეების სახით (ყოველი კვადრანტი განსაკუთრებული ფერითაა შეღებილი, ისრის წვე-

ტი მიმართულია ჩრდილოეთისაკენ). ატლასის თითქმის ყველა რუკის წარწერებში აღნიშნულია, რომ რუკები მოხაზულია „ახალს პოვნილს უფლის ფელეს მენაკსა ზედა“ (იგულისხმება ფრანგი გეოდეზისტი და ასტრონომი ლუი ფულიე, რომელმაც 1724 წელს დააზუსტა განსხვავება პარიზისა და კანარის არქიპელაგში შემავალი კუნძულ ფეროს გრძედებს შორის).

თავისი მიზანდასახულობის მიხედვით ვახუშტის ორივე ატლასში მოთავსებული რუკები უნდა მიეკუთვნოს, ერთსა და იმავე დროს, ტოპოგრაფიული და ისტორიული რუკების ტიპს. მიმოხილვითი რუკები იძლევა ზოგად წარმოდგენას გამოსახული ტერიტორიის ოროგრაფიაზე, ჰიდროგრაფიასა და პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ დაყოფაზე, ხოლო კერძო რუკებში დაწვრილებით ტოპოგრაფიულ მასალასთან (რელიეფთან, ჰიდროგრაფიასთან, დასახლებულ პუნქტებთან) ერთად ვპოულობთ უხვ ცნობებს საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ დაყოფაზე, ნაგებობებზე და ა. შ. შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს ვახუშტი თავისი ატლასების შედგენისას წმინდა გეოგრაფიულ, ან წმინდა ისტორიულ მიზანს ისახავდა; ქართველი მეცნიერის კარტოგრაფიულ მუშაობაში ეს ორივე ამოცანა თანაბარი ყურადღებით სარგებლობდა.

ვახუშტის რუკებმა, რომლებიც XVIII საუკუნის 30-იანი წლების ბოლოში მოევლინენ მსოფლიო კარტოგრაფიას, ცხოველი გამოხმაურება ჰპოვეს იმდროინდელი მეცნიერული წრეების მხრივ. პირველი სიტყვა ამ მხრივ ეკუთვნოდა პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიული დეპარტამენტის ეფროსს იოსებ დელილს, რომელიც დაახლოებით 1737 წელს დაუკავშირდა ქართველ კარტოგრაფს. დელილმა, შეაფასა რა ღირსეულად ქართული რუკები, საჭიროდ ცნო მათი თარგმნა რუსულ და ფრანგულ ენებზე რუსეთის იმპერიის გეოგრაფიული ატლასის შესავსებად. ვახუშტის დახმარებით დელილმა კიდევაც შეასრულა თავისი განზრახვა და ამით ქართველი მეცნიერის ნაშრომები ხელმისაწვდომი გახადა რუსი და დასავლეთ-ევროპელი კარტოგრაფებისათვის. იმდროინდელმა საზოგადოებრიობამ მაღალი შეფასება მისცა ვახუშტის კარტოგრაფიულ ნაშრომებს: „შეიძლება დავასკვნათ,

რომ რუკა, რომელსაც დელილი საზოგადოების ყურადღებას თავაზობს, სავსებით იმსახურებს ამ ყურადღებას. რუკაზე ზუსტადაა ნაჩვენები დასახლებული პუნქტების შეფარდებითი განლაგება; დეტალობა, რომელიც რუკაზეა მოცემული, დაეხმარება საქართველოს შესწავლას უფრო ზუსტად ვიდრე აქამდე. ეს რუკა უბრალო ცნობისმოყვარეობის საგანი არაა. გამოქვეყნებული რუკა არის პირველი ნაბიჯი, თუ შეიძლება ასე ითქვას... რუკის დეტალობის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ მისი ავტორი არაა მოკლებული ნიჭს და ცოდნას... დიდი მიღწევაა XVIII საუკუნეში დაიხაზოს აზიის მჭიდროდ დასახლებული ნაწილის ასეთი რუკა... თუ ეს რუკა, რომელსაც დელილი აქვეყნებს, აღუძრავს საზოგადოებას ცნობისმოყვარეობას, შეიძლება დავითანხმოთ იგი გამოაქვეყნოს დანარჩენი ექვსიც. ამ რუკებზე საზოგადოება დაინახავს მეტად საინტერესო დეტალებს და შეუძლია ჩათვალოს, რომ მან ისევე კარგად იცის საქართველოს გეოგრაფია, როგორც საფრანგეთისა"[1].

ვახუშტის რუკებს ჭებით იხსენიებდა ლეიპციგის გაზეთიც, რომლის ფურცლებზეც 1737 და 1739 წლებში ლაპარაკი იყო „ტფილისელი პრინცის მიერ შედგენილ კავკასიის მთების შვენიერ რუკებზე"[2].

ი. დელილის მიერ თარგმნილ იქნა ვახუშტის პირველი ატლასი. არ დარჩენილა შეფასების გარეშე არც მეორე ატლასი, რომლის სათარგმნელადაც ვახუშტი მიწვეული ყოფილა რუსეთის არმიის შტაბში. ქვემოთ ნაჩვენები იქნება, რომ ორივე ატლასის თარგმანები საფუძვლად დაედო მთელ რიგს რუკებისას, რომლებიც XVIII საუკუნეში შედგენილ იქნა რუსეთსა და დასავლეთ ევროპაში.

ვახუშტის ნაშრომთა წყაროები

ვახუშტის გეოგრაფიული და კარტოგრაფიული შემოქმედების წყაროების, ე. ი. შესაბამის ნაშრომთა წარმოშობის საკითხი მ. ბროსედან დაწყებული ყოველთვის იპყრობდა მკვლე-

---

[1] ირ. მ ა თ უ რ ე ლ ი. ახალი მონაცემები ვახუშტი ბაგრატიონის რუკების შესახებ. „მეცნიერება და ტექნიკა", 1952, № 10, გვ. 15.

[2] М. Б р о с с е. О бумагах астронома Делиля, 1865, გვ. 6.

ვართა ყურადღებას. ამ საკითხის დამუშავება ემყარებოდა, ერთის მხრივ, ვახუშტის მოღვაწეობასთან დაკავშირებული დოკუმენტალური მასალების გამოვლინებას და, მეორე მხრივ, თვით ვახუშტის ნაშრომთა ანალიზს. მნიშვნელოვანი მუშაობაა ჩატარებული ამ მიმართულებით მ. ბროსეს, მ. ჯანაშვილის და ივ. ჯავახიშვილის მიერ; განსახილველ საკითხს ეხებიან აგრეთვე ი. სტებნიცკი, ე. თაყაიშვილი, ა. ხახანაშვილი და სხვ. ბოლო ხანებში ვახუშტის გეოგრაფიულ და კარტოგრაფიულ ნაშრომთა წარმოშობის საკითხებზე მუშაობდნენ ალ. ჯავახიშვილი, ირ. მათურელი და სხვანი.

მიუხედავად ჩატარებული კვლევისა, ვახუშტის გეოგრაფიული და კარტოგრაფიული ნაშრომების წარმოშობასთან დაკავშირებულ საკითხებს შორის ზოგიერთი ჯერ კიდევ გადასაწყვეტია. ეს შეეხება უმთავრესად რუკებს და, კერძოდ, მათს ტოპოგრაფიულ მასალას, რომლის წარმოშობაც ნაწილობრივ სიბნელეშია მოცული.

ვახუშტის გეოგრაფიული თხზულება დამყარებულია სხვადასხვა სახის მასალებზე, რომელთა შორის შეიძლება გავარჩიოთ: ა) კარტოგრაფიული, ბ) ნაბეჭდი ლიტერატურული, გ) ხელნაწერი, დ) ვახუშტის პირადი დაკვირვებით მოპოვებული და ე) ზეპირი ცნობების საფუძველზე შეგროვებული მასალები.

კარტოგრაფიულ მასალას „საქართველოს გეოგრაფიული აღწერის“ შედგენისას მნიშვნელოვანი როლი უნდა შეესრულებინა, რამდენადაც რუკების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა სრული, ადგილთა ბუნებრივი თანამიმდევრობის ზუსტი დაცვით შედგენილი ტოპოგრაფიული აღწერილობის გება. მართლაც, თხზულების ტექსტიდან ბევრგან აშკარად მოჩანს, რომ იგი რუკის მონაცემებს მიჰყვება. საქართველოსა და მასთან მოსაზღვრე მხარეების ტერიტორიის ზოგიერთი ნაწილის აღწერილობა ვახუშტის თხზულებაში თითქმის მხოლოდ კარტოგრაფიულ მონაცემებს ეყრდნობა, მათს წერილობითს თხრობას წარმოადგენს.

ნაბეჭდი ლიტერატურის გამოყენების კვალი „საქართველოს გეოგრაფიულ აღწერაში“ აშკარად ჩანს, მაგრამ აღწერილობითი მასალის ეს წყარო თხზულების ძირითად გეოგრაფიულ ბირთვს თითქმის არაფერს ჰმატებს, არამედ ემსახურება ავტორის ისტორიულსა და ტოპონიმიკურ წიაღსვლებს. ვახუშტის თავის თხზულების ტექსტში მოჰყავს ციტატები: იტალიელი ისტორიკოსის ბარონიუსის თხზულებიდან, რომელსაც იგი იცნობდა პეტერბურგში 1719 წელს დაბეჭდილი რუსული თარგმანის მიხედვით, ფრანგი მოგზაურის ჟან შარდენის წიგნიდან (ავტორის დაუსახელებლად) და ა. შ. ლიტერატურული წყაროების ციტირების ყველა შემთხვევაში ჩვენი გეოგრაფი იყენებს მათ მხოლოდ ისტორიოგრაფიული მიზნით და გეოგრაფიულ სახელწოდებათა წარმოშობის განმარტებისათვის.

ვახუშტის თავისი გეოგრაფიული თხზულების შესადგენად მნიშვნელოვანი რაოდენობით აქვს გამოყენებული ქართული ხელნაწერი მასალები. თხზულების ამ წყაროთა გამორკვევის ზაზით უკვე ბევრია გაკეთებული ჩვენი ისტორიკოსების მიერ. დიდი გავლენა მოუხდენია ვახუშტის შეხედულებებზე ქართველი ხალხის ისტორიის მატიანეთა კრებულს „ქართლის ცხოვრებას“, რაც თხზულების ტექსტში გამოვლინებულია როგორც ისტორიული წიაღსვლების დროს, ისევე გეოგრაფიული ნომენკლატურის მიმოხილვა-დასაბუთებისას. ვახუშტი ზშირად სარგებლობს, მაგალითად, ლეონტი მროველის, ჯუანშერისა და სხვა მემატიანეთა თხზულებებში ჩაქსოვილი გეოგრაფიული ცნობებით. „ქართლის ცხოვრებისავე“ ცნობებზე დაყრდნობით მას თავის მეორე ატლასში გამოსახული აქვს საქართველოს პოლიტიკური დაყოფა ისტორიულ წარსულში. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ვახუშტის ეთნოლოგიური კონცეპცია, მისი წარმოდგენა კავკასიის მოსახლეობის შემადგენლობასა და წარმოშობაზე ლეონტი მროველის თვალსაზრისზეა დამყარებული.

სხვა ხელნაწერი მასალებიდან, რომელთა გამოყენების კვალიც „საქართველოს გეოგრაფიულ აღწერაში“ ნათლად

ჩანს, უნდა აღინიშნოს თვით ვახუშტის მონაწილეობით ქვემო ქართლში ჩატარებული სტატისტიკური აღწერის დავთარი, ვახტანგ მეექვსის „დასტურ-ლამალი“, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი და სხვ.

ვახუშტის გეოგრაფიული თხზულების ბირთვს, კარტოგრაფიულ მასალასთან ერთად, სარჩულად პირადი დაკვირვებები და მის მიერ ადგილთა მცოდნე პირებს შორის შეკრებილი ზეპირი ცნობები უდევს. ეს დაკვირვებები ვახუშტის ჩატარებული აქვს 1724 წლამდე, საქართველოს ტერიტორიაზე და საქართველოდან ჩრდილო კავკასიის გავლით რუსეთისაკენ მოგზაურობისას. ზეპირი ცნობების გროვება ჩვენს გეოგრაფს შეეძლო რუსეთში ყოფნის დროსაც, ვახტანგ VI-ის ემიგრაციის მრავალრიცხოვან მონაწილეთა შორის.

პირად დაკვირვებებსა და ადგილობრივ მცხოვრებთაგან მიღებულ ცნობებზე აქვს აგებული ვახუშტი ბაგრატიონს თავისი გეოგრაფიული შეხედულების ყველაზე საინტერესო და ორიგინალური ნაწილი. ისეთი საყურადღებო ცნობები, როგორიცაა, მაგალითად, მდ. ქციას კანიონის მორფომეტრიული დახასიათება, მდ. მტკვრის კლაკნილობის დაკავშირება ადგილის მოვაკებულობასთან, სამშვილდესთან არსებული მაგმური კვარცის კრისტალების ფორმა, კავკასიონის გლეტჩერული ყინულის სისქე და ფერი, საბა-წმინდისა და ხორხების ბუნებრივ ორმოებში ზაფხულობით ყინულის არსებობა, თბილისის რაიონში ქარიანი ამინდის წინასწარმეტყველების შესაძლებლობა კუხეთის მთაზე (საგურამოს ქედზე) ღრუბლების გამოჩენის მიხედვით, ჯიხვისა და შურთხის თავისებური სიმბიოზი, მთიელთა სოფლების მდებარეობა თხემებზე ზვავსაშიშროების აცილების მიზნით და ა. შ. „საქართველოს გეოგრაფიულ აღწერაში“ სწორედ ამ გზითაა შესული.

დაბოლოს, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ვახუშტის მიერ შესანიშნავად დახატული სურათი საქართველოს ტერიტორიაზე გეოგრაფიულ საგანთა და მოვლენათა განაწილებისა, რომელიც თანმიმდევრულად ანგარიშს უწევს ვერტიკალური გეოგრაფიული ზონალობის კანონზომიერებას, ემყა-

რება თხზულების ავტორის პირად შთაბეჭდილებებს და ქართველი ხალხის ზეპირ სიბრძნეს, რასაც ჩვენი მეცნიერი ვერც ლიტერატურასა და ვერც რუკებში ვერ იპოვიდა.

ვახუშტის კარტოგრაფიული ნაშრომების წარმოშობის განხილვისას ანგარიში უნდა გაეწიოს, უპირველესად ყოვლისა, რუკების კარტოგრაფიული საფუძვლისა და ტოპოგრაფიული მასალის განსხვავებული წარმოშობის ალბათობას და აგრეთვე განსხვავებას პირველ და მეორე ატლასებს შორის.

დავიწყოთ რუკების კარტოგრაფიული საფუძვლიდან. ვახუშტის ატლასების აღწერისას ზემოთ უკვე ითქვა იმის შესახებ, რომ ამ თვალსაზრისით პირველ და მეორე ატლასებს შორის არსებით განსხვავებას აქვს ადგილი, — პირველი ატლასის კარტოგრაფიული საფუძველი გაცილებით უფრო პრიმიტიული, ტლანქი და მცდარი არის, ვიდრე მეორისა. მეორე ატლასში კარტოგრაფიული საფუძველი მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულია, რაც შესაბამის გავლენას ახდენს მანძილებისა და ფართობების გადმოცემის სიზუსტეზე. აქედან ცხადი ხდება, რომ ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიული ატლასების კარტოგრაფიული საფუძველი განსხვავებულ მასალებს ემყარება.

პირველი ატლასის კარტოგრაფიული საფუძვლის წარმოშობას შუქს ჰფენს იოსებ დელილის მიერ ვახუშტის ამ ატლასში შემავალი რუკების ფრანგულად თარგმნასთან დაკავშირებული საბუთები, რომლებიც დაცულია საბჭოთა კავშირის გეოგრაფიული საზოგადოების არქივში (ლენინგრადი) და რომლებიც პირველად მ. ბროსემ აღწერა (ბოლო ხანში მათ შეეხო ირ. მათურელი). ერთ-ერთი საბუთის მიხედვით ირკვევა, რომ ვახუშტი თავისი რუკების პირველი სერიის გაფორმებისას „სიგძე-განის მენაკისა და წამის საცნობელად“, ე. ი. პუნქტების გეოგრაფიული კოორდინატების გასარკვევად სარგებლობდა „ლანჭარტებით“, სპარსული „ზიჯით“, „ევროპული და ბერძნული“ ცნობებით, „რომელიც ჩვენს ლექსიკონში არის“ და ბოლოს თვით ვახუშტის მიერ „ნაპოვნით ზოგი გაზომით და ზოგი აღაჯობით ერთმანეთისაგან“. აქედან ნა-

თელია, რომ განსახილველი ატლასის კარტოგრაფიულ საფუძველს რთული, სინთეზური წარმოშობა აქვს, რომ ეს საფუძველი სხვადასხვა წყაროებს ემყარება. საჭიროა განიმარტოს ამ წყაროების რაობა.

„ლანქარტებად“ ანუ, უფრო სწორედ, „ლანდკარტებად“ ვახუშტი გულისხმობს მის ხანაში არსებულ ევროპულ გეოგრაფიულ რუკებს და, ამრიგად, კოორდინატების ნაწილი ჩვენს კარტოგრაფს გამოქვეყნებული რუკებიდან აქვს ამოკრეფილი.

„სპარსულ ზიჯად“ ნაგულისხმევია XV საუკუნის სამარყანდელი ასტრონომის ულუღ-ბეგის თხზულება „ზიჯ-ი-გურაგანი“, რომელიც, სხვათა შორის, გეოგრაფიული კოორდინატების ტაბულებსაც შეიცავს. ეს თხზულება ვახტანგ VI-მ სპარსულიდან ქართულად თარგმნა ირანში ყოფნის დროს, თარგმანის ხელნაწერი ამჟამად საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში ინახება. ცხადია, რომ ეს თარგმანი ვახუშტისათვის ხელმისაწვდომი იქნებოდა.

„ჩვენ ლექსიკონად“, რომლიდანაც ვახუშტის „ევროპული და ბერძული“ მონაცემები ამოუღია, უნდა იგულისხმებოდეს სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი, ანუ „სიტყვის კონა“, რომელშიც 250-ზე მეტი ქალაქის სახელწოდებასთან ერთად მათი განედი და გრძედიც არის მოცემული.

კოორდინატების უკანასკნელ ჯგუფს შეადგენენ ადგილზე გაზომილი მანძილების მიხედვით გამოთვლილი კოორდინატები და აგრეთვე ასტრონომიული განსაზღვრები, რომლებიც თვით ვახუშტის მიერ ყოფილა შესრულებული. ეს უკანასკნელი ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს ჩვენი მეცნიერის დაინტერესებას კვლევითი მუშაობით ჯერ კიდევ სიჭაბუკის პერიოდში, რუსეთში გადასახლებამდე.

მეორე ატლასის შედგენისას ვახუშტის ხელი აუღია თავისი პირველი ატლასისათვის გამოყენებულ კარტოგრაფიულ მონაცემებზე და მიუმართავს ახალი წყაროებისათვის. ამ უკანასკნელთა სიზუსტეს უნდა მიეწეროს მეორე ატლასის უპირატესობა პირველთან შედარებით, რაზეც ზემოთ უკვე იყო თქმული. ამ ახალ წყაროებად ჩვენ გვევლინება რუსეთის ას-

ტრონომების მიერ შავი და კასპიის ზღვების ნაპირებზე და ჩრდილო კავკასიის ბარში XVIII ს. პირველ ნახევარში ჩატარებული განსაზღვრები, რომლებიც შესრულებულ იქნა ი. დელილის საერთო ხელმძღვანელობით და რომელთა შესახებ მასალები პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიულ დეპარტამენტში იყო თავმოყრილი. ამ მოსაზრებას აღასტურებს ვახუშტის მეორე ატლასის კარტოგრაფიული ბადის მსგავსება აღნიშნული დეპარტამენტის მიერ 1745 წელს გამოცემული „რუსეთის ატლასის“ («Атлас Российской») ბადესთან. რამდენადაც ვახუშტის მეორე ატლასის გაფორმება ქრონოლოგიურად უსწრებდა დეპარტამენტის ატლასის დაბეჭდვას, უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენი კარტოგრაფი გამოუქვეყნებელი მასალებით სარგებლობდა.

საყურადღებოა, რომ 1745 წ. „რუსეთის ატლასში“, ისევე როგორც ვახუშტის ახალი ატლასის რუკებში, ხაზგასმულია იმ შესწორების გათვალისწინება, რომელიც იქნა შეტანილი ჯრძედების გამოთვლის წესებში ლუი ფელიეს გაზომვების საფუძველზე (იხ. ზემოთ). როგორც ცნობილია, ლ. ფელიემ დავალება ფეროს კუნძულის გრძედის დაზუსტების შესახებ მიიღო საფრანგეთის ასტრონომიული დეპარტამენტის დირექტორის, პარიზის მეცნიერებათა აკადემიის წევრის გილიომ დელილისაგან, რომელიც რუსეთში მომუშავე ი. დელილის ძმა იყო. ვახუშტის მიერ ლ. ფელიეს მოხსენიება ზედმეტ საბუთს გვაწვდის იმის დასადასტურებლად, რომ ვახუშტის მეორე ატლასის კარტოგრაფიული საფუძველი რუსეთის გეოგრაფიული დეპარტამენტის მასალებთან არის დაკავშირებული.

ამრიგად, ვახუშტი ბაგრატიონმა თავისი მეორე გეოგრაფიული ატლასის შედგენისას ანგარიში გაუწია პირველ ატლასში გამოყენებული კარტოგრაფიული მონაცემების მოძველებულობას და რუკების გაუმჯობესების მიზნით კავშირი დაამყარა რუსეთის სათანადო დაწესებულებასთან, საიდანაც მიიღო ახალი, დაზუსტებული მასალები.

გადავიდეთ ვახუშტი ბაგრატიონის რუკების ტოპოგრაფიული შინაარსის წარმოშობის საკითხზე. როგორც წინა თავში იყო აღნიშნული, ტოპოგრაფიული მონაცემების მიხედვითაც ჩვენი კარტოგრაფის პირველსა და მეორე ატლასებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაა. შეგვიძლია გავარჩიოთ რუკების ძირითადი ტოპოგრაფიული ბირთვი, რომელიც მეტი სიზუსტით ხასიათდება და ორივე ატლასში თითქმის ერთნაირადაა წარმოდგენილი ამ ბირთვის შემავსებელი ტოპოგრაფიული მასალა, რომელიც ნაკლებ სისრულე-სიზუსტეს ავლენს და ატლასებში განსხვავებულად არის მოცემული. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ვახუშტის რუკების ამ ორი ძირითადი ელემენტიდან პირველი ანუ უმჯობესი მოიცავს ქართლ-კახეთ-იმერეთის სამეფოთა ტერიტორიას, ხოლო მეორე (ნაკლებ სრული) კავკასიის დანარჩენ ნაწილებს. ზემოხსენებული ელემენტების წარმოშობა მიზანშეწონილია განცალკევებით იქნეს განხილული.

ვახუშტის რუკების პირველი ელემენტის ანუ ძირითადი ბირთვის წარმოშობის დასადგენად მთავარი მნიშვნელობა აქვს, ერთის მხრივ, რუკების ანალიზს, რაც საშუალებას იძლევა გამოირკვეს მათი შედგენის მეთოდიკა და ტექნიკა, და, მეორე მხრივ, ზოგიერთ წერილობითს საბუთს, რომლებიც მიგვითითებენ რუკების საფუძვლად დაგებული ტოპოგრაფიული მასალის მოპოვების ინიციატორთა ვინაობაზე.

ლიტერატურაში გამოთქმული იყო აზრი (ი. სტებნიცკის მიერ), თითქოს ვახუშტის რუკა არ ემყარება აგეგმვებს. ეს შეხედულება მთლიანად სწორი არ არის. ადვილი გასაგებია, რომ ქართლ-კახეთ-იმერეთის რუკა, რომელშიც მრავალ ასეულ დასახლებულ პუნქტს და მდინარეს თავიანთი ადგილები აქვს მიჩენილი, არ შეიძლება თვალდათვალ ან ზეპირი ცნობების მიხედვით ყოფილიყო შედგენილი. როგორც უკვე იყო აღნიშნული ჩვენ მიერ (1948 წ.), ვახუშტის რუკათა ტოპოგრაფიული შინაარსის საფუძველზე ირკვევა, რომ ეს რუკები თავის უმჯობეს ნაწილში დამყარებულია თვალზომური, კომპასისა და საათის დახმარებით შესრულებული აგეგმვის სკლებზე და

რომ ქართლ-კახეთ-იმერეთის ტერიტორიისათვის ამ სვლების ქსელის სიხშირე უფლებას გვაძლევს ვილაპარაკოთ თანმიმდევრულად განხორციელებულ ფართობულ ანუ მოედნურ აგეგმვაზე. ამრიგად, ჩვენი კარტოგრაფის რუკების ძირითად ბირთვს შეადგენს საქართველოს ტერიტორიაზე ჩატარებული ტოპოგრაფიული აგეგმვები, რომლებიც ყველა მნიშვნელოვანი მდინარის გასწვრივ ყოფილა შესრულებული.

რაც შეეხება აგეგმვების ხელმძღვანელ-შემსრულებელთა ვინაობას, ამ საკითხის გასაშუქებლად ჯერჯერობით საკმარისი დოკუმენტური მასალა არ არის გამოვლინებული. ერთი რამ არის ცხადი, რომ საქართველოს რუკების შედგენის საქმეში ვახუშტის ჰყავდა წინამორბედები სულხან-საბა ორბელიანისა და ვახტანგ VI-ის სახით და რომ კერძოდ ვახტანგს დიდი დამსახურება მიუძღვის ამ დარგში. ეს გამომდინარეობს ი. დელილის საქმეებში (იხ. ზემოთ) დაცული ერთ-ერთი საბუთიდან, რომელიც ირ. მათურელის მიერ იქნა გამოქვეყნებული (1952), და რომელშიც ნათქვამია შემდეგი: „ვახტანგი თავისი ზოგადი რუკის შედგენისას სარგებლობდა ბ. გარბეკის გილანის რუკით, ხოლო სომხეთისათვის ბ. ფლომრნის რუკით... მეფეს აინტერესებდა ასტრონომია,[1] მან მოახდინა დაკვირვებანი განედის განსაზღვრისათვის თბილისში, ერევანში, განჯაში, ქუთაისში, აღსტაფაში პატარა ასტროლაბიით, რომელიც დამზადებული იყო ისფაჰანში. მისი დიამეტრი ერთ ფუტზე ნაკლები იყო. ეს დაკვირვებანი მოსკოვში ინახება". თუმცა უშუალო მითითება ქართლ-კახეთ-იმერეთის ტოპოგრაფიული აგეგმვის დროსა და შემსრულებლებზე ჯერ არ ყოფილა აღმოჩენილი, მაინც დაბეჯითებით შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ეს აგეგმვა ვახტანგ VI-ის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი უნდა ყოფილიყო. საფიქრებელია, რომ ვახტანგი და მისი თანამოაზრენი სამხედრო ლაშქრობების, დიპლომატური და სხვა მიზნებით მოგზაურობების, სტატის-

[1] ვახტანგის დაინტერესებას ასტრონომიით ადასტურებს მიქელ თამარაშვილის მიერ გამოქვეყნებული ერთ ერთი საბუთიც, რომლის თანახმადაც ქართლის მეფე ასტრონომიის გაკვეთილებს ღებულობდა თბილისში მცხოვრები იტალიელი კათოლიკე მისიონერებისაგან (მ. თამარაშვილი, გვ. 339).

ტიკური აღწერის ჩატარების დროს აწარმოებდნენ თვალზომურ აგეგმვებსაც. ვახუშტის უშუალო მონაწილეობა აგეგმვაში საგულვებელია, თუმცა მისი დამტკიცება ჯერედ შეუძლებელი არის.

რაც შეეხება ვახუშტის რუკების ტოპოგრაფიული მასალის მეორე (ნაკლებ ხარისხოვანი) ნაწილის წარმოშობას, შეიძლება ითქვას შემდეგი. ქართლ-კახეთ-იმერეთის ტერიტორიის ფარგლებს გარედ მდებარე მხარეების გამოსახულების შესადგენად ჩვენი კარტოგრაფი სარგებლობდა სხვადასხვა გამოქვეყნებული რუკებით („ლანქარტებით“). მეორე ატლასში კასპიის ზღვის სანაპიროსა და ჩრდილო კავკასიის ჰიდროგრაფიული ქსელის გამოსახულების მეტი სიზუსტე პირველ ატლასთან შედარებით საფუძველს იძლევა იმის დასადგენად, რომ ვახუშტის თავისი რუკების მეორე სერიის შედგენისას უნდა ესარგებლა XVIII ს. პირველ ნახევარში რუსი კარტოგრაფების ზიერ აღნიშნულ მხარეებში ჩატარებული აგეგმვების შედეგებით და, კერძოდ, ფ. სოიმონოვის ნაშრომებით (როგორც ცნობილია, ფ. სოიმონოვის, ვან-ვერდენისა და სხვა მკვლევრების აგეგმვათა მიხედვით შედგენილი გაუმჯობესებული რუკა კასპიის ზღვისა რამდენიმეჯერ იქნა გამოქვეყნებული 1720 — 1763 წწ. პერიოდში).

თუ მოკლედ შევაჯამებთ ვახუშტის გეოგრაფიული და კარტოგრაფიული ნაწარმოებების წარმოშობის შესახებ ზემომოყვანილ მონაცემებს, მივალთ იმ დასკვნამდე, რომ აღნიშნული ნაშრომები წარმოადგენს სხვადასხვა მასალების მეცნიერული სინთეზის შედეგს. ვახუშტის, როგორც მშობლიური ქვეყნის მკვლევარს, თვით საქართველოშივე ჰყავდა წინამორბედები და მათ შორის სულხან-საბა ორბელიანი და ვახტანგ VI, რომელთა შესატყვის ნაშრომებსაც იგი ეყრდნობოდა თავისი თხზულებისა და რუკების შედგენისას. ამასთან ერთად, ჩვენს გეოგრაფს გამოყენებული აქვს რუსეთის, დასავლეთ ევროპისა და მაჰმადიანური აღმოსავლეთის მეცნიერ-მკვლევართა ნამუშევრებიც.

ვახუშტის გეოგრაფიული და კარტოგრაფიული ნაშრომების ადგილი კავკასიის შესწავლის ისტორიაში და მათი თანამედროვე მნიშვნელობა

ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიული თხზულებისა და რუკების მიერ კავკასიის შესწავლაში შესრულებული როლის შეფასებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ერთი გარემოება, რომელიც ამ ამოცანას საგრძნობლად აძნელებს. ვახუშტის ნაშრომების აღიარებული მნიშვნელობა და მათი ფაქტობრივი ადგილი ჩვენი ქვეყნის გეოგრაფიულ შესწავლაში გაცილებით ნაკლებია მათს პოტენციალურ ღირებულებაზე, ე. ი. იმ როლზე, რომლის შესრულებაც მათ შეეძლებოდათ დროულად გამოყენების შემთხვევაში.

კავკასიის შესახებ გეოგრაფიულ შეხედულებათა განვითარებაში დაკავებული ადგილის მიხედვით ვახუშტის ნაშრომების ბედი სხვადასხვაგვარი გამოდგა. შედარებით უფრო ხელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ მისი კარტოგრაფიული ნაწარმოებნი, რომელთაც დროულად პოვეს შეფასება და გამოყენება. რაც შეეხება „საქართველოს გეოგრაფიულ აღწერას", ამ თხზულებას ვერ ეღირსა დამსახურებული ბედი.

ქართველი მეცნიერის გეოგრაფიული თხზულება მთელი საუკუნის განმავლობაში თითქმის უცნობი იყო კავკასიით დაინტერესებული მკვლევრებისათვის და არ ყოფილა რომელიმე ევროპულ ენაზე თარგმნილი. თავისი თარგმნისა და გამოქვეყნების დღისათვის (1842 წ.) იგი უკვე მოძველდა XVIII ს. მეორე ნახევარში და XIX ს. პირველ ნახევარში კავკასიის გეოგრაფიული შესწავლის ინტენსიურ მსვლელობასთან დაკავშირებით. საჭიროა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ ვახუშტის ნაშრომის დაწერისა და გამოქვეყნების მომენტებს შორის მოქცეულ შუალედში კავკასიას იკვლევდნენ მრავალრიცხოვანი უცხოელი მოგზაურები (გილდენშტედტი, პალასი, დიუბუა დე მონპერე, პაროტი, ნორდმანი, კოხი და სხვ.) და მათი მუშაობით ნაწილობრივ განმეორებულ იქნა ის, რაც უკვე გაკეთებული იყო ვახუშტის მიერ. ამრიგად, ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიული თხზულება, რომელიც თავისი ეპო-

ქის პირობების მიხედვით, რიგი ღირსებებით იყო აღჭურვილი, მექანიკურად ამოვარდა კავკასიაზე გეოგრაფიულ შეხედულებათა განვითარების ერთობლივი პროცესიდან.

ვახუშტის რუკებმა ავტორის სიცოცხლეშივე პოვეს დამსახურებული შეფასება, რაზეც უკვე იყო თქმული მათი აღწერისას. ვახუშტის სიცოცხლეშივე და შემდეგაც მის რუკებს და მათს თარგმანებს ეყრდნობიან მთელი რიგი კარტოგრაფიული შრომების ავტორები. ამ ფაქტების დადგენა უშუალოდ საბუთების საფუძველზე ყოველთვის არ ხერხდება, — ხშირად საჭირო ხდება რუკების შინაარსის ანალიზი იმ ნიშნების გამოვლინების მიზნით, რომლებიც მოწმობენ ამა თუ იმ რუკის კავშირს ვახუშტის რუკებთან.

ამ გზით ირკვევა, რომ ვახუშტის რუკების პირველი სერიის ფრანგული თარგმანი, შესრულებული ი. დელილის მიერ 1737-38 წლებში, და მეორე სერიის რუსული თარგმანი, რომელიც შესრულებულ იქნა რუსეთის არმიის შტაბში, საფუძვლად უდევს რუსეთსა და დასავლეთ ევროპაში XVIII ს. განმავლობაში დამზადებულ და ნაწილობრივ გამოცემულ რუკათა საქართველოს შესახებ ნაწილს.

ვახუშტის პირველი (1735 წ.) ატლასიდან წარმოდგება საქართველოს კარტოგრაფიული გამოსახულება შემდეგ რუკებში:

1. რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მიერ 1745 წელს გამოცემული „Атлас Россійской“-ს ზოგიერთი ფურცელი. კერძოდ, რუსეთის იმპერიის ზოგადი რუკა და XI რუკა იძლევიან უეჭვო ნიშნებს იმისას, რომ საქართველოს ტერიტორიის გამოსახულება მათში ვახუშტის პირველი ატლასიდან მომდინარეობს. განსაკუთრებით საყურადღებოა ამ მხრივ XI რუკა, რომელიც გამოსახავს სამხრეთ რუსეთსა და კავკასიის ნაწილს.

ამ რუკის სათაურია: «Положение мест между Черным и Каспийским морями, представляющее Кубань, Грузинскую землю и достальную часть реки Волги с ея устьем». ამავე რუკის შესახებ ატლასის სარჩევში აღნიშნულია: «Ос-

нование свое имеет на исчислении разных преждеупомянутых треугольников, и на особливых известиях, которыя как о Каспийском море, так и о Кубани, и о реках Дону и Волге в Географическом департаменте находятся».

რუკაზე გამოსახულია საქართველოს ტერიტორიის მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც მდებარეობს პალიასტომის ტბის, რაჭის სოფლების სადმელისა და ჭიორას და დაღისტანში მდებარე პუნქტის „კარაგურაშის“ შემაერთებელი ტეხილი ხაზის ჩრდილოეთით. ამგვარად, რუკა წარმოგვიდგენს თითქმის მხოლოდ დასავლეთ საქართველოს და მასაც გურიისა და იმერეთის ნაწილის გამოკლებით.

განსახილველი რუკის შედარება ვახუშტის პირველ ატლასთან ნათელჰყოფს მათს ურთიერთკავშირს. რუსეთის 1745 წ. ატლასის XI რუკა იმეორებს ქართველი კარტოგრაფის ნაწარმოების დამახასიათებელ თვისებებს როგორც ტოპოგრაფიული შინაარსის, ისევე ტოპონიმიკის (გეოგრაფიული სახელწოდებების) მხრივაც. რუსული რუკის კავშირი ვახუშტის რუკებთან ცხადად ჩანს საქართველოს მდინარეთა ქსლისა და შავი ზღვის ნაპირის გამოსახულების ხასიათის მიხედვით. 1745 წ. რუსული ატლასი იმეორებს ჩვენი მეცნიერის შეცდომებსაც, დაშვებულს, მაგალითად, მდინარეების „კაპპეტის-წყლისა“ და ჭანის-წყლის მიმართ.

კიდევ უფრო თვალსაჩინო ხდება რუსეთის 1745 წ. ატლასის XI რუკის კავშირი ვახუშტისთან ტოპონიმიკური ნიშნების (უმთავრესად დასახლებული პუნქტებისა და პოლიტიკურ-ეთნოგრაფიული ერთეულების სახელწოდებათა) მიხედვით. რუსულ რუკაზე საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში დატანილი ყველა გეოგრაფიული სახელი ვახუშტის რუკაშიც არის. არსებითი მნიშვნელობა აქვს რუსულ რუკაში იმგვარი სახელწოდებების არსებობას, რომლების მოხვედრაც მასში სხვაგზით, თუ არა ქართველი კარტოგრაფის ნაწარმოებიდან, წარმოუდგენელია. ეს სახელწოდებანი ეკუთვნიან ან ისეთ გეოგრაფიულ ობიექტებს (ქალაქებს, პოლიტიკურსა და საადმინისტრაციო ერთეულებს), რომლებიც XVIII საუკუნეში

უკვე აღარ არსებობდნენ, ან შედარებით მცირე მნიშვნელობის მქონე ობიექტებს, ან კიდევ თვით სახელები მოსახლეობის მიერ იმ დროს მივიწყებული იყო. ვახუშტის რუკებში ამგვარი სახელწოდებების არსებობა აიხსნება იმ გარემოებით, რომ ეს რუკები განკუთვნილი იყო, სხვათა შორის, საქართველოს ისტორიის დასასურათებლადაც და ამიტომ ავტორი ცდილობდა მათს შევსებას ძველი ტოპონიმიკით წერილობითი ძეგლების მიხედვით. ისეთი სახელწოდებანი, როგორიცაა, მაგალითად, ანაკოფია, საფაციო, სონა, ბასიანი, ღლიღვი და ბევრი სხვა, რუსეთის 1745 წ. ატლასში შეიძლება მხოლოდ ვახუშტის რუკებიდან მოხვედრილიყო.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ მთელი რიგი სახელების დაწერილობის ხასიათი მოწმობს 1745 წ. რუსული ატლასის კავშირს სწორედ დელილისეულ ფრანგულ თარგმანთან და არა რომელიმე სხვა ენაზე შესრულებულ თარგმანთან[1].

2. ი. დელილმა, რომელიც 1740 წ. ახლო ხანებში საფრანგეთში დაბრუნდა საცხოვრებლად, 1766 წელს პარიზში დაბეჭდა რუკა, რომელიც შემდეგ სათაურს ატარებს:

„საქართველოსა და სომხეთის ზოგადი რუკა, მოხაზული პეტერბურგს 1738 წელსა, ადგილობრივ მცხოვრებთა რუკების, ნახაზების, გაზომვებისა და შენიშვნების მიხედვით, რომლებიც თარგმნილ იქნა ქართულიდან ფრანგულ ენაზე საქართველოს მეფის მდივნის მიერ. გამოცემულია 1766 წელს ჟ. ნ. დელილის მიერ პარიზს."

ამ რუკის ისტორიის დამმოწმებელი საბუთები გამოქვეყნებულია მ. ბროსეს და ირ. მათურელის მიერ.

3. დელილის 1766 წ. რუკაზე უნდა იყოს დამყარებული პარიზში 1783 წელს დაბეჭდილი შავი ზღვის ირგვლივ მდებარე ქვეყნების რუკა შემდეგი სათაურით:

„რუკა შავი ზღვის მიდამოებისა, სადაც იმყოფება უკრაინა, მცირე სათათრეთი, ჩერქეზეთი, საქართველო და ევროპული რუსეთისა და თურქეთის საზღვრები.

---

[1] ლ. მარუაშვილი. ვახუშტი ბაგრატიონის კარტოგრაფიული ნაშრომები, „ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები", ტ. VII, 1948, გვ. 337 338.

„მიეძღვნა და წარედგინა უფალ ჰერცოგ შუაზელს, საფრანგეთის პერს, სახელმწიფოს მინისტრსა და მდივანს, მეფის ჩვეულებრივი გეოგრაფის რობერ ვოგონდის მიერ; გასწორებულია და გადიდებული თანამედროვე ოპერაციებისათვის განკუთვნილი ხელთნაწერი რუკებისა და გეოგრაფ დელამარშის მიერ აღგილის ზუსტი ცოდნის მიხედვით 1783.

„პარიზი. დელამარშთან, ფუანის ქუჩა. არფასთან, ქ-ნ ჟერნეს სასწავლებელში“.

4. ვ. გაბაშვილის ცნობით, ვახუშტის რუკებზევე არის დამოკიდებული ტრესკოტისა და კენიგსფელსის მიერ 1738 წელს შედგენილი ქართლისა და კახეთის რუკები[1].

ვახუშტის მეორე (1742-43 წწ.) ატლასის რუსული თარგმანიდან, რომელიც რუსეთის არმიის შტაბში იქნა ვახუშტის მონაწილეობით შესრულებული, წარმოდგება აგრეთვე რამდენიმე რუკა, რომლებიც რუსეთში იქნა შედგენილი სხვადასხვა ავტორების (ი. გილდენშტედტის, სტ. ბურნაშევის, გენერალ სუხტინისა და სხვათა) მიერ.

1. განსაკუთრებით საყურადღებოა პოლკოვნიკ ს. დ. ბურნაშევის რუკა. სტეფანე ბურნაშევი 1783 წელს დანიშნულ იქნა რუსეთის მთავრობის წარმომადგენლად ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-სა და იმერეთის მეფე სოლომონ I-თან. საქართველოში მან იცხოვრა 1787 წლამდე. ბურნაშევს ეკუთვნის შრომები საქართველოზე, კავკასიონის მთიელებსა და ირანზე, აგრეთვე რუკები, რომლებსაც კავკასიაში მყოფი რუსეთის ჯარების სარდლობა ძლიერ აფასებდა. ამ რუკებს შორის ყურადღებას იპყრობს კავკასიის საერთო რუკა, რომელსაც შემდეგი სათაური აქვს:

„გენერალური რუკა საქართველოს სამეფოებისა: კახეთისა, ქართლისა და იმერეთის სამეფოსი მისი სამთავროებითურთ—გურიითა და სამეგრელოთი, მოსაზღვრე მხარეებით და კავკასიის მთებში მობინადრე ხალხებით. შეთხზა პოლკოვნიკმა და კავალერმა ბურნაშევმა 1784 წელს ქ. ტფილისში“.

---

[1] ვ. გაბაშვილი. ვახუშტი ბაგრატიონი—ისტორიკოსი. კრებული „ჭართველი მეცნიერები“, 1951, გვ. 6.

ბურნაშევს მითითებული არ აქვს ის წყაროები, რომლებითაც იგი სარგებლობდა თავისი რუკის შესადგენად. ბურნაშევის რუკის შეპირისპირება ვახუშტის მეორე ატლასის მიმოხილვითს რუკასთან საშუალებას იძლევა გამომჟღავნებულ იქნეს პირველის წარმოშობა. როგორც ჩანს, რუსი კარტოგრაფი სარგებლობდა რუსეთის გენერალურ შტაბში იმ დროს არსებული ვახუშტისეულ რუკათა თარგმანით. ბურნაშევის რუკა ტოპოგრაფიული შინაარსის მხრივ თითქმის იმეორებს ვახუშტის რუკას მისი ღირსება-ნაკლოვანებითურთ. მაგალითისათვის შეიძლება აღინიშნოს, რომ ის შეცდომები, რომლებიც დაშვებულ იქნა ქართველი მეცნიერის მიერ შავი ზღვის სანაპირო ხაზის, მდინარეების იორის, ალაზნის, ალგეთის, ქციას და აგრეთვე „კაპიტის მდინარის“ გამოსახულებებში, უცვლელადაა განმეორებული ბურნაშევის რუკაში. ერთნაირია ვახუშტისა და ბურნაშევის რუკების კარტოგრაფიული ბადე და ტოპონიმიკა. ამრიგად, თუმცა ს. დ. ბურნაშევი რამდენიმე ორიგინალური კარტოგრაფიული ნაშრომის ავტორია და მის მიერ კავკასიის ტერიტორიაზე სამარშრუტო ტოპოგრაფიული აგეგმვის ფაქტება ფაქტს წარმოადგენს, მაინც კავკასიის ზოგადი რუკა მას ძირითადად ვახუშტი ბაგრატიონის რუკების მეორე სერიის მიხედვით აქვს შედგენილი.

2. ს. ცხაკაიას აზრით, ვახუშტის რუკებით უნდა ესარგებლათ სამხედრო ტოპოგრაფებს როზიესა და დრენიაკინს, რომლებმაც 1802 წელს შეადგინეს საქართველოს რუკა[1].

ვახუშტის რუკების გავლენის კვალი აშკარად ჩანს XVIII ს. მეორე ნახევრისა და XIX ს. პირველი ნახევრის გეოგრაფიულ აღწერილობებშიც, როგორიცაა, მაგალითად, ი. გილდენშტედტისა და ორესტ ევეცკის თხზულებანი, „კავკასიონს გადაღმა მდებარე რუსეთის სამფლობელოთა მიმოხილვა სტატისტიკური, ეთნოგრაფიული, ტოპოგრაფიული და საფინანსო თვალსაზრისით“... და სხვ.

---

[1] ს. ცხაკაია, ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიული ატლასები. კრ. „ვახუშტი, როგორც გეოგრაფი“, 1947. გვ. 140.

თითქმის მთელი საუკუნის განმავლობაში ვახუშტის კარტოგრაფიული ნაშრომები ინარჩუნებდნენ საქართველოს შესახებ ძირითადი ტოპოგრაფიული მასალის მნიშვნელობას, პირდაპირი თუ არაპირდაპირი გზით აკმაყოფილებდნენ რა მეცნიერებისა და პრაქტიკის მოთხოვნებს. მათ ეყრდნობოდა თავიანთი რუკების შესადგენად საქართველოს კარტოგრაფიულ გამოსახულებათა თითქმის ყველა ავტორი რუსეთსა და დასავლეთ ევროპაში. ამ მხრივ არსებობს ანალოგია ვახუშტის რუკებსა და ცნობილი რუსი რუკათმემდგენელის ს. რემეზოვის რუკებს შორის, რომლებიც აგრეთვე გამოყენებულ იქნა საზღვარგარეთ ციმბირის კარტოგრაფიულ გამოსახულებათა შესადგენად. ამიტომაც გადაჭარბებული არ უნდა იყოს თქმა იმისა, რომ ვახუშტის კარტოგრაფიული მოღვაწეობა საფუძვლად დაედო კავკასიის კარტოგრაფიის განვითარების მთელ ეპოქას 1735 წლიდან XIX ს. დასაწყისამდე და ამით მან თვალსაჩინო როლი შეასრულა კავკასიის გეოგრაფიული შესწავლის ერთობლივ პროცესშიც.

ვახუშტი ბაგრატიონის ნაწარმოებთა თანამედროვე მნიშვნელობა განსაკუთრებით ისტორიოგრაფიული თვალსაზრისითაა დიდი: მათში აღბეჭდილია, შესანიშნავი სისრულითა და სიზუსტით, ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის მდგომარეობა XVIII ს. პირველ ნახევარში. სამართლიანად აღნიშნავდა აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი, რომ ვახუშტის ნაშრომები, როგორც ქართველი ხალხის შესახებ ისტორიული ცნობების წყაროები, თავიანთ დიდ მნიშვნელობას არასოდეს დაჰკარგავენ.

ჩვენი ეპოქის გეოგრაფებისათვის ვახუშტის ნაშრომთა მნიშვნელობა მდგომარეობს მათში თავმოყრილი უხვი ტოპონიმიკური მასალის გამოყენებაში რეგიონულ აღწერილობათა სრულყოფისათვის და აგრეთვე ისეთი ფაქტობრივი მონაცემების არსებობაში, რომლებიც ხელს უწყობენ საქართველოს ბუნებრივი პირობების ცვალებადობის გამორკვევას უკანასკნელი 2—2½ საუკუნის პერიოდისათვის.

„საქართველოს გეოგრაფიული აღწერის“ ტექსტისა და ნაწილობრივ რუკების მიხედვით შესაძლებელია დადგენილ იქ-

ნეს ცვლილებანი, რომელთაც ვახუშტის ეპოქის შემდეგ ადგილი ჰქონდათ ჩვენი ქვეყნის მცენარეულ საბურველსა და ცხოველთა სამყაროში, აგრეთვე ჰიდროგრაფიულ ქსელშიც.

მცენარეულ საბურველში მომხდარი ცვლილებებიდან ვახუშტის თხზულებისა და რუკების მიხედვით შეიძლება დადგენილ იქნეს ტყეების მოსპობა და, უწინარეს ყოვლისა, იმ ჭალების (ტუგაის ტიპის ტყეების) განადგურება, რომლებიც ზოლისებურად გასდევდნენ აღმოსავლეთ საქართველოს მდინარეთა ხეობებს. ამგვარი ფაქტები შეიძლება კონსტატირებულ იქნეს მდინარეების მტკვრის, ლიახვის, ძამის, მაშავერისა და სხვათა ხეობებისათვის. უკანასკნელი 250 წლის მანძილზე მოისპო მტკვრის ხეობის ჭალები რუსთავის ჩრდილოეთით (ყარაღაჯის ანუ საჯოგის ჭალა), თანამედროვე სოღანლუღის მიდამოებში (ყურყუთას ჭალა), ავჭალასთან, სოფ. მეტეხთან (სხერტის ჭალა), ქვიშხეთის ქვემოთ (სურამის ჭალა) და სხვ. ლიახვის ხეობაში განადგურდა ვარიანის ჭალა (ნაჭარმაგევის ანუ კარალეთის ჭალების ნაწილი), ძამის ხეობაში საგლონის-ჭალა, მაშავრისაში სატრედოს ჭალა და ა. შ. გარდა ტუგაის ტიპის ტყეებისა, შემცირდა მთის ტყეთა გავრცელებაც—მათმა საზღვარმა გადაინაცვლა ზემოთკენ, მაგრამ ტყეების ამ ტიპისათვის ცვლილებების დადგენა ისე კონკრეტულად ვერ ხერხდება როგორც ჭალებისათვის.

აღსანიშნავია, რომ ტაბისყურის ტბის მიდამოები (ჩრდილო ჯავახეთში) ვახუშტის დახასიათებული აქვს „ნაძოვნად, ტყიანად "... როგორც ცნობილია, თანამედროვე ეპოქაში ეს რაიონი ხემცენარეულობას სავსებით მოკლებულია.

ანალოგიურ ფაქტებს ვამჩნევთ, ვახუშტის თხზულების ზოოგეოგრაფიული ცნობების მიხედვით, საქართველოს ფაუნის მიმართაც. ამ მხრივ „საქართველოს გეოგრაფიული აღწერა“ პირველ ადგილზე დგას კავკასიის შესახებ არსებულ წერილობით ძეგლებს შორის. ფაქტობრივი მასალა, რომელიც შეეხება ჩვენი ქვეყნის ცხოველთა სამყაროს ცვალებადობას უკანასკნელი 2 $^{1}/_{2}$ საუკუნის განმავლობაში, შეიძლება ორ ნაწილად იქნეს დაყოფილი. ცნობათა პირველი ჯგუფი შეეხება

ადგილთა „ნადირიანობის“ საერთო შემცირებას, ე. ი. ძუძუმწოვართა და ფრინველთა ფაუნის გაღარიბებას მათი სახეების მოუხსენიებლად (ასეთი მოვლენა შეიძლება დადგინდეს რიგი ადგილებისათვის, როგორიცაა ავჭალა, ალვანის მინდორი, საჯოგის ჭალა, ბორჯომის ხეობა და ა. შ.), ხოლო მეორე ჯგუფი—ცხოველთა ცალკეული სახეების გადაშენებას ან მათი არეალების შემცირებას. მეორე ჯგუფი ცნობებისა შეეხება ისეთ ცხოველებს, როგორიცაა თახვი, ირემი, ჭურციკი ანუ ჯეირანი, არჩვი ანუ ფსიტი, ფაზარიანი თხა, შველი, გარეული ღორი, დათვი, აფთარი, ხოხობი, დურაჯი და სხვ.

ეჭვებს არ აღძრავს ის დებულება, რომ ვახუშტის ნაშრომთა შემდგომი გაღრმავებული შესწავლა გამოავლენს საქართველოს ბუნების ცვალებადობის სხვა ფაქტებსაც, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ მათი დაწერის შემდეგ.

ვახუშტის ნაწარმოებთა მთავარი ღირებულება თანამედროვე საბჭოთა საქართველოსათვის მდგომარეობს იმ პატრიოტულ სულისკვეთებაში, რომლითაც გამსჭვალულია ისინი, და რომელიც მძლავრ ხელშემწყობ ფაქტორს წარმოადგენს საბჭოთა ადამიანების სწორი აღზრდისათვის.

სარჩევი

1. შესავალი 3
2. ვახუშტის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მოკლე მიმოხილვა 5
3. ვახუშტის გეოგრაფიული და კარტოგრაფიული ნაშრომები და მათი შესწავლილობა 9
4 „საქართველოს გეოგრაფიული აღწერა“ 13
5 საქართველოს გეოგრაფიული ატლასები 73
6. ვახუშტის ნაშრომთა წყაროები 87
7. ვახუშტის გეოგრაფიული და კარტოგრაფიული ნაშრომების ადგილი კავკასიის შესწავლის ისტორიაში და მათი თანამედროვე მნიშვნელობა . . . 97

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედ.-საგამომც. საბჭოს დადგენილებით

*

რედაქტორი შ. შ ე ნ გ ე ლ ი ა

გამომცემლობის რედაქტორი შ. პ ა ა ტ ა შ ვ ი ლ ი

ტექრედაქტორი ა. თ ო დ უ ა

კორექტორი ლ. ჩ ხ ა ი ძ ე

გადაეცა წარმოებას 10.7.1956; ანაწყობის ზომა $5^{1}/_{2} \times 9$; ხელმოწერილია დასაბეჭდად 10.9.1956; ქაღალდის ზომა $84 \times 108/_{32}$;
ქაღალდის ფურცელი 1,7; საბეჭდი ფურცელი 5,58; **საავტორო** ფურცელი 4,71; სააღრიცხვო-საგამომცემლო ფურცელი 4,81;
შეკვეთა 1188; უე 04563; ტირაჟი 3000
ფასი 1 მან. 80 კაპ.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის სტამბა
თბილისი, ა. წერეთლის ქ. 3/5

ფასი 1 მან. 80 კან. 2191/7

Леван Иосифович Маруашвили

ОСНОВОПОЛОЖНИК ГЕОГРАФИЧЕСКОГО ИЗУЧЕНИЯ ГРУЗИИ ВАХУШТИ БАГРАТИОНИ

(на грузинском языке)

Издательство Академии наук Грузинской ССР
Тбилиси — 1956